

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ISSN 1987-7684

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი


საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
დეპარტამენტი

*ექვეყნება ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტიკის
მეცნიერების მიმართულების სამოყვალბებდან 10
წლისთავს.*

სოციალურ მეცნიერებათა
საკითხები

X

შრომების კრებული



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2016

YDC (უაკ) 316 (051)
ს 743

„სოციალურ მეცნიერებათა საკითხები“
გამოდის 2009 წლიდან

საჩუქრადი კოლეგიის თავმჯდომარე,
რედაქტორი:

ირაკლი მანველიძე

საჩუქრადი კოლეგია:

*გუსეინ ნიზამი ოლლი ნაჯაფოვი (ბაქო), გენადი
იაშვილი (თბილისი), შოთა დოლონაძე (თბილისი),
ლადო მკერვალიძე (თბილისი), რობიზონ
ხურცილავა (ქუთაისი) ინეზა ზოიძე, ნატალია ლაზბა,
ზაზა ბურკაძე, ირაკლი გორგილაძე, ლაშა
ბაჟუნაიშვილი, ინგა ცინცქილაძე, ირინე ცინცაძე
(პასუხისმგებელი მდივანი).*

რეცენზენტები:

*მარინა იტრიაშვილი
თემურ ჯაგოდნიშვილი
ბესო შერაზადიშვილი*

ISSN 1987-7684

© საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

სტატიაში მოცემულ ფაქტებზე, მოსაზრებებსა და დასკვნებზე პასუხისმგებელია ავტორი

მისამართი:

საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის 35, უნივერსიტეტის II კორპუსი,
საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი №505.

E-mail manvelidze.irkli@gmail.com

Tel: 0422 29 33 46 +995577141099

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

Batumi Shota Rustaveli State University

Faculty of social and Political sciences

The Department of Social and Political Sciences

Problems of Social Sciences

X

PROCEEDINGS



**Publishing House „Universal“
TBILISI-2016**

Problems of Social Sciences

Issued since 2009

Chairman of the Editorial Board, Editor:

Irakli Manvelidze

Editorial Board:

Huseyn N. Najafov, Lado Mkervalishvili (Tbilisi), Genadi Iashvili (Tbilisi), Shota Dogonadze (Tbilisi), Lado Mkervalishvili (Tbilisi), Robizon Khurtsilava (Qutaisi), Natalia Lazba, Ineza Zoidze, Zaza Burkadze, Irakli Gorgiladze, Lasha Bajunaishvili, Inga Tsintsqiladze, Irina Tsintsadze.

reviewers:

*Marina Itriashvili
Temur Jagodnishvili
Beso Sherazadishvili*

ISSN 1987-7684

© The Department of Social and Political Sciences

For providing in articles the material, opinions and conclusions responsibility of the author.

Address: 35 Ninoshvili Street, Batumi, Georgia, Shota Rustaveli State University, The Department of Social and Political Sciences #505,

E-mail manvelidze.irakli@gmail.com Tel: 042 229 33 46 +995577141099

Publishing House „Universali“


Publishing House „universali“, 2016

Tbilisi, 0179, I. Chavchavadzis ave., 19, ☎ : 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

10-



X



« »

2016

«

»

2009

, :

:

(),

(),

(),

(),

(),

,

,

,

,

,

,

(

).

:

*Тимур Джагоднишвили
Бесо Шеразадишвили*

ISSN 1987-7684

©

,

:

,

,

35, II

,

#505.

E-mail manvelidze.irakli@gmail.com

Tel: 0422 29 33 46 +995577141099

« **», 2016**

, 0179,

19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი
C O N T E N T

სოციოლოგია
Sociology

ინეზა ზოიძე

გენდერი ოჯახის სოციალურ ინსტიტუტში და ეთნო-
რელიგიური იდენტობის ზოგიერთი საკითხი 13

- 20

Ineza Zoidze

Gender in family social institute and some issues of ethno-
religious identity 21

პოლიტიკის მეცნიერება
Political Science

ირაკლი გორგილაძე

ლიმიტროფების თავისებურებები
გეოპოლიტიკაში 22

Irakli Gorgiladze

Limitrophes in the Geopolitics30

.....32

ლაშა ბაჟუნაიშვილი

ერთიანი ევროპა - თეორია მოქმედებაში33

Lasha Bazhunaishvili

United Europe – Theory in Action.....42

–43

ზაზა ბურკაძე

გერმანული ბლიცკრიგის ჩაშლა46

.....73

Zaza Burkadze

German blitzkrieg disruption.....74

გიგა ფარტენაძე

ევროკავშირის ინტეგრაციის და უსაფრთხოების პოლიტიკის შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები.....75

GiGa Partenadze

-

.....102

Giga Phartenadze

Theoretical-methodological basics of studying European

Union’s integration and security policy	103
<i>ნატალია ლაზბა</i>	
სახელმწიფო სიმბოლოების მნიშვნელობა და გამოყენების სპეციფიკაპროტოკოლში	105
<i>Natalia Lazba</i>	
The meaning of state symbols and specific features of its usage in protocol	113
.....	114
<i>გურამ საფარიძე</i>	
თურქეთი ევროკავშირის გზაზე - მეოცე საუკუნის რეფორმები.	115
<i>Guram Safaridze</i>	
Turkey is on the way to EU - The reforms of the twentieth century	129
- p	130
<i>ინგა ცინცკილაძე</i>	
ნაციონალიზმი თანამედროვე მსოფლიოში.	131
<i>Inga Tsintskiladze</i>	
Nationalism in Modern World	138
.....	139
<i>გიგა ფარტენაძე</i>	

ირაკლი მანველიძე

სულიერი უსაფრთხოება საქართველოს

ეროვნული უშიშროების სისტემაში 140

Giga Phartenadze

Irakli Manvelidze

Spiritual security in Georgian national security system. 155

. 157

გურამ საფარიძე

თურქეთის ევროკავშირში განვერიანების

ზოგიერთი ასპექტი 158

Guram Safaridze

Some Aspects of the Turkey’s integration in the European

Union. 171

. 172

საჯარო მმართველობა
Public Administracion

ზვიად ბურჭულაძე

მუნიციპალური წარმონაქმნის ტერიტორიის
ეკოლოგიურ-ლანდშაფტური მდგრადი განვითარება -
გარემოს მდგომარეობის მუნიციპალური მართვა 173

-

-

..... 187

Zviad Burchuladze

**Sustainable development of municipal entity’s ecology landscape
– municipal management of environment 188**

მასკომუნიკაცია

Mass Communication

ირინე ცინცაძე

პოლიტიკური რეკლამის რეგულირების ზოგიერთი
ასპექტი. 190

..... 197

Irine Tsintsadze

Some Aspects of the Political Advertising Regulation 198

იდენტობა

Identity

ცირა ფუტკარაძე

რელიგია ევროპული იდენტობის ფონზე 199

Tsira Putkaradze

Religion on the background of European Identity. 208

..... 209

სამართალი

LAW

Право

ლინდა შალამბერიძე-ვერძაძე

**ხელშეკრულების თავისუფლება და თავისუფლების
ხელოვნება 210**

..... 220

Linda Shalamberidze-Verdzadze

Contractual Freedom and art of Liberty 221

სოციოლოგია
Sociology

გენდერი ოჯახის სოციალურ ინსტიტუტში და
ეთნო-რელიგიური იდენტობის ზოგიერთი
საკითხი

ინეზა ზოიძე

ზოგადად აღიარებულია, რომ ქართულ საზოგადოებაში ოჯახების წარმოშობასა და განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გავლენას ახდენს როგორც გეოგრაფიული, ასევე, კულტურული და ისტორიული ფაქტორები, რაც გამოიხატება ოჯახურ სტრუქტურაში, სოციალურ როლებში, ოჯახის წევრთა შორის უფლება-მოვალეობების გადანაწილებაში, გენდერული თანასწორობის ასპექტებში და ასე შემდეგ.

საზოგადოებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი პროცესი ასპექტები-სამართლებრივი, პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური, ტრადიციული და ასე შემდეგ, ოჯახზე აისახება სხვადასხვა გზებით. მასში ყალიბდება ახალი ტიპის გენდერული სტერეოტიპები და ნორმები, რომლებიც

განსაზღვრავენ კაცისა და ქალის სტატუსს დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე მის გარეთ. იზრდება პროფესიის როლი ქალის ცხოვრებაში, რაც გენდერული ურთიერთობების ცვლას განაპირობებს, თუმცა კულტურაში უკვე არსებობდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ცხოვრებისეული სტრატეგია. ერთი წარმოადგენს ე.წ. “მამაკაცური”, დაკავშირებული პროფესიულ რეალიზაციასთან და “ქალური”, ორიენტირებული ოჯახსა და პირად ცხოვრებაზე. ამიტომაც, გენდერული საკითხები ოჯახსა და სამსახურს შორის, როლურ-სტატუსური მიდგომები ოჯახის სოციოლოგიის კლასიკურ პრობლემასწარმოადგენს.¹

XX საუკუნის ბოლოსა და XXI-ე საუკუნის დასაწყისში საქართველო აქტიურად ჩაერთო გლობალურ სივრცეში მიმდინარე კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალური სახის გარდაქმნებში. ამას დაემატა ეკონომიკური ცვლილებები, რის შედეგადაც ქალები პროფესიულად გახდნენ ნაკლებად კონკურენტუნარიანნი შრომის ბაზარზე, რაც გამოწვეული იყო მრავალი მიზეზით: ეთნიკური კონფლიქტებით, სამოქალაქო ომით, მასიური მიგრაციით, ღირებულებათა გადაფასებით და ა.შ. რამაც ასევე, გავლენა იქონია ზოგადად გენ-

¹ ზადაშვილი მ., ტერიტორიული სხვაობები ოჯახის გენდერულ ურთიერთობებში პოსტსაბჭოთა საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ.,2015, გვ.,98

დერულ ბალანსზე ოჯახში.² სწორედ, ამ თვალსაზრისით საინტერესოა როგორ მიიღო ტრადიციულმა ქართულმა ოჯახმა არსებული სიახლეები, რა გავლენა მოახდინა ამ გარემოებებმა როლურ განაწილებაზე ოჯახის წევრებს შორის, მათ ფასეულობრივ და ღირებულებით ორიენტაციაზე.

საქართველო წარმოადგენს პოლიეთნიკურ და პოლიკულტურულ რეგიონს, რაც გავლენას ახდენს ზოგადფასეულობათა სისტემაზე, სოციალურ ურთიერთობებზე. დარგში კვლევები ცხადყოფს, რომ ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობებს და სტატუსების მიხედვით როლების გადანაწილებაზე კვლავ გავლენას ახდენს ტრადიციები, რელიგიური და ეთნიკური მახასიათებლები.³

ქრისტიანულ-მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ დიდი როლი შეასრულა ქართულ საზოგადოებაში სოციალური როლების ფორმირების ისტორიაში. მას დაეფუძნა ეროვნული კულტურა, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში დამკვიდრებულ ნორმებს. რიგი მიზეზების გამო, რომელთა შორის უმთავრესი საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და ცივილიზაციური გარემო იყო, მართლმადიდებლობა გაიგივდა ეთნიკურობასთან. ერთმორწმუნე მოკავში-

² Н.М. Римашевская, Семья в странах с переходной экономикой, Народонаселение, 2002, № 4, ст. 1-11

³ დურგლიშვილი, ნ., ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი, თბი, 1976, გვ., 18-19

რის, შემდეგ კი მფარველის ძიება საუკუნეთა მანძილზე საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო. პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ჩვენში კულტურული ორიენტაციის პრობლემად ტრანსფორმირდა. ისლამურ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირების პირობებში კი ამ მაჩვენებელმა რელიგიურ-კულტურული არჩევანის სახე მიიღო. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ერთია პოლიტიკური და, თუნდაც, სარწმუნოებრივი ორიენტაცია, მეორე კი – ამა თუ იმ ცივილიზაციისადმი კუთვნილება, რომელიც, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებზე დამყარებული კავშირებისაგან განსხვავებით ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდება, რაც მრავალი სხვადასხვა გარემოების შედეგს წარმოადგენს. რელიგიური იდენტობა შეიძლება აძლიერებდეს სხვა, მათ შორის ცივილიზაციურ იდენტურობას ან პირიქით, შეიძლება ასუსტებდეს მას. კულტურული და ცივილიზაციური იდენტურობის საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია ე.წ. მცირე ერებისათვის, რომელთა მენტალობა განსაზღვრულია საკუთარი მნიშვნელობის პერმანენტული ძიებით.

რელიგიის როლი განსაკუთრებით ისეთ პოლიეთნიკურ საზოგადოებებში გააქტიურდა, სადაც ეთნიკური ჯგუფები განსახვავებული კონფესიების წარმომადგენლები არი-

ან.⁴ რელიგიური დოგმატიკა გახდა არაფორმალური სოციალური ინსტიტუტების ჩამოყალიბების საფუძველი. ამ თვალსაზრისით საქართველოში საინტერესო რეგიონს წარმოადგენს მაგალითად, ქვემო ქართლი, სადაც თანაცხოვრობენ აზერბაიჯანელი, ბერძენი, სომეხი, ქართველი და სხვა, ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები. აღნიშნულის გათვალისწინებით კი საინტერესოა ის, თუ რა გავლენას ახდენს მათზე ერთის მხრივ ტრადიციული ყოფა, მეორეს მხრივ სულიერად დაკავშირებული სხვა ქვეყნებიდან რელიგიური ფუნდამენტალიზმის გავლენები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მათი ინტეგრაციის მიუხედავად, დღემდე აღინიშნება გარკვეული სხვაობა საოჯახო ურთიერთობებში არსებული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების თვალსაზრისით. პირველი ფაქტორი, ქრისტიანულ გარემოში მოხვედრილი მუსლიმური ჯგუფის შემთხვევაში, რასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ესაა სხვაობა რელიგიაზე დაფუძნებული ოჯახის ინსტიტუტებს შორის. მაგალითად, განსხვავებული წესები და შეხედულებებია ოჯახში ქალის უფლებასა და სოციალურ სტატუსთან დაკავშირებით .ისლამის რელიგიის თანახმად ოჯახის წევრთა ურთიერთობების რეგლამენტირე-

⁴. ჩიქოვანი ნ. კულტურული და რელიგიური იდენტურობის პრობლემათა აქტუალიზაცია პოსტსაბჭოთა ხანაში. ეთნიკურობისა და რელიგიურობის იდეოლოგიზაცია და პოლიტიზაცია, სალექციო კურსი, სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის, თბ., 2006 გვ.71

ბის საკითხი მკაცრადაა განსაზღვრული. ოჯახის სულიერ და მორალურ ძალად იგულისხმება მუსლიმური სამართლისა და ნორმების მოთხოვნათა შესრულება, რომლის თანახმად მაგალითად, ოჯახში მამაკაცს აქვს განსაკუთრებული პოზიცია, ვიდრე ქალს. მხოლოდ მას ეძლევა უპირატესი უფლება. რაც შეეხება ქრისტიანობას, აქ შედარებით სხვაგვარი დამოკიდებულებაა. ყოველივე ეს კი გარკვეულ ბარიერს ქმნის სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის იდენტობის საკითხში. მაგალითად, აქ მაცხოვრებელი ბერძნები, როგორც სავსე მასალებიდან ჩანს, ოჯახის შექმნისას მთავარ დაბრკოლებად რელიგიურ განსხვავებას მიიჩნევენ⁵, ხაზი ესმება განსხვავებულ საოჯახო და საქორწინო ტრადიციებს.

მართალია იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ქორწინდებიან. ამ შემთხვევაში სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან საქორწინო კავშირს რელიგიური ერთობით ხსნიან. ანუ, რელიგიის ერთობა განსაზღვრავს საერთო საქორწინო და საოჯახო წეს-ჩვეულებებს და ტრადიციებს, რაც უზრუნველყოფს ოჯახის სიმყარეს.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ეთნო-რელიგიური იდენტობის საკითხები კვლავ აქტუალურია და დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური ინსტიტუტების ფორმი-

⁵ სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 2011გვ.126

რების საკითხში. ის არაფორმალური სოციალური ინსტიტუტების ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია რელიგიური სხვაობები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, სადაც შესაძლოა სხვადასხვა პრივილეგიების, ეკონომიკური თუ პოლიტიკური პერსპექტივის მიხედვით სოციალური კონტაქტების სიხშირიდან გამომდინარე ინდივიდების გარკვეულ რაოდენობას ახასიათებდეთ ასიმილირება დომინირებად ჯგუფებთან. მაგრამ ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტების ინტეგრაციის ხარისხში ერთ-ერთ შემაფერხებელი ფაქტორი რელიგიაა, რამდენადაც ის წარმოადგენს არაფორმალური სოციალური ინსტიტუტების ჩამოყალიბების ფუნდამენტს.

გამოყენებული ლიტერატურა

სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თბ., 2011

ჩიქოვანი ნ. კულტურული და რელიგიური იდენტურობის პრობლემათა აქტუალიზაცია პოსტსაბჭოთა ხანაში. ეთნიკურობისა და რელიგიურობის იდეოლოგიზაცია და პოლიტიზაცია, სალექციო კურსი, სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის, თბ., 2006

დურგლიშვილი, ნ., ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი, თბილ., 1976

ბადაშვილი მ., ტერიტორიული სხვაობები ოჯახის გენდერულ ურთიერთობებში პოსტსაბჭოთა საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2015

Н.М. Римашевская, Семья в странах с переходной экономикой, Народонаселение, 2002

-

-

Ineza Zoidze

Gender in family social institute and some issues of ethno-religious identity

Resume

Ethno-religious identity issues are discussed in the article and their influence on formation of social institutes. Attention is paid to issues like family structure, family relationships, social roles and religious factors. The issue is analyzed according to the Georgian, in particular lower Kartly example which is characterized by ethnic and religious diversity. In such situations there is a possibility of assimilation of individuals with dominating groups due to different privileges, economic and political perspectives. But in the integration of family as a social institute one of the hindering factors is religion. Representatives of different ethnic groups explain rare marriages by religious factor. This means that concerning religious identity they prefer to keep common marriage norms and traditions which ensure family strength.

პოლიტიკის მეცნიერება
Political Science

ლიბიტროფების თავისებურებები
გეოპოლიტიკაში

ირაკლი გორგილაძე

საზღვრულობის ან ზღვრული პროცესებისადმი ინტერესის ზრდა XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე მნიშვნელოვნად განაპირობა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა - გლობალიზაციასა და ინტეგრაციას თან სდევს არა მხოლოდ ერთგვაროვანი სტრუქტურების შექმნა, არამედ ფრაგმენტაცია და ლოკალიზაცია. სივრცეები, რომლებიც არ შედიან სინთეზში, ქმნიან გაურკვევლობისა და განუსაზღვრელობის ზონებს⁶.

სასაზღვრო ზონების (ცივილიზაციების) აღსანიშნავად პოლიტიკურ ლიტერატურაში გვხვდება ტერმინი - ლიმიტროფი. ვ. ციმბურსკი ამ ცნებით აღნიშნავს ცივილიზაციათა

⁶Encyclopedia Britannica (Ultimate Reference Suite) 2003. 31

ბირთვულ პლატფორმებს შორის არსებულ შუალედურ სივრცეებს და მიუთითებს, რომ ცივილიზაციათა ურთიერთქმედება მიმდებარე ეთნოკულტურულ ლიმიტროფებთან გეოპოლიტიკის ერთ-ერთი საყურადღებო პრობლემაა. მისი აზრით, ის არ წარმოადგენს მხოლოდ ნეგატიურ „გამონვევას“ არსებული რეალობისთვის; იგი დაწინაურების შანსიცაა, რომელიც არაერთხელ ყოფილა გამოყენებული ამა თუ იმ ეთნოსის თუ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მიერ.⁷

ლიმიტროფის ცნება, თავდაპირველად, გამოიყენებოდა ძველი რომაელების მიერ და ის, გულისხმობდა სასაზღვრო ჯარების დისლოკაციის ადგილს. ეტიმოლოგიურად შედგება ორი ბერძნული სიტყვისაგან - ლიმეს (საზღვარი) და ტროფუს (მკვებავი): საჯარო შენაერთები, რომლებიც იცავდნენ საზღვრებს. XX საუკუნის მიწურულს, ტერმინი, სახეცვლილი და შინაარსობრივად კიდევ უფრო დატვირთული გეოპოლიტიკურ ლექსიკონში კატეგორიალური ხაზის მნიშვნელოვან ელემენტად შევიდა და გამოიყენებოდა იმ ქვეყნების ან ქვეყანათა ჯგუფების აღსანიშნავად რომლებიც წამყვან სახელმწიფოთა მოსაზღვრე სუბიექტებად წარმოდგნენ, ერთ-ერთი ასეთი კი, კასპიის რეგიონის(კრ) სახელმწიფოები.

XX საუკუნის დასაწყისში ბრიტანული გეოპოლიტიკური სკოლის წარმომადგენელმა ჯ. ფეირგრივმა აღნიშნულ

7

2 (68), .., 1998, გვ. 89.

რეგიონს *crachzone* უწოდა რამეთუ მასში შემავალი ქვეყნები ძირითადად მცირე, პოლიტიკურად სუსტ და ეკონომიკურად დამოკიდებულ ბუფერულ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ.⁸ მოგვიანებით მას სხვადასხვაგვარად - ამერიკული პოლიტიკური გეოგრაფიის კლასიკოსი რ. ხარტშორნი ბალტიბალტიისპირეთიდან ადრიატიკამდე პერმანენტული გეოპოლიტიკური არასტაბილურობის ზონად (*shatterzone*), ფრანგი გეოპოლიტიკოსი ჟ. ოტმანი მოქცევა-მიქცევის მიწად, ხშირად კი ანსტედის სარტყელად მოიხსენიებდნენ.⁹

ქვემოთ შევხებით საზღვრულობის პრობლემასთან დაკავშირებულ პრობლემას, რომელთაც მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხების კვლევისათვის.

პირველ რიგში, ცხადია, თვით „საზღვრის“ ცნებას უნდა შევხვით. საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით, იგი აღნიშნავს მიჯნას ორ მთელს ან მთელის ორ ნაწილს შორის. სწორედ ასე ითარგმნება ლათინური ლიმეს - საზღვარი, ზღვარი. თუმცა დღეს, საზღვრულობის პრობლემისადმი ინტერესის ზრდის ფონზე, შემოთავაზებულია სხვაგვარი მნიშვნელობაც. კერძოდ, ი. კაგრამანოვი აღნიშნავს, რომ რომის

⁸Fairgrieve J. Geography and World Power. – L.: University of London Press, 1915. P. 329-330

⁹Туровский Р.Ф. Политическая География. – М., Смоленск: 1999. გვ., 52

პრაქტიკულ სიტყვათხმარებაში ლიმეს აღნიშნავდა არა საზღვარს, არამედ გარდამავალ ზონას.¹⁰

რაც უფრო მნიშვნელოვანია რესურსი და მისი პოტენციური მოცულობა, მით უფრო მაღალია კონკრეტულ სივრცეში შეღწევის ან/და წინააღმდეგობათა გამწვავების ინდექსი. ზოგჯერ, არსებული პირობების გათვალისწინებით, დაპირისპირებებს ომამდეც მივყავართ - ანუ მთავარ მიზანს, მოწინააღმდეგის სისტემური მახასიათებლების მსხვერვეა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია განვითარდეს „ცხელი“ ან „ცივი“ ომის ფორმით. ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს ლიმიტროფები განვიხილოთ, როგორც ერთგვარი „რეზერუარი“ ან „ნაკრძალი“, რომლის კონტროლისათვის ბრძოლა მიმდებარე, წამყვანი სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია. ამდენად კონფლიქტების სერიას კასპიის რეგიონში თავისი ახსნა გააჩნია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სწორედ ლიმიტროფებში ჩანს ყველაზე ხშირად ეთნიკური წმენდა¹¹ და გასახ-

¹⁰

„...“, 1998, 9-10 (33), გვ. 70.

¹¹ნიშანდობლივია, რომ საკუთრივ ტერმინი „ეთნიკური წმენდა“ საერთაშორისო ლექსიკონში ლიმიტროფული ზონიდან, სერბულ-ხორვატული გამონათქვამიდან «etničko čišćenje/etničko чишћење» კალკის სახით შევიდა.

ლება, ეთნოციდი. განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა რეგიონებში. მათ შორის, საქართველო (ოსეთი, აფხაზეთი), მთიანი ყარაბაღი (სომხები, აზერბაიჯანელები), ფერგანას უდაბნო უზბეკეთში (თურქი მესხები), რუსეთის ფედერაცია (ჩეჩნები) და ა.შ.

XXI საუკუნეში, ხუთი დეკლარირებული და კიდევ რამდენიმე ათეული „ზღვარზე მდგომი“ ბირთვული“ სახელმწიფოს არსებობის პირობებში, რესურსებისთვის თუ სივრცეზე კონტროლის მიზნით „ცხელი“ ომები თითქმის შეუძლებელია. ასეთ პირობებში, ერთადერთი გამოსავალი - ყველა გეოპოლიტიკურ სივრცეში ლიმიტროფებისთვის ბრძოლაა, რომლებიც შემდეგი მიზნებისთვის იქმნება:

- ლიმიტროფების ყველა ტიპის რესურსების ათვისება ძალის დაგროვების მიზნით;

- ლიმიტროფების გამოყენება გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ღია ან დახურული ბრძოლის საწარმოებლად, ვიდრე შეიარაღებულ კონფლიქტამდე, უპირატესად მოწინააღმდეგის სივრცეში;

- ლიმიტროფები საკუთარ თავზე იღებენ ტუტორი სახელმწიფოსთვის განკუთვნილ პირველ დარტყმებს. რათა მაქსიმალურად დაზოგონ საკუთარი რესურსები; ამასთან მეტნაკლებად ძლიერნი ქმნიან ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ლიმიტროფებს, ფართო საზღვრების უზრუნველსაყოფად;

- ხშირ შემთხვევებში, ლიბერალური კანონმდებლობა ლიმიტროფებში, დაბალი გეოპოლიტიკური სტატუსით, გამოიყენებიან „ბინძური“ წარმოებებისთვის, რასაც ვთქვათ განვითარებული ქვეყნები ვერ მოითმენენ;

- ლიმიტროფული სახელმწიფოები უზრუნველყოფენ გასასვლელს წამყვანი ქვეყნებისთვის მანამდე შეუღწევად გეოპოლიტიკურ ზონებში;

ვ. არუთიუნოვა-ფიდანიანი ლიმიტროფს განმარტავს როგორც ტერიტორიას, სადაც ერთმანეთში შეურევლად ცხოვრობენ ეთნოსები და მათი კულტურები.¹² იმ შემთხვევაში, თუ ლიმიტროფული ტერიტორიები ქმნიან არა მხოლოდ სახელმწიფო-პოლიტიკურ, არამედ კულტურულ სივრცესაც, რომელშიც არსებობს და ვითარდება კულტურათა სინთეზის შედეგად წარმოშობილი ფენომენები, ლიმიტროფი იქცევა საკონტაქტო ზონად - პოლიეთნიკურ ტერიტორიად, იმ ფენომენტა წარმოშობის ადგილად, რომლებიც კულტურათა არა მხოლოდ თანაარსებობის, არამედ ურთიერთგავლენის შედეგია.¹³

ფ. ბროდელი მიუთითებდა „განაპირა“, „სასაზღვრო“ კულტურათა შესწავლის მნიშვნელობაზე. იგი თვლიდა, რომ ასეთი კულტურების მეშვეობით ცივილიზაციათა საზღვრე-

¹²Арутюнова-Фиданян В. А. Византия и Армения в X-XII вв.: Зона контакта. - В кн.: Византия между Западом и Востоком. Опыт исторической характеристики. СПб., 1995, გვ. 380.

¹³იქვე, გვ. 380-381

ბი იხსნება სხვებთან კონტაქტისათვის, მათში მჟღავნდება ცივილიზაციათა კომუნიკაციური შესაძლებლობანი. დენ დაინერი აღნიშნავს, რომ ცივილიზაციათა თვითიდენტიფიკაცია სწორედ მათ პერიფერიაზე ყალიბდება, სხვა ცივილიზაციებთან დაპირისპირების შედეგად.¹⁴

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, ს. ლურიე გვთავაზობს „ეთნიკური კონსტანტების“ ცნებას, რომლებიც, მისი აზრით, კულტურული ტრადიციის ბირთვის შეადგენს. ესაა არაცნობიერ წარმოდგენათა კომპლექსი, რომელიც განსაზღვრავს სამყაროში ადამიანის მოქმედების ხასიათს. ეთნიკური კონსტანტები მოიცავს სიკეთისა და ბოროტების წყაროთა ლოკალიზაციის, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების გზებისა და სხვ. პარადიგმებს. მათი მეშვეობით ადამიანი ახდენს სამყაროს რაციონალიზაციას ისე, რომ მასში შესაძლებელი იყოს ადამიანის აქტივობა, იგი აიგივებს საკუთარ თავს ადამიანთა რომელიმე ერთობასთან, რომლის ფარგლებში შესაძლებელია ერთობლივი მოქმედება. სხვადასხვა ეთნიკურ კულტურას ამ ერთობაზე საკუთარი წარმოდგენა აქვს. სამყაროს ეთნიკური სახე - ესაა ეთნიკური კონსტანტებისა და ფასეულობითი ორიენტაციის ერთობლიობა. კონსტანტებისა და ორიენტაციის თანაფარდობა შეიძლება გან-

¹⁴კოპიტერსიბ. საქართველო და ევროპა: პერიფერიის ცნება საერთაშორისო ურთიერთობებში. - ჟურნ: საზოგადოება და პოლიტიკა, II, თბ., 1999, გვ. 86.

ვიხილოთ როგორც თანაფარდობა მოქმედების პირობებსა და მოქმედების მიზანს შორის.¹⁵

ამრიგად, აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა ლიმიტროფების გავებასთან დაკავშირებით - იქნება ეს პოლიტიკური, გეოპოლიტიკური თუ ეთნოკულტურული კატეგორია. კერძოდ, არსებული რეალობების გათვალისწინებით ლიმიტროფები, ჯერ ერთი წარმოადგენენ ცალკეული ცივილიზაციების ეთნოკულტურული კონტაქტების სფეროს, მეორე, რაც ჩვენთვის მეტად საინტერესოა - „ბუფერულ სივრცეს“, მათი გამყოფებით და მესამე, შეტაკებების ადგილს. და თუკი შესაძლებელია ცივილიზაცია შევადაროთ მყარ ტექტონიკურ ქანებს, მატერიკულ კრისტალური პლატფორმებით, რომელთაც გეოლოგიური მოწყობით ძალუძთ შედარებითი სტაბილურობა, „გარდამავალ ზონებში“ ისინი გეოსინკლინების - ოროგენული რაიონების ანალოგიურია, **ლიმიტროფები მსოფლიო ისტორიის „რიფტული ზონაა“**.

სახელმწიფოთა ნაწილი, ლიმიტროფულ ზონებში, ძირითადად, მოცულობით პატარა და მოსახლეობის სიმცირით ხასიათდებიან. ეს „ჯუჯები“ უმეტეს შემთხვევაში წამყვან სახელმწიფოთა გეოპოლიტიკურ თამაშებში გავლენის ობი-

¹⁵ . . . : (),
.., 1999, 1-2 (6-7), გვ. 25.

ექტებს წარმოადგენენ. თავის მხრივ მათზე ზემოქმედი მსხვილი აქტორები საკუთარი მიზნების რეალიზაციის მიზნით დაშინების ან შანტაჟის პოლიტიკით, კონფლიქტური ზონების ფორმირებით მაქსიმალურად ცდილობენ ცივილიზაციის გარე, სასაზღვრო (მარგინალური) ზონების შექმნას, რათა მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი სახელმწიფო უსაფრთხოება.

Irakli Gorgiladze
Limitrophes in the Geopolitics

Summary

Increasing interest towards the utmost processes or understanding of circumscribed (or confined) significantly stipulated by global processes developed during the end of XX and beginning of XXI century. Globalization and Integration much accompanied not only with creating of uniformity structures, but with fragmentation and localization as well as. Spaces which are not includes in the synthesis, creating zones of uncertainty and indeterminacy.

For determining Frontier zones (civilizations) in political literature can be found term - Limitrophes. By this concept V. Cimbursky determined spaces existed between the core platforms of

civilization and indicated that interaction of civilizations regarding to adjacent Limitrophes presents one of the significant problem. According to Cimbursky this problems does not presents negative “challenge” for existed reality. For the other side it is a chance also, which numerously were used by different ethnos and states.

Article touches some terms connected with problem of understanding of a circumscribed, which has significance for further researches of interesting geopolitical issues.

XX-XXI

,
,
.
,
« »
;
.
,
,
.
.

ერთიანი ევროპა - თეორია მოქმედებაში*ლაშა ბაჟუნაიშვილი*

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში ევროპული სახელმწიფოები მუდმივად შეიარაღებული კონფლიქტების რეჟიმში თანაცხოვრობდნენ. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ, კონფრონტაციის სივრცე კიდევ უფრო გაიზარდა, თუმცა ევროპა კვლავ მოვლენათა განვითარების ეპიცენტრში დარჩა. შექმნილ ვითარებაში ევროპული საზოგადოების ჯანსაღმა ნაწილმა (ჰუმანისტებმა, განმანათლებლებმა და ა.შ.) აქტიურად დაიწყო ფიქრი როგორ მიეღწიათ „მარადიული მშვიდობისათვის“, რომლის ძიებაშიც დაიბადა ევროპის გაერთიანების იდეა. ამ საკითხს არაერთი შრომა მიეძღვნა, მათ შორის ერაზმ როტერდამელის “ომის წინააღმდეგ” (ანუ ვედრება მშვიდობისათვის) (1517), სებასტიან ფრანკის “მშვიდობისათვის საბრძოლო წიგნი” (1539), ქრისტიან ვოლფის „უნივერსალური რესპუბლიკა“ და უილიამ პენის ესსე “ანმყო და მომავალი მშვიდობისათვის ევროპაში” (1693), რომელშიც ევროპულ სახელმწიფოებს გაერთიანების და ევროპული პარლამენტის შექმნისკენ მოუწოდებდა.

ფრანგმა პუბლიცისტმა და სასულიერო მოღვაწემ შარლ-ირენე კასტელმა, (ცნობილია, როგორც აბატი სენ-პი-

ერი (1658-1743 წწ.) 1713 წელს პარიზში გამოაქვეყნა „მარადიული მშვიდობის პროექტი“ (Projet de Paix Perpétuelle) რომელშიც აღნიშნავდა, რომ: „რადგან ომი სუვერენიტეტის ბუნების განუყოფელი ნაწილია, ევროპის წამყვანმა მონარქიულმა სახელმწიფოებმა უსაფრთხოებისა და განვითარების მიზნით უნდა შეკრან ალიანსი (მეფეთა ლიგა), შექმნან მუდმივმოქმედი კონგრესი... და ჩამოაყალიბონ ევროპული კავშირი.“ აბატის მიერ წამოყენებულ მშვიდობის პროექტს 9 ძირითადი საკითხი უნდა გადაეჭრა: მუდმივი გაერთიანების ფორმირება, საერთო თავდაცვა და უსაფრთხოება, ვაჭრობა, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დანესება და მისი მეშვეობით მოკავშირეებს შორის წარმოქმნილი დავების გადაწყვეტა, ურჩების დასჯა და სხვ. სენ-პიერის იდეა იმ პერიოდის აკადემიური და პოლიტიკური წრეებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რის გამოც არაერთხელ გააკრიტიკეს. თუმცა ის კოლექტიური უსაფრთხოებასა და თავდაცვაზე დაფუძნებული რეგიონალური საერთაშორისო წესრიგის ერთერთი პირველი კონცეფცია იყო.

მარადიული მშვიდობისა და ევროპული ფედერაციის შექმნის საკითხს თავის ნაშრომებში არა ერთხელ შეეხო გერმანელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, იურისტი და დიპლომატი გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი (1646-1716). იგი დაიბადა, აღიზარდა და მოღვაწეობდა იმ რეალობაში, სადაც არაერთი საერთო ევროპული ომი მოხდა, რის გამოც ადრეული წლებიდან დაინტერესდა პოლიტიკის და საერთაშორისო

სო ურთიერთობების, განსაკუთრებით კი ევროპის პრობლემებით. მისი თანადროული სენ პიერისგან განსხვავებით, ლაიბნიცი სამართალს (ადამიანის ბუნებით უფლებას, სახელმწიფოს), სახელმწიფოს და საერთაშორისო ვითარებას მეტაფიზიკის ჭრილში განიხილავს და ყურადღებას ქრისტიანული რელიგიის როლზე ამახვილებდა. მისი აზრით, ქრისტიანობა თვით ღმერთის ნებას ავლენს, ამიტომ იგი უნდა იყოს მსოფლიოს (მათ შორის ცალკეული ევროპული სახელმწიფოების და ევროპული ფედერაციის) სოციალური და პოლიტიკური წესრიგის წყარო (Pax-Christiana).

რელიგიის ფაქტორი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ლაიბნიცის მიერ შემოთავაზებულ მარადიული მშვიდობის 3 პუნქტიან წინადადებაში: 1 - რეფორმაციული მოძრაობის შედეგად დაკარგული ქრისტიანული ერთობის აღდგენა, 2 - ევროპის სახელმწიფოებს შორის დაძაბულობის განმუხტვა, მშვიდობის დაამყარება და 3 - აგრესიის ევროპის საზღვრების მიღმა მიმართვა. იგი საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-ს ურჩევდა ევროპის პატარა სახელმწიფოების ნაცვლად ეგვიპტე დაეპყრო, რითაც დიდ დარტყმას მიაყენებდა ოსმალეთის იმპერიას. და ბოლოს, ევროპული კავშირის შექმნა (ქრისტიანული სახელმწიფოების საერთო რესპუბლიკა), რომელიც „მუდმივი ალიანსის“ პრინციპზე იქნებოდა დაფუძნებული და მის საქმიანობას მონაცვლეობით ევროპელი მონარქები გაუძღვებოდნენ. მაგრამ ერთი რომელიმე სუბიექ-

ტის ან მონარქის მხრიდან ხელსუფლების უზურპაციისა ან აბსოლუტიზმის დამყარების თავიდან აცილების მიზნით, ლაიბნიცი რომის პაპის თავმჯდომარეობით ევროპის ფედერალური სასამართლოს შექმნის საკითხს აყენებდა, რომელიც მოკავშირეებს შორის წარმოქმნილ დავებს განსჯდა. სასამართლო აღსრულების ხარჯების დაფარვის მიზნით კი უნდა შექმნილიყო საერთო ხაზინა, რომლითაც საფრანგეთის ან ინგლისის მეფეს „მისივე ფულით აღასრულებდა განჩინებას“.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ფედერალიზმის შესახებ ლაიბნიცის იდეები ჩრდილში დარჩა, სხვადასხვა სფეროში უდიდეს მიღწევებთან ერთად იგი წარმოადგენს ევროპული კოსმოპოლიტიზმისა და ფედერალიზმის მქადაგებელს. მისმა იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა ევროპული ფედერალიზმის და მარადიული მშვიდობის შემდგომ კვლევებზე.

ევროპის გაერთიანებით მუდმივი მშვიდობის დამყარების იდეას მხარს უჭერდა ჟან ჟაკ რუსოც. თავის ესსეებში - „მარადიული მშვიდობა (ევროპის ფედერაციის შექმნის გზით)“ (Lasting Peace Through Federation of Europe 1756 წ.) და „მეომარი ქვეყანა“ (State of War 1761 წ.) რუსო აღნიშნავდა, რომ „...ევროპული სახელმწიფოები რელიგიური იდენტობის, მორალური სტანდარტების, საერთაშორისო სამართალის, დამწერლობის და ვაჭრობის თვალსაზრისით წარმოადგენს ერთ მთელს...“, რაც გაერთიანების საფუძველს ქმნის. მაგ-

რამ „...საკმარისია ევროპას სხვა კუთხით შევხედოთ, ცხადი ხდება, რომ არსებობს მუდმივი დაპირისპირება, ომები, აჯანყებები, ამბოხი, ძარცვა-რბევა და პოლიტიკური მკვლევლობები, რომელიც ყოველდღიურად ანგრევს ფილოსოფიის ღირსშესანიშნავ სახლს, ხელოვნებისა და მეცნიერების ბრწყინვალე ტაძარს“. „...მათ შორის მუდმივი წინააღმდეგობა მკაცრი სამოქალაქო ომია...“

წინამორბედთა მსგავსად, რუსომაც წარმოადგინა მარადიული მშვიდობის საკუთარი ხედვა, რომლის ძირითად არსი ევროპის გაერთიანებაა. „...მშვიდობის მტკიცედ დაცვა ევროპის ფედერაციაში სუვერენული ერების გაერთიანებით, საერთო კანონმდებლობისა და ინსტიტუტების მეშვეობით უნდა მოხდეს.“ რუსო თავის 5 პუნქტიან გეგმაში ამტკიცებდა, რომ პირველ ეტაპზე „აუცილებელია ევროპის სუვერენულმა სახელწმიფოებმა შექმნან მუდმივი და მტკიცე ალიანსი, რომლის მართვისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადვილზე უნდა დაარსდეს მუდმივმოქმედი ორგანო - კონგრესი ან სეიმი. კონგრესში უფლებამოსილი პირები უნდა წარიგზავნოს, სადაც განხილული და გადაწყვეტილი იქნება ყველა ის საკითხი და პრობლემა, რომელიც წევრ სახელმწიფოებს და მათ ურთიერთობებს შეეხება.“ რუსომ ასევე განსაზღვრა კონგრესის უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა, მისი მონაცვლეობითი პრეზიდენტობის წესი და ვადები. საერთო ხარჯების დაფარვის მიზნით მან ასევე შენატანებისა

და მათი განკარგვის საერთო წესი შეიმუშავა. მესამე პუნქტებში აღნიშნა, რომ ფედერაციის რეგულაცია და კეთილდღეობა თანაბრად უნდა გავრცელდეს წევრი-სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულსა და დომინიონზე, რომელიც მას ხელშეკრულების დადების მომენტში გააჩნდა. მეოთხე პუნქტში რუსომ განსაზღვრა ხელშეკრულების დარღვევის სახეები და დამრღვევი სუბიექტის დასჯის მექანიზმები. ფედერაციის პრინციპების უხეშ დარღვევად მოიაზრებდა კონგრესის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულების უარყოფას, ალიანსის საზიანოდ მესამე მხარესთან ხელშეკრულების გაფორმებას, მოკავშირის წინააღმდეგ ომისათვის მზდებას ან/და მასზე შეიარაღებული თავდასხმას. მეხუთე პუნქტში ჩამოაყალიბა კონგრესში წარგზავნილ დელეგატთა ძალაუფლების შემდგომი გაზრდის შესაძლებლობები, საერთო რეგულაციების მიღების წესი და ხმის მიცემის პროცედურა (უბრალო უმრავლესობა, კვალიფიცირებული უმრავლესობა და ერთსულოვნება).

ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებისა და მარადიული მშვიდობის დამყარების გეგმის გარდა, ჟან ჟაკ რუსომ ევროპის ფედერაციის შექმნის შედეგად მოსალოდნელი შედეგებიც იწინასწარმეტყველა: ყველა დავისა და პრობლემის ომის გარეშე გადაწყვეტა; თავისუფალი და უსაფრთხო სავაჭრო ურთიერთობების დამყარება; სამხედრო ხარჯების შემცირება; მოსახლეობის ზრდა; სოფლის მეურნეობის, მატერიალური დოვლათისა და მოსახლეობის კეთილდღეობის

ზრდა. თუმცა სენ-პიერისგან განსხვავებით რუსო უფრო რეალისტური იყო და კარგად აანალიზებდა, რომ იმ პერიოდის ევროპაში მსგავსი წესრიგის ფორმირება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, „რადგან სახელმწიფოები არსებითად ეგონისტურ ქმნილებებს წარმოადგენენ და ისინი არასოდეს ისურვებენ დათმონ თავიანთი სუვერენიტეტი ან დამოუკიდებლობა...“

ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ემანუელ კანტი (1724-1804) თავის ესეში „მარადიული მშვიდობისათვის“ (1795 წ.) აღნიშნავდა, რომ მშვიდობის დაცვისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ყველა ქვეყანაში რესპუბლიკური მმართველობა დამყარდეს, სადაც ხალხი უზენაესი ხელისუფალია და მოქალაქეები მათ მიერვე დაფუძნებული კანონის უზენაესობით იცავენ თავიანთ უფლებებსა და საკუთრებას. მხოლოდ რესპუბლიკებს შეუძლიათ თავისუფალი არჩევანის საფუძველზე შექმნან ფედერაცია, რომელიც საერთო მშვიდობის და თითოეული ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი იქნება. კანტი უარყოფდა მონარქებისა და მონარქიული სახელმწიფოების როლს მუდმივი მშვიდობის საკითხში. „მესაკუთრე მმართველები და პოლიტიკოსები მეზობელ ქვეყნებს თავიანთი ქონების დანამატად აღიქვამენ...“ აქედან გამომდინარე ეწინააღმდეგებოდა გაერთიანების ე.წ. „იმპერიულ მოდელს“ (რომლის მაგალითად, რუსოს რომის იმპერია მოჰყავდა) და აღნიშნავდა, რომ „მსოფლიო ხელისუფლება (გლობალური მმართველობა) დროთა განმავლობაში აუცი-

ლებლად ტირანიაში გადაიზრდება.“ თუმცა კანტის აზრით, ხანგრძლივ პერსპექტივაში ვერც „რესპუბლიკების ფედერაცია ვერ უზრუნველყოფს მარადიულ მშვიდობას, თუკი ყველა რესპუბლიკის ხელისუფალი „ზნეობისა და მოწოდების სიმალლეზე არ იქნება“. ისტორიის უზენაესი მიზანი ზნეობრივი ამოცანაა, ანუ სულ უფრო სრულყოფილი ზნეობრივი წესრიგის განხორციელება. ამ მიზანს ემსახურება სახელმწიფოთა შორის „მუდმივი მშვიდობა“, რომელიც თვით სახელმწიფოთა ცხოვრების ყველაზე მაღალ ჰორიზონტსა და იმ იდეალს წარმოადგენს, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს კაცობრიობა. „ამ ისტორიული მიზნის განხორციელების ძირეული საშუალებაა აღზრდა, რომლის მიზანია, ადამიანს ჩაუნერგოს ზნეობრივი ცხოვრებისა და ისტორიის ზნეობრივი არსის მაღალი გრძნობა. ზნეობრივად სულ უფრო სრულყოფილი ცხოვრებისკენ ლტოლვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ზეიმად იქცევა.“

XIX საუკუნეში მარადიული მშვიდობის დამყარებისა და ევროპის ქვეყნების გაერთიანების ჰიპოთეტური სცენარების შექმნიდან ევროპული საზოგადოება და პოლიტიკური ისტებლიშმენტი პრაქტიკული ნაბიჯების რეალიზებაზე გადავიდა. 1843-1853 წლებში ევროპის სხვადასხვა ქალაქში პაციფისტების, გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეების ორგანიზებით რეგულარული შეხვედრები დაიწყო, რომელიც „მეგობრობისა და მშვიდობის საერთაშორისო კონგრესის“ სახელწოდებით არის ცნობილი. 1849 წლის 22-24

ივნისს მშვიდობის კონგრესი პარიზში გაიმართა, რომლის პრეზიდენტად ვიქტორ ჰიუგო იქნა არჩეული. გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლის დროს, ვ. ჰიუგომ ევროპის შეერთებული შტატების კონცეფცია წამოაყენა და აღნიშნა: „დადგება დღე, როდესაც ამ კონტინენტის ყველა ერი, საკუთარი ინდივიდუალურობის დათმობის გარეშე, მჭიდრო გაერთიანებად შეიკვრება და დიდ ევროპულ ძმობას დაუდებს საფუძველს. დადგება დღე, როდესაც აღარ იარსებებს საბრძოლო ველი, გარდა ბაზრისა (რომელიც იხსნება ვაჭრებისათვის) და სულიერებისა (რომელიც იხსნება იდეებისათვის). დადგება დღე, როდესაც ტყვიასა და ჭურვს ხმის მისაცემად გამზადებული ბიულეტენები შეცვლის“.

ამგვარად, ასწლეულების განმავლობაში „მარადიული მშვიდობის“ ძიებაში ერთიანი ევროპის ფორმირების არაერთი იდეა დაიბადა. ამ იდეების შესაბამისად, მატერიკზე კოლექტიური უსაფრთხოების, თავდაცვისა და საერთო კეთილდღეობის კონცეფციის განხორციელება გარკვეული ფორმით, მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა შესაძლებელი, რამაც თავის მხრივ, უზრუნველყო გლობალურ ასპარეზზე ერთიანი ევროპის ერთერთ ძლიერ სუბიექტად ფორმირება.

Lasha Bazhunaishvili

United Europe – Theory in Action

Summary

During the centuries after collapse of Roman Empire European countries were constantly living in the regime of armed conflicts and resistance. After the Ages of Discoveries space of confrontation were expanded, but Europe still remained epicenter of main controversy. In such situation progressive members of European Society, mostly Humanists and Enlightenments actively begun thinking how to achieve Lasting Peace in Europe. During this quest of Lasting Peace was born Idea of United Europe.

The article presents the ideas of French, German, British and American, philosophers, enlightenments, and writers about creating of United European Federation. There widely publicized activities of pragmatist politicians, statesmen and public figures of XX century aiming to establish Pan-European movement, military alliance, political and economic integration and “United States of Europe” based upon supranational principles. Precisely their ideas and activities made possible to realize collective security, defense and common social welfare in the West Europe after the World War II. Establishment of European Economic Community, later European Union finally set up lasting peace in Old World and ensures creating of united and strong European community in the global political and economic arena.

—

,

.

,

,

,

.

,

(, . .)

« »,

.

,

,

,

XVIII-XIX

.

-

XX

«

»,

,

,

.

,

,

,

,

ლიტერატურა და რესურსები

The Political Writings of William Penn. Introduction and Annotation by Andrew R. Murphy. Published by Liberty Fund, Indianapolis 2002;

An Essay towards the Present and Future of Peace of Europe, by William Penn. First Published in 1693-94. Published by the American Peace Society, Washington DC., 1912;

E. Aksu, Early Notions of Global Governance: Selected Eighteenth-century Proposals for „perpetual Peace“, University of Wales Press, 2008;

Lukas K. Sosoe, Leibniz and European cosmopolitanism, Source: Re-Thinking Europe. Book Series. Vol. 2 – 2015, pp. 4-22;

Jean-Jacques Rousseau, A lasting Peace Through the Federation of Europe and The State of War, translated by C.E. Vaughan, Published by Constable & Company LTD, London 1917;

Céline Spector, The Plan for Perpetual Peace: From Saint-Pierre to Rousseau. From C. Spector, ‘Le Projet de paix

perpétuelle: de Saint-Pierre à Rousseau’, with B. Bachofen, B. Bernardi, and F. Guénard, in *Principes du droit de la guerre, Ecrits sur le Projet de Paix Perpétuelle de l’abbé de Saint-Pierre*, ed. by B. Bachofen, Paris: Vrin, 2008;

Immanuel Kant, *Toward Perpetual Peace*, In *Kant: Political Writings*, 2nd edition, edited by H. Reiss, Published by Cambridge University Press, 1991;

გერმანული ბლიცკრიზის ჩაშლა*ზაზა ბურკაძე*

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში დასავლეთის ფრონტზე განვითარებული საომარი ოპერაციები ეს იყო იმ გეგმის შედეგი, რაც გერმანიის გენერალურმა შტაბმა მისი მეთაურის (1891-1906 წლებში) ალფრედ ფონ შლიფენის ხელმძღვანელობით XX საუკუნის დამდეგს შეიმუშავა.

1892 წლიდან, როცა საფრანგეთ-რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი შეიქმნა, გერმანიის მმართველი წრეებისათვის ცხადი გახდა, რომ მათი მთავარი მოწინააღმდეგენი ევროპაში რუსეთი და საფრანგეთი იყვნენ. 1879 წელს გაფორმებული გერმანია-ავსტრიის სამხედრო კავშირის მიხედვით ავსტრია-რუსეთის კონფლიქტის შემთხვევაში თავისი მოკავშირისათვის გერმანიას დაუყოვნებელი სამხედრო დახმარება უნდა გაენია. სწორედ ამგვარ ურთიერთვალდებულებას ითვალისწინებდა (სხვა სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში) ზემოთაღნიშნული საფრანგეთ-რუსეთის სამხედრო კავშირიც. აქედან გამომდინარე გერმანიას მომავალში ერთდროულად არამარტო რუსეთთან და საფრანგეთთან შეჯახების, არამედ ორ ფრონტზე ბრძოლის საფრთხეც ემუქრებოდა. (Такман, გვ. 44)

1891 წლიდან, მას შემდეგ, რაც შლიფენმა გერმანიის გენერალური შტაბის უფროსის პოსტი დაიკავა, იგი მაშინვე შეუდგა ისეთი გეგმის შემუშავებას, რომლის მეშვეობითაც გერმანიის პოტენციურ მოწინააღმდეგეებზე სწრაფი გამარჯვების მოპოვება იქნებოდა შესაძლებელი. შლიფენის წინამორბედი გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსები მოლტკე-უფროსი და ვალდერზეე რომლებიც თვლიდნენ, რომ გერმანია სამხედრო პოტენციალით რუსეთსა და საფრანგეთს ჩამოუვარდებოდა, მათთან ომში სწრაფ გამარჯვებას საერთოდ შეუძლებლად მიიჩნევდნენ. ისინი მხოლოდ საფრანგეთთან ომსაც ძალზედ სახიფათოდ აღიქვამდნენ. საფრანგეთის სამხედრო ძალების ზრდა და მის აღმოსავლეთ საზღვარზე ციხე-სიმაგრეების მშენებლობა მათი აზრით ამ ქვეყანასთან კონფლიქტში გამარჯვების მოპოვებას მეტად საეჭვოს ხდიდა. ამიტომ იმ შემთხვევაში თუ ორივე პოტენციურ მოწინააღმდეგესთან ომი თავიდან აცილებული ვერ იქნებოდა მოლტკეს და ვალდერზეეს აზრით ამ ომს თავდაცვითი ხასიათი უნდა ქონოდა. დასავლეთში მდინარე რაინზე დაყრდნობით გერმანელებს ფრანგების წინააღმდეგ მტკიცე დაცვითი ხაზი უნდა შეექმნათ, ხოლო მთავარი ძალები აღმოსავლეთ პრუსიაში რუსების შესაკავებლად უნდა გადაესროლა და ამასთან ერთად რუსეთის პოლონეთში შეჭრაც უნდა ეცადათ, რათა საომარი მოქმედება მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ყოფილიყო გადატანილი.

მოლტკე-უფროსისა და ვალდერზეესაგან განსხვავებით შლიფენი უპირატესობას შეტევით ომს ანიჭებდა. მას სჯეროდა, რომ კარგადორგანიზებული და ფართომასშტაბიანი შეტევით მოწინააღმდეგის მთელი ძალების განადგურება ერთ გენერალურ ბრძოლაში ომის დასაწყისშივე იქნებოდა შესაძლებელი. ამასთან ერთად შლიფენი ფიქრობდა, რომ პირველი იერიში არა რუსეთზე, არამედ „ყველაზე უფრო ძლიერ და სახიფათო მტერზე“ (Такман, გვ. 45) საფრანგეთზე უნდა განხორციელებულიყო, რადგან XIX საუკუნის ბოლოს საფრანგეთის არმიის სამობილიზაციო შესაძლებლობები იმდენად გაიზარდა, რომ იგი ამ თვალსაზრისით გერმანიას გაუთანაბრდა. საფრანგეთის სარდლობას მობილიზაციის გამოცხადებიდან ორ კვირაში უკვე შეეძლო გერმანიის საზღვართან ძირითადი ძალების გადასროლა და დიდი შეტევის განხორციელება მაშინ, როცა გერმანიის გენერალური შტაბის გათვლებით რუსეთს, რომელსაც არ გააჩნდა განვითარებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, ამგვარი მანევრების ორგანიზებისათვის დაახლოვებით 40-42 დღე დასჭირდებოდა.

შლიფენის გეგმის (რომელიც საბოლოოდ 1905 წელს მის ნაშრომში „ომი საფრანგეთის წინააღმდეგ“ იქნა ჩამოყალიბებული) მიხედვით გერმანიის შეიარაღებული ძალების დიდი უმრავლესობა (8 არმიიდან 7 არმია) ამ ქვეყნის დასავლეთის საზღვრის გასწვრივ (შვეიცარიიდან ჰოლანდიამდე)

უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული. ამის შემდეგ გერმანულ ცენტრის და მარჯვენა ფლანგის დაჯგუფებებს ფრანგული ციხე-სიმაგრეების გვერდის ავლით შეჭრა ლუქსემბურგსა და ბელგიაში უნდა განეხორციელებინათ. ამ ოპერაციის მსვლელობაში გერმანული მარჯვენა ფლანგი ლიეჟის და ნამიურის ციხე-სიმაგრეების აღების შემდეგ ბრიუსელის ჩრდილოეთიდან შემოვლით, საომარი მოქმედების დაწყებიდან ოცდამეორე დღეს საფრანგეთ-ბელგიის საზღვართან უნდა გასულიყო. ოპერაციის ოცდამეთერთმეტე დღეს გერმანული ნაწილები უკვე საფრანგეთის ტერიტორიის სიღრმეში, ქალაქების ამიენის და ლა ფერის მიდამოებში უნდა ყოფილიყვნენ. შემდეგ ეტაპზე ლა მანშის სრუტესთან მიახლოებულ გერმანული არმიები ჩრდილოეთიდან პარიზის ნამგლისებურ შემოვლით მანევრს განახორციელებდნენ და საფრანგეთის არმიას გერმანული მარცხენა ფლანგისაკენ უკუაგდებდნენ, რომელიც ამ მომენტში ელზას-ლოტარინგიდან შეტევას განახორციელებდა. საბოლოოდ მარნუხებში მოქცეული საფრანგეთის არმია ოპერაციის ორმოცდამეორე დღეს მთლიანად იქნებოდა განადგურებული, რის შემდეგაც გერმანიის სარდლობა მთელ ამ ძალებს აღმოსავლეთით, რუსეთის წინააღმდეგ გადაისროდა. დასავლეთში საომარ მოქმედებათა დასრულებამდე გერმანიის დარჩენილი ძალებს (მე-8 არმია) აღმოსავლეთ პრუსიაში, რუსეთის საზღვარზე თავდაცვითი პოზიციები უნდა დაეკავებინათ. მათი ამოცანა იყო შეენელებინათ რუსეთის ჯარების წინსვლა იმ

შემთხვევაში, თუ რუსეთის სარდლობა საფრანგეთში ოპერაციების დამთავრებამდე აღმოსავლეთ პრუსიაში რაიმე შეტევის ორგანიზებას მაინც მოახერხებდა.

შლიფენი დარწმუნებული იყო, რომ მომავალ ომში, როცა ერთმანეთს მრავალმილიონიანი არმიები დაუპირისპრდებოდნენ, მაინც შესაძლებელი იქნებოდა მოწინააღმდეგის ჯარებზე ფლანგებიდან ღრმა შემოვლითი მანევრების განხორციელება და მთელი მისი ძალების სწრაფი და სრული განადგურება, კართაგენელი სარდლის ჰანიბალის მსგავსად, რომელმაც ძვ. წ. 216 წელს კანესთან ბრძოლაში ორივე ფლანგიდან ერთდროული შემოვლით (ჰანიბალის ამ მანევრს შლიფენი სანიმუშოდ მიიჩნევდა) რიცხოვნობით უპირატესად ჭარბი რომაელთა ჯარები სასტიკად დაამარცხა. შლიფენი თვლიდა, რომ საფრანგეთის სარდლობის მიერ განხორციელებული ყველა ზომის მიუხედავად და კონტინენტზე ინგლისის საექსპედიციო კორპუსის გადმოსხდომის შემთხვევაშიც კი მისი გეგმა წარმატებით იქნებოდა რეალიზებული. თუმცა ითვალისწინებდა რა ფრანგების შეუპოვარ წინააღმდეგობას, იგი ხაზს უსვამდა იმას, რომ გამარჯვებისათვის „ძალზედ მნიშვნელოვანი იყო გერმანული მარჯვენა ფლანგის წინსვლის უზრუნველყოფა გეგმით დადგენილ პოზიციებზე და გეგმით დადგენილ ვადებში“ (Киган, გვ. 30). აუცილებელი იყო აგრეთვე „მტრის ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევა, შეტევის უწყვეტი გაგრძელება და მოწინააღმდეგისათვის ალყიდან თავის დაღწევის თუნდაც მცირე შესაძლებლობის

მოსპობა, რადგან „თუ ფრანგები შეძლებენ მარნასა და სენას იქეთ უკანდახევას ომი დიდხანს გაგრძელდება“ (Киган, გვ. 30). შლიფენი და მისი შტაბი ვარაუდობდნენ, რომ პატარა ბელგია, რომლის სამხედრო ძალები სულ ექვს დივიზიას შეადგენდა, გერმანიის არმიას წინააღმდეგობას არ გაუწევდა და მხოლოდ სიტყვიერი პროტესტით შემოიფარგლებოდა, რის შედეგადაც გერმანიის არმიის წინსვლა დაგეგმილზე უფრო სწრაფი ტემპით წარიმართებოდა. თუმცა ბელგიის მხრიდან წინააღმდეგობის შესაძლებლობა, რისი ბოლომდე გამორიცხვაც არ შეიძლებოდა, გერმანიის გენერალურ შტაბს ძალზედ აშფოთებდა, რადგან ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ხიდების, კავშირგაბმულობის და სარკინიგზო კომუნიკაციების დაზიანება, რასაც პირიქით, შეიძლებოდა გერმანიის სამხედრო ძალების შეტევის ტემპის შენელება და შესაბამისად შლიფენის გეგმით გათვალისწინებული გრაფიკის მნიშვნელოვანი დარღვევა გამოეწვია.

ვინაიდან გერმანულ მარჯვენა ფლანგს, რომელთან ერთად ცენტრის დაჯგუფებასაც უნდა ემოქმედა, დასავლეთის ფრონტზე მთავარი როლი ენიჭებოდა, აქ ძალების იმაზე ბევრად მეტი რაოდენობაც უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული, ვიდრე მარცხენა ფლანგზე, რომელიც გერმანია-საფრანგეთის საზღვარზე იქნებოდა განლაგებული. შლიფენის გეგმის მიხედვით ეს თანაფარდობა უნდა ყოფილიყო 7:1-ზე. ძალთა ამგვარი განაწილება გერმანულ გენერალიტეტს საშუალებას მისცემდა მთელი ოპერაციის განმავლობაში თა-

ვის მარჯვენა ფლანგზე მონინალმდეგესთან შედარებით რიცხოვრივი უპირატესობა ქონოდა და მოკავშირეთა ძალები თანდათანობით გაენადგურებინა, ხოლო რეზერვების ბრძოლაში განუწყვეტელი ჩაბმით გერმანელები უპირატესობას ამ ოპერაციის გადამწყვეტ ფაზაშიც, პარიზისათვის ბრძოლის დროსაც შეინარჩუნებდნენ. ის ფაქტი, რომ მთელი რეზერვები გერმანული მარჯვენა ფლანგისათვის იყო განკუთვნილი, მნიშვნელოვან რისკის ფაქტორს ქმნიდა, რადგან მარცხენა ფლანგი და აღმოსავლეთ პრუსიაში მოქმედი მე-8 არმია ამ რეზერვების გარეშე რჩებოდნენ. მაგრამ შლიფენი დასაშვებად მიიჩნევდა ელზას-ლოტარიინგიის და აღმოსავლეთ პრუსიის დროებით დატოვებას იმისათვის რათა მარჯვენა ფლანგს დასავლეთის ფრონტზე ბლიცკრიგი დადგენილ ვადაში წარმატებით განეხორციელებინა. თუმცა შლიფენის მოთხოვნამ რომ მარჯვენა ფლანგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შესუსტებულიყო, რურის რეგიონის მრეწველთა და აღმოსავლეთ პრუსიელ იუნკერთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რის გამოც ვილჰელმ II-მ (რომელიც თავისი არმიის უპირატესობაში დარწმუნებული, მარჯვენა ფლანგზე ძალების გარკვეულ შემცირებას დიდ საფრთხედ არ მიიჩნევდა) შლიფენი თანამდებობიდან გადააყენა.

გერმანიის გენერალური შტაბის ახალმა მეთაურმა ჰელმუტ ფონ მოლტკემ, რომელსაც ფრანგების წინააღმდეგ მოქმედი თავისი მარცხენა ფლანგის სისუსტე და აღმოსავ-

ლეთ პრუსიაში მყოფი გერმანული ძალების არასაკმაო რაოდენობა მეტად აშფოთებდა, გეგმაში ცვლილებები შეიტანა, რაც მარცხენა ფლანგის გარკვეულ გაძლიერებას ითვალისწინებდა. ამის შედეგად მარჯვენა და მარცხენა ფლანგებს შორის ძალთა თანაფარდობა 7:1-ის ნაცვლად 3:1-მდე იქნა დაყვანილი. (Куличкин, გვ. 35) მაგრამ რისკის ფაქტორი ამით მაინც ვერ აღმოიფხვრა, რადგან შლიფენის გეგმა მეტად სწორხაზოვნად იყო შედგენილი. იგი არ იყო მიმარჯვებული იმ გაუთვალისწინებელი გარემოებებისათვის, რაც საომარი ოპერაციების მსვლელობისას შეიძლებოდა შექმნილიყო. ამასთან ერთად როგორც მოვლენათა მსვლელობამ ცხადყო, ეს გეგმა გერმანიის არმიის შესაძლებლობების გადაჭარბებულ და პირიქით, მოწინააღმდეგეთა ძალების არასათანადოდ რეალურ შეფასებას ემყარებოდა.

ამგვარად შლიფენის გეგმის მიხედვით 1914 წლის 4 აგვისტოს, დასავლეთის ფრონტზე საომარი ოპერაციები გერმანიის არმიის ბელგიაში შეჭრით გაჩაღდა. ამ მომენტში საფრანგეთის არმიის მთავარსარდალმა გენერალმა ჟოფრმა, რომელიც ფიქრობდა, რომ მოწინააღმდეგის მთავარი ძალები საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე, ელზას-ლოტარინგიაში იყვნენ თავმოყრილნი, ამ მიმართულებით გენერალური შეტევის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო. საფრანგეთის დაზვერვამ და გენერალურმა შტაბმა სათანადოდ ვერ შეაფასეს დასავლეთის ფრონტზე თავმოყრილი გერმანული

არმიების საერთო პოტენციალი. ისინი არ ფიქრობდნენ იმას, რომ მოლტკე რეგულარულ ჯარებთან ერთად სარეზერვო ნაწილებსაც გამოიყენებდა. გარდა ამისა მათი გათვლებით მოლტკეს აღმოსავლეთ პრუსიაში რუსების წინააღმდეგ 22 დივიზია ყავდა განლაგებული მაშინ, როცა რეალურად იქ მხოლოდ 11 დივიზია იმყოფებოდა. ფრანგულმა დაზვერვამ გამოიცნო, რომ გერმანელები საფრანგეთის მთელი არმიის ალყაში მოქცევას შეეცდებოდნენ, მაგრამ მან ვერ შეძლო განესაზღვრა ვერც ამ მანევრის გეოგრაფიული მასშტაბი და ვერც იმ ძალების რაოდენობა, რითაც მოწინააღმდეგე მის გახორციელებას შეეცდებოდა. ფრანგული დაზვერვის ვარაუდით გერმანელები ბელგიის ტერიტორიის მხოლოდ მცირე ნაწილს გამოიყენებდნენ და არ შეეცდებოდნენ მთელი ქვეყნის დაკავებას რის გამოც შემოვლითი მანევრის რადიუსი დიდი არ იქნებოდა. ჟოფრს იმედი ქონდა, რომ მოლტკე ძირითადი ძალების კონცენტრირებას ჩრდილოეთსა და სამხრეთში მოახდენდა, რის შედეგადაც გერმანელთა ცენტრი შესუსტდებოდა და ფრანგებიც ძლიერ დარტყმას სწორედ მასზე განახორციელებდნენ. მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა (Хейстингс, გვ. 43).

ავვისტოს შუა რიცხვებში საფრანგეთის ხუთი არმია ელზას-ლოტარინგიაში შეიჭრა. 20 ავვისტოსათვის ფრანგებმა მოწინააღმდეგის ტერიტორიის სიღრმეში წინ 25 კილომეტრით წაიწიეს. მაგრამ გერმანელებმა არდენების მთების ტყიანი ფერდობების გამოყენებით და ტყვიამფრქვევე-

ბის ცეცხლით ფრანგთა შემოტევა შეაჩერეს და ისინი გაჭიანურებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში ჩააბეს (სექტემბრის დამდეგს სანყის პოზიციებზეც უკუაგდეს), რამაც გერმანიის სარდლობას საშუალება მისცა მთელი ყურადღება ბელგიაში მიმდინარე ოპერაციებზე გადაეტანა და ძირითადი ძალებიც იქ გადაესროლა.

თუმცა მიუხედავად ამისა ბელგიაში ბრძოლების დაწყებისთანავე შლიფენის გეგმის განხორციელების თვალსაზრისით გერმანულ გენერალიტეტს მაინც სერიოზული პრობლემები შეექმნა. გერმანელებმა ვერ შეძლეს შეტევისათვის საჭირო ოპერატიული სივრცის მოპოვება. მათთვის მეტად არასასიამოვნო სიურპრიზი იყო ის, რომ ბელგიური ციხე-სიმაგრეების ლიეჟის და ნამიურის ალება, რომლებიც მდინარე მეზზე (მაასი) გადასასვლელებს კეტავდნენ, პირდაპირი იერიშით შეუძლებელი აღმოჩნდა. გერმანელთა სპეციალურ ოპერატიულ შენაერთი, რომელსაც გერმანული გენშტაბის აზრით მთელი ლიეჟის გამაგრებული რაიონი 48 საათში უნდა დაეკავებინა, 4-იდან 6 აგვისტომდე ქალაქის მისადგომებთან გააფთრებულ ბრძოლებს ანარმოებდა. მიუხედავად დიდი ზარალისა გერმანულმა ნაწილებმა მხოლოდ ქალაქის და ციტადელის დაკავება შეძლეს. ლიეჟის ირგვლივ განლაგებული 12 ფორტი, რომელთა სქელი რკინა-ბეტონის კედლების წინააღმდეგ გერმანული საველე არტილერია უძლური აღმოჩნდა, ბრძოლას აგრძელებდა. გერმანელები იძულებულნი გახდნენ ქალაქ ჰესენიდან სარკინიგზო პლატფორ-

მით ლიეჟთან კრუპის ფირმის მიერ დამზადებული ორი მსხვილკალიბრიანი (420 მ. მ.) ქვემეხი გადმოეტანათ რომლებიც სპეციალურად ციხე-სიმაგრეების გასანადგურებლად იყვნენ განკუთვნილნი. მათი ტრანსპორტირება 9-დან 12 აგვისტომდე გაგრძელდა. საბოლოოდ ლიეჟის ფორტების წინააღმდეგობის ჩახშობა მხოლოდ ამ გიგანტური საარტილერიო დანადგარებით 17 აგვისტოსათვის მოხერხდა.

ამის შემდეგ გერმანელებმა შეძლეს შეტევა ბელგიის ტერიტორიის სიღრმეში განევითარებინათ, მაგრამ ამ შეტევის ტემპი თანდათანობით შეანელა ბელგიის მცირერიცხოვანმა არმიამ, რომელიც მტერს შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა. ბელგიაში მიმდინარე ბრძოლები გერმანული სარდლობისათვის დიდ პრობლემად იქცა. შლიფენის გეგმის მკაცრად განსაზღვრული ვადები გერმანელ გენერლებს ხშირად მოწინააღმდეგის გვერდის ავლით (ისე რომ მისი პოზიციების ბოლომდე დაკავება ვერ ხერხდებოდა) დიდი სამხედრო მარშების განხორციელებას აიძულებდა, რის გამოც ამ გადაადგილებებს ბელგიური სამხედრო ნაწილები და განსაკუთრებით სნაიპერები დიდად აბრკოლებდნენ. გერმანული არმიის მანევრები ბელგიაში ამ ქვეყნის სატრანსპორტო კომუნიკაციებმაც შეაფერხა. მათი გამტარუნარიანობა მრავალრიცხოვანი გერმანული სამხედრო შენაერთებისათვის მეტად შეზღუდული აღმოჩნდა. ამას ემატებოდა ბელგიელ პარტიზანთა მოქმედებაც, რომლებიც აფეთქებდნენ ხიდებს და რკინიგზებს, აზიანებდნენ სატელეფონო და სატელეგრა-

ფო ხაზებს, რის შედეგადაც ძალზედ ძნელდებოდა გერმანული ნაწილების საბრძოლო მასალით, სურსათით და მედიკამენტებით მომარაგება, ირღვეოდა კავშირგაბმულობა არამარტო გერმანულ არმიასა და გენერალურ შტაბს, არამედ ცალკეულ კორპუსებს შორისაც კი. უნდა ითქვას, რომ გერმანული არმიების მოძრაობის ტემპი არც მაშინ იყო სწრაფი, როცა იგი დაუბრკოლებლად მიმდინარეობდა, რადგან ჯარისკაცებს, რომელთა დიდი უმრავლესობას ახალწვეულები შეადგენდნენ არ შეეძლოთ ისეთი სისწრაფით მარშირება, როგორც ამას პროფესიონალი სამხედროები განახორციელებდნენ.

მიუხედავად ამ სირთულეებისა გერმანიის არმია ჯერ-ჯერობით მაინც წინ მიიწეოდა. იგი ნამიურის ციხე-სიმაგრეს უახლოვდებოდა. ეს ციხე-სიმაგრე თავისი ფორტებით უკანასკნელი ბასტიონი იყო, რომელიც გერმანულ ჯარებს საფრანგეთში შესაჭრელ გზას უღობავდა. საერთო ოპერატიული ვითარებაც გერმანელთათვის ჯერ-ჯერობით საკმაოდ ხელსაყრელი იყო. ლიეჟის დაკარგვის შემდეგ ბელგიის არმიამ, რომელიც ჯერ კიდევ მოკავშირეთა დახმარების გარეშე იბრძოდა და დედაქალაქის დასაცავად ძალები არ ყოფნიდა, ანტვერპენისაკენ დაიხია უკან. ბელგიის სარდლობა ცდილობდა მთელი დარჩენილი ძალებით ეს უდიდესი პორტი და შესაბამისად ლა მანშის სრუტესთან დამაკავშირებელი კომუნიკაციები შეენარჩუნებინა. 20 აგვისტოს გერმანიის

ჯარებმა ბრიუსელი დაიკავეს, რის შედეგადაც ისინი ბრიუსელ-ნამიურ-დინანის ზღუდეზე გავიდნენ.

როგორც უკვე ითქვა ბელგიაში გერმანელთა ნარმატება საფრანგეთის გენერალური შტაბის შეცდომით იყო განპირობებული. გენერალი ჟოფრი, რომელიც მთავარ მიზნად ელზას-ლოტარინგიის დაკავებას მიიჩნევდა და ძირითადი ძალებით ბრძოლებს ამ მიმართულებით აწარმოებდა, მაშინაც კი, როცა გერმანელებმა იერიში ლიეჟზე მიიტანეს, ფიქრობდა, რომ გერმანული ჯარების კონცენტრაციის დონე ბელგიაში დიდი არ იყო და ისინი მდინარე მეზის ჩრდილოეთ ნაპირზე გადასვლას ვერ შეძლებდნენ. მხოლოდ 15 აგვისტოს, როცა გერმანული ჯარები შეეცადნენ ქალაქი დინანის მახლობლად მეზზე გადებული ხიდები დაეკავებინათ, საფრანგეთის სარდლობა მიხვდა, რომ გერმანელები მთავარი ძალებით დარტყმას სწორედ ბელგიიდან ანხორციელებდნენ და რომ ისინი ბელგიის ტერიტორიის სიღრმეში რაც შეიძლებოდა უფრო მეტად შესვლას და არამარტო საფრანგეთ-ბელგიის საზღვარზე გასვლას, არამედ ლა მანშის სრუტის ფრანგულ სანაპიროსთან მიახლოვებასაც გეგმავდნენ. ჟოფრმა საფრანგეთის მე-5 არმიის (რომელიც ელზას-ლოტარინგიაში შეჭრილი ფრანგული ძალების მარცხენა ფლანგზე მოქმედებდა) სარდალს გენერალ ლანრეზაკს უბრძანა ჩრდილოეთისკენ დაძრულიყო და პოზიციები ბელგიის ტერიტორიაზე, მდინარეების მეზის და სამბრის შესართავთან ქალაქებს დინანს, ნამიურსა და შარლერუას შორის დაეკავე-

ბინა. 21 აგვისტოს ჟოფრმა ბრიტანეთის საექსპედიციო არმიასაც (რომელიც გენერალ ფრენჩის სარდლობით 6-10 აგვისტოს ჩრდილოეთ საფრანგეთში გადმოსხდა და უკვე ქალაქ მობიეჟთან იყო თავმოყრილი) უბრძანა პოზიციები ბელგიურ ქალაქ მონსთან დაეკავებინა და ლანრეზაკის მე-5 არმიასთან კოორდინირებულად ემოქმედა. საფრანგეთის სარდლობამ სამი სარეზერვო დივიზიაც გამოყო, რომელთაც მობიეჟიდან ლა მანშამდე არსებული სივრცე უნდა ჩაეკეტათ.

მაგრამ მოკავშირეთა შორის კოორდინირებული მოქმედება ვერ განხორციელდა. გერმანულმა ძალებმა, რომლებიც რიცხობრივ უპირატესობას (აქ აგრეთვე დიდი როლი მძიმე არტილერიასა და ტყვიამფრქვევებში გერმანელთა უპირატესობამაც ითამაშა) ფლობდნენ, მოკავშირეებს შეერთების საშუალება არ მისცეს და ისინი ცალკე-ცალკე უკუაგდეს. 23 აგვისტოს გერმანელებმა ხელთ იგდეს ნამიურსა და დინანს შორის არსებული ხიდები და მეზის მარცხენა ნაპირზე გადავიდნენ. 24 აგვისტოს სამდღიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ მსხვილკალიბრიანი ქვემეხების გამოყენებით გერმანელებმა ნამიურის ციხე-სიმაგრეც აიღეს. ლანრეზაკის არმიის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. 25 აგვისტოს იგი იძულებული იყო უკან დაეხია და საფრანგეთის ტერიტორიაზე გადმოსულიყო. გერმანელთა წინსვლის შეჩერება ვერც ინგლისის საექსპედიციო არმიამ შეძლო. მართალია 23-24 აგვისტოს მონსთან მიმდინარე ბრძოლებში მან მონი-

ნაალმდეგეს დიდი ზარალი მიაყენა, მაგრამ 25 აგვისტოს ლანრეზაკის არმიის უკანდახევის შემდეგ ინგლისელებიც იძულებულნი გახდნენ მონსი დაეტოვებინათ და ფრანგული ქალაქების კამპრესა ლე კატოსაკენ დაეხიათ უკან.

ამის შემდეგ გერმანული 1-ლი, მე-2 და მე-3 არმიები გენერლების კლიუკის, ბიულოვის და ჰოიზენის სარდლობით ჩრდილოეთ საფრანგეთში შეიჭრნენ. მიუხედავად ამ წარმატებისა შარლერუასთან და მონსთან მიმდინარე ბრძოლებმა (რაც სასაზღვრო ომის სახელწოდებითაა ცნობილი) აშკარად წარმოაჩინა ის ფაქტი, რომ შეტევის ოპერატიული სივრცე გერმანელებმა ვერც ამჯერად შექმნეს. ისინი იძულებულნი იყვნენ ბელგია საფრანგეთის საზღვარზევე ანგლო-ფრანგულ ძალებთან მძიმე ბრძოლებში ჩაბმულიყვნენ. ამასთან ერთად გერმანელებმა ვერც მონინაალმდეგის ალყაში მოქცევა და განადგურება შეძლეს. როგორც ფრანგულმა მე-5 არმიამ, ისე ინგლისურმა შენაერთებმა ორგანიზებულად დაიხიეს უკან და ახალი თავდაცვითი პოზიციები დაიკავეს. აღსანიშნავია ისიც, რომ წინააღმდეგობას აგრძელებდა ბელგიის არმიაც. იგი ქვეყნის ჩრდილოეთით, ქალაქების ანტვერპენის და იპრის მისადგომებთან ჯერ-ჯერობით პოზიციებს ინარჩუნებდა და მონინაალმდეგის მნიშვნელოვან ძალებს იზიდავდა.

თუმცა ამ მომენტში გერმანული გენერალიტეტი ოპტიმისტურად იყო განწყობილი. იგი ეიფორიამ მოიცვა, რადგან სასაზღვრო ბრძოლების შემდეგ ვერდენის ჩრდილო-და-

სავლეთით განლაგებულმა მთელმა ფრანგულმა ჯარებმა (მე-3 და მე-5 არმიები) ინგლისის არმიასთან ერთად საერთო უკანდახევა დაიწყეს. გერმანული არმიები ბოლოს და ბოლოს ჩრდილოეთ საფრანგეთში შეიჭრნენ. შლიფენის გეგმის რწმენა არასოდეს არ იყო ისეთი აბსოლუტური, როგორც ახლა (Уткин, გვ. 139). გერმანული დამრტყმელი მარჯვენა ფლანგის ძალები საფრანგეთის ტერიტორიის სიღრმეში მიიწვედნენ. ისინი 120 კილომეტრიან სიფართის ფრონტზე ანგლო-ფრანგული ძალების მარცხენა ფლანგის შემოვლას ანხორციელებდნენ და პარიზს ჩრდილოეთიდან უახლოვდებოდნენ. სწრაფ გამარჯვებაში დარწმუნებულმა მოლტკემ, რომელიც მოწინააღმდეგის მარცხენა ფლანგის ჯარებს უკვე განადგურებულად თვლიდა გარკვეული ძალები (1/2 დივიზია) ზურგში დარჩენილი ფრანგული ციხე-სიმაგრის მობიეჟის (რომელიც გერმანელებმა მხოლოდ 7 სექტემბერს დაიკავეს) ალყისათვის გადაისროლა, რითაც თავისი მარჯვენა ფლანგი გარკვეულწილად შეასუსტა.

მაგრამ გერმანელ გენერალთა ოპტიმიზმი თანდათან გაიფანტა. მოკავშირეთა უკანდახევა ორგანიზებულად მიმდინარეობდა. მათ ყველა ქვემეხი შეინარჩუნეს. სამხედრო შენაერთები ალყას თავს არიდებდნენ და დანაკარგების შევსებასაც სწრაფად ახდენდნენ (Стойничев, 24). საფრანგეთის არმიის წინააღმდეგობა განუხრელად იზრდებოდა. საფრანგეთის გენერალური შტაბის უფროსმა ჟ. ჟოფრმა თანდათან

გააცნობიერა ის ფაქტი, რომ შექმნილი ვითარებაში ელზას-ლოტარინგიაში შეტევის გაგრძელებას აზრი არ ქონდა და მთელი ძალები მას გერმანული მარჯვენა ფლანგის შესაჩერებლად უნდა მიემართა. 25 აგვისტოს საფრანგეთის გენერალურმა შტაბმა მიიღო გადაწყვეტილება ფრანგული მარჯვენა ფლანგის 1-ლი და მე-2 არმიებიდან მოხსნილი შენაერთებით და სარეზერვო სამხედრო ნაწილებით ახალი მე-6 არმიის ფორმირება მოეხდინა, რომელსაც 2 სექტემბრისათვის პოზიციები ქალაქ ამიენტან ინგლისის არმიის მარცხენა ფლანგზე უნდა დაეკავებინა. ამავე დროს ჩრდილოეთისაკენ უნდა გადაენაცვლა ფრანგულ მე-4 არმიასაც, რის შემდეგაც მე-3, მე-4, მე-5, მე-6 ფრანგული არმიები და ინგლისის საექსპედიციო ძალები გერმანული მარჯვენა ფლანგის და ცენტრის წინააღმდეგ მძლავრ დაჯგუფებას შექმნიდნენ, რომელსაც მონინააღმდეგის წინსვლა უნდა შეეჩერებინა და ხელსაყრელ ვითარებაში კონტრშეტევის განხორციელებაც უნდა ეცადა. გენერალმა ჟოფრმა თავისი მარჯვენა ფლანგიდან მარცხენა ფლანგზე ძალთა დიდი გადაჯგუფება დაიწყო. ამავე დროს 26 და 27 აგვისტოს ბელგიადან უკუუქცეულმა ინგლისის საექსპედიციო ძალებმა და საფრანგეთის მე-5 არმიამ ქალაქებთან ლე კატოსა და გიუიზთან ძლიერი კონტრშეტევები განახორციელეს და გერმანელთა წინსვლა შეაფერხეს, რამაც საფრანგეთის გენერალურ შტაბს ძალთა გადაჯგუფების თვალსაზრისით რამდენიმე დღე მოაგებინა. ამ კონტრშეტევებმა წარმოაჩინა ისიც, რომ მიუხედავად უკან-

დახვევისა ფრანგული და ინგლისური შენაერთები დემორალიზებულნი არ იყვნენ და ბრძოლისუნარიანობას ინარჩუნებდნენ. აგვისტოს ბოლოს ფრანგულ მე-5 და მე-3 არმიებს და ბრიტანულ საექსპედიციო კორპუსს ფრანგული მე-4 და მე-6 არმიები წამოეშველნენ. ანგლო-ფრანგულმა ძალებმა გერმანული მარჯვენა ფლანგის შემტევ დაჯგუფებას ახალი მძლავრი ბარიერი შეუქმნეს. ამის შედეგად გერმანული სამხედრო ნაწილების (რომლებიც თავს მომარაგების ბაზებსაც სულ უფრო შორდებოდნენ) წინსვლა კიდევ უფრო შენედა. ყოფრის ბრძანებით პარიზის ირგვლივ გენერალ ჟ. გალიენის ხელმძღვანელობით სარეზერვო ძალებით განსაკუთრებული გამაგრებული რკალიც შეიქმნა. ამ დროს გერმანულ გენერალიტეტს ახალი პრობლემა გაუჩნდა. იგი იძულებული იყო მარჯვენა ფლანგის შემტევი დაჯგუფება კიდევ უფრო შეესუსტებინა, მისგან გარკვეული შენაერთები (ორი კორპუსი და ერთი საკავალერიო დივიზია) მოეხსნა და ისინი აღმოსავლეთ პრუსიაში რუსების წინააღმდეგ გადაესროლა, რადგან რუსეთის სარდლობამ საკმაოდ კარგად გათვლილი სამობილიზაციო გეგმის შესაბამისად გერმანიის საზღვართან შემტევი დაჯგუფებების კონცენტრაცია და აღმოსავლეთ პრუსიაში შეჭრა იმაზე უფრო ადრე (აგვისტოს შუა რიცხვებში) და იმაზე უფრო დიდი ძალებით (ორი არმია) მოახერხა, ვიდრე ამას გერმანიის სარდლობა მოელოდა. გერმანული გენერალური შტაბისათვის დიდი მოულოდნელობა იყო ისიც, რომ იგი დასავლეთის ფრონტზე მიმდინარე ოპერაციებთან

ერთად თავისი მთავარი მოკავშირის, ავსტრია-უნგრეთი-სათვის სამხედრო დახმარების განევის პრობლემის წინაშეც აღმოჩნდა. შლიფენის გეგმის ავტორები სულაც არ ფიქრობდნენ იმას, რომ ავსტრიის არმია ბალკანეთში პატარა სერბეთის ოკუპაციას სწრაფად ვერ მოახდენდა და იძულებული გახდებოდა საომარი ოპერაციები სერბეთის და რუსეთის წინააღმდეგ ერთდროულად ორ ფრონტზე ეწარმოებინა, რამაც გალიციასა და ბუკოვინაში 1914 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ავსტრიასა და რუსეთს შორის გაჩაღებულ ბრძოლებში ავსტრია-უნგრეთის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შეზღუდა და რუსეთის ჯარებს დუალისტური იმპერიის ტერიტორიაზე შეჭრის საშუალება მისცა. ამასთან ერთად არ გამართლდა გერმანელ გენერალთა ის იმედი, რომ დასავლეთის ფრონტზე მათი ჯარების სწრაფ წინსვლას გერმანიის კიდევ ერთი მოკავშირის იტალიის არმიის აქტიური მოქმედებაც შეუწყობდა ხელს, რომელიც იტალია-საფრანგეთის საზღვარზე საფრანგეთის მნიშვნელოვან ძალებს მიიზიდავდა. გერმანიის ხელისუფლება იძულებული გახდა შეეუებოდა იმ ფაქტს, რომ იტალიის მთავრობამ ომის დასაწყისშივე ნეიტრალიტეტი გამოაცხადა.

შლიფენის გეგმის განხორციელება სერიოზული საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. გერმანელები უკვე ვეღარ ახერხებდნენ მოწინააღმდეგის ძალების მარცხენა ფლანგზე და პარიზზე იმ ფართო შემოვლითი მანევრის განხორციელებას, როგორც ეს შლიფენის მიერ იყო ჩაფიქრებული. საფრანგე-

თის არმია, რომელიც კარგად იყენებდა განვითარებულ სარკინიგზო ქსელს, სწრაფად მოძრაობდა და ახალ პოზიციებს იკავებდა. საფრანგეთის „განადგურებელი“ არმიის წინააღმდეგობის ზრდასთან ერთად მოლტკეს შემფოთებაც იზრდებოდა. მას კარგად ახსოვდა შლიფენის სიტყვები: „ბრძოლის ველზე მოპოვებულ გამარჯვებას, თუკი მას შედეგად გარღვევა ან ალყის შემორტყმა არ მოსდევს, დიდი მნიშვნელობა არა აქვს. უკუგდებული მონინააღმდეგე ახალ პოზიციებს იკავებს, რათა კვლავ განაახლოს ბრძოლა, რომელიც მან დროებით შეწყვიტა. ასეთ ვითარებაში კამპანია კვლავ გაგრძელდება.“ (Такман, გვ. 354).

სექტემბრის დამდეგს საფრანგეთის გენერალური შტაბის ძალისხმევამ თავისი ნაყოფი გამოიღო ახლადშექმნილმა ფრანგულმა მე-6 არმიამ, აგრეთვე მე-3, მე-4, მე-5 არმიებმა და ინგლისი საექსპედიციო ძალებმა (5 დივიზია და 4 ბრიგადა) საფრანგეთის დედაქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთის მისადგომები საიმედოდ გადაკეტეს. აღსანიშნავია, რომ 4 სექტემბერს საფრანგეთის სარდლობამ კიდევ ერთი ახალი მე-9 არმიის შექმნაც დაამთავრა, რომელიც ასევე პარიზთან იქნა გადასროლილი გაძლიერდა. დედაქალაქის გარნიზონი. იგი 6 დივიზიისაგან და ორი პოლკისაგან შედგებოდა, რომელთაც მე-6 არმიასთან ერთად უნდა ემოქმედათ. საერთო ჯამში პარიზთან განლაგებული ანგლო-ფრანგული ძალები 54 ქვეით და 9 ცხენოსან დივიზიას ით-

ვლიდნენ და გერმანული მარჯვენა ფლანგის და ცენტრის 1-ელ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 არმიებს (44 ქვეითი და 5 ცხენოსანი დივიზია) რიცხოვნობიდან მნიშვნელოვნად ჭარბობდნენ.

ვერ შეძლო რა მოწინააღმდეგის მარცხენა ფლანგის და შესაბამისად პარიზის ჩრდილო-დასავლეთიდან შემოვლა, ჯერ კიდევ 28 აგვისტოს 1-ლი არმიის სარდლის კლიუკის ინიციატივით გერმანიის გენერალური შტაბი, რომელიც თავისი ჯარების დიდ დანაკარგებსაც ითვალისწინებდა, იძულებული გახდა შლიფენის გეგმა გარკვეულწილად გადაესინჯა და ახალი გადაწყვეტილება მიეღო. მოლტკეს და გერმანული გენერალიტეტის აზრით შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო შემოვლითი მანევრის რადიუსის შემცირება, პარიზის ამ მანევრის ფარგლებს გარეთ დატოვება და მის მისადგომებთან განლაგებული მოწინააღმდეგის ძალების გარემოცვა და განადგურება. გერმანელ გენერლებს ესმოდათ, რომ ასეთ შემთხვევაში გერმანული დამრტყმელი დაჯგუფების გაშიშვლებული ფლანგი პარიზის გარნიზონის ძალების და პარიზის ჩრდილოეთით განლაგებული ფრანგული მე-6 არმიის დარტყმის საფრთხის ქვეშ ექცეოდა, მაგრამ ისინი ფიქრობდნენ, რომ ფრანგული მე-6 არმიის ფორმირება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული და მას ამ დარტყმისათვის ძალები არ ეყოფოდა, ხოლო პარიზის გარნიზონის ჯარები დედაქალაქის ფარგლების დატოვებას ვერ გაბედავდნენ და ამ ოპერაციას დამოუკიდებლად ვერ განახორციელებდნენ.

30 აგვისტოს გერმანული მარჯვენა ფლანგის ძალები სამხრეთის მიმართულებით დაიძრნენ. 1 სექტემბერს მათ კომპიენი დაიკავეს და პარიზს 50 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდნენ. ამავე დღეს საფრანგეთის მთავარსარდლობამ სამხედრო დაზვერვისაგან ფასდაუდებელი დოკუმენტები მიიღო, რომლებშიც დეტალურად იყო წარმოჩენილი იმ შეტევის მიმართულება, რომელსაც გერმანული 1-ლი არმია ამზადებდა. მოკლული იქნა გერმანელი ოფიცერი, რომელიც გენერალ კლიუკის შტაბიდან თავისი დივიზიის შტაბში ბრუნდებოდა და რომელიც გზააბნეული შემთხვევით ფრანგულ პატრულს გადაეყარა. სხვადასხვა დოკუმენტებთან ერთად მოკლულს უპოვეს რუკა, რომელზედაც არამარტო ნაჩვენები იყო კლიუკის არმიის ძალთა ზუსტი განლაგება, რასაც თავისთავად უაღრესად დიდი მნიშვნელობა ქონდა, არამედ ფანქრით იყო აღნიშნული მეორე დღეს დანიშნული შეტევის მიმართულების ხაზები (Гилберт, გვ. 85). საფრანგეთის გენერალური შტაბისათვის ცხადი გახდა, რომ ჯერ-ჯერობით გერმანელები პარიზის შტურმს არ აპირებდნენ და იერიშს მხოლოდ პარიზთან მყოფ მოკავშირეთა ძალებზე გეგმავდნენ. 3 სექტემბერს მოლტკეს ბრძანებით გერმანული 1-ლი და მე-2 არმიებმა შეტევის მიმართულება კვლავ შეცვალეს. ისინი უკვე სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე მარნასკენ მიემართებოდნენ და ცდილობდნენ პარიზთან განლაგებული მთელი ანგლო-ფრანგული დაჯგუფება გარემოეცვათ. ამავე დროს გერმანიის გენერალურმა შტაბმა, რომელიც სა-

თანადოდ ვერ აფასებდა ამ დაჯგუფების ძალებს, თავისი ცენტრის მე-3, მე-4, და მე-5 არმიებს, რომლებიც აქამდე მარჯვენა ფლანგის 1-ელ და მე-2 არმიებთან ერთად მოქმედებდნენ, ამჯერად ვერდენისაკენ გადაჯგუფება უბრძანა, რათა მათ მე-6 და მე-7 არმიებთან ერთად ამ ქალაქთან ფრანგული მარჯვენა ფლანგის 1-ლი და მე-2 არმიები მოექციათ ალყაში.

თუმცა ძალიან მალე, 4-5 სექტემბერს მიმდინარე ბრძოლების შემდეგ გერმანული გენერალიტეტისათვის ნათელი გახდა, რომ პარიზთან მოქმედი მონინალმდეგის დაჯგუფების ლიკვიდაცია გერმანული მარჯვენა ფლანგის არმიების შესაძლებლობებს აღემატებოდა. მოლტკე იძულებული იყო ელიარებინა: „მონინალმდეგემ თავიდან აიცილა ჩვენი 1-ლი და მე-2 არმიების მიერ განხორციელებული მისი ალყაში მოქცევის მცდელობა და შეძლო პარიზის რაიონში დიდი ძალების თავმოყრა, რომლებიც ჩვენი მარჯვენა ფლანგის წინააღმდეგ არიან მიმართულნი“ (Киган, გვ. 102). გერმანიის გენერალურმა შტაბმა, რომლის რიგებშიც შემოფოთება სულ უფრო იზრდებოდა, 1-ელ და მე-2 არმიებს შეჩერება და თავდაცვაზე გადასვლა უბრძანა.

თუმცა თავდაცვითი პოზიციების შექმნა გერმანელებმა ვეღარ მოასწრეს. 5 სექტემბერს საფრანგეთის სარდლობამ დიდი მასშტაბის კონტრშეტევეითი ოპერაცია წამოიწყო, რომლის მიზანი არამარტო გერმანული 1-ლი არმიის ფლან-

გზე იერიში, არამედ მთელი გერმანული დაჯგუფების მარჯვენა ფლანგის შემოვლა და გარემოცვა იყო. მთავარი დარტყმა მე-6 ფრანგულმა არმიამ განახორციელა, რომელმაც 5 სექტემბერს მდინარე ურკზე (მარნას შენაკადი) გენერალ კლიუკის გერმანული 1-ლი არმიის მარჯვენა ფლანგს შეუტია. კლიუკი იძულებული გახდა თავისი არმიის ძირითადი ძალები მარჯვენა ფლანგზე გადაეჯგუფებინა, რის შედეგადაც კლიუკის და მის მარცხნივ მოქმედ გენერალ ბიულოვის მე-2 გერმანულ არმიებს შორის თითქმის 100 კილომეტრიანი სიფართის თავისუფალი სივრცე წარმოიქმნა. მალე ფრანგული მე-6 არმია პარიზის გარნიზონის ძალებით იქნა გაძლიერებული. გენერალ გალიენის ბრძანებით პარიზის ტაქსების (1200-მდე ავტომობილი) მეშვეობით ფრონტის ხაზზე ქვეითი ბრიგადა იქნა გადასროლილი, რაც ომების ისტორიაში ჯარების ტრანსპორტირებისათვის ავტომობილების გამოყენების პირველი შემთხვევა იყო. მართალია 7 და 8 სექტემბრის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ გერმანულმა 1-ელმა არმიამ ფრანგული მე-6 არმიის წინსვლა შეაჩერა, მაგრამ სამაგიეროდ ფრანგულმა მე-5 არმიამ და ბრიტანულმა საექსპედიციო ძალებმა გერმანულ 1-ელ და მე-2 არმიებს შორის არსებულ სივრცეში შეჭრა განახორციელეს. 9 სექტემბრისათვის გერმანული 1-ელი და მე-2 არმიები ერთმანეთისაგან იზოლირებულნი აღმოჩნდნენ. შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში გერმანიის გენერალური შტაბი იძულებული გახდა

მდგომარეობა ადგილზე შეესწავლა. მოლტკემ 2-ე და 1-ლი არმიების შტაბებში გენერალური შტაბის დაზვერვის უფროსი ვიცეპოლკოვნიკი ჰენჩი გაგზავნა. ჰენჩის მოხსენების შემდეგ ცხადი გახდა, რომ 1-ელ არმიას სრული გარემოცვის საფრთხე ემუქრებოდა, რის გამოც ერთმანეთთან კომუნიკაციის და ერთიანი ფრონტის აღდგენის მიზნით 1-ელ და მე-2 არმიებს სასწრაფოდ უკან უნდა დაეხიათ. ამ მანევრის შემდეგ დაუცველი რჩებოდა მე-3 არმიის ფლანგი, ამიტომ მე-3, მე-4 და მე-5 არმიების უკანდახევაც აუცილებელი ხდებოდა. 10 სექტემბერს მოლტკე იძულებული გახდა გერმანული მარჯვენა ფლანგის და ცენტრის დაჯგუფებების საერთო უკანდახევის ბრძანება გაეცა. 5 გერმანული არმია დაახლოვებით 400 კილომეტრიან სიფართის ფრონტზე მდინარე მარნადან აღმოსავლეთით 100 კილომეტრის მანძილზე, მდინარე ენამდე აღმოჩნდა უკუგდებული, რაც შლიფენის გეგმის ჩაშლას ნიშნავდა.

მარნაზე ბრძოლის შემდეგ ორივე მონინაალმდეგე შეეცადა ერთმანეთის ფლანგების შემოვლითი მანევრები განეხორციელებინა, რის შედეგადაც ისინი ჩრდილოეთით, ლა მანშის სრუტისაკენ დაიძრნენ. ამ ე. წ. „ზღვისკენ სრბოლას“ ფლანდრიაში გაჩაღებული შეტაკებათა მთელი სერია მოყვა. ამ ბრძოლების შედეგად ორივე მონინაალმდეგე ბელგიური სანაპირო ქალაქის ნიუპორტის მიდამოებში გავიდა. ამ ბრძოლებში გერმანელთა მარცხი დასავლეთის ფრონტზე კიდევ უფრო გამოიკვეთა მათ ხელთ იგდეს ლა მანშის სრუ-

ტის მხოლოდ ბელგიური სანაპიროს დიდი ნაწილი. ფრანგული სანაპირო, მისი პორტები (დიუნკერკი, კალე, ბულონი, დიეპი, ჰავრი) და შესაბამისად ინგლისისა და საფრანგეთის დამაკავშირებელი კომუნიკაციები ანტანტის კონტროლის ქვეშ დარჩა.

1914 წლის სამხედრო კამპანია დასავლეთის ფრონტზე საბოლოო ჯამში გერმანიის შეიარაღებული ძალების მარცხით დასრულდა. მართალია გერმანიამ ბელგიის უდიდესი ნაწილი და საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის გარკვეული, ეკონომიკურად მაღალგანვითარებული დეპარტამენტები იგდო ხელთ, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ჩაიშალა შლიფენის გეგმა. გერმანელებმა ვერ შეძლეს საფრანგეთის ომიდან გამოყვანა და ამასთან ერთად ისინი იძულებულნი იყვნენ საომარი ოპერაციები უკვე ერთდროულად ორ ფრონტზე ეწარმოებინათ. ეს კი რესურსების თვალსაზრისით ანტანტის უპირატესობის გამო მომავალში გერმანიას კარგს არაფერს უქადდა. ასეთ ვითარებაში გერმანიის გენერალიტეტმა დასავლეთის ფრონტზე ტრანშეების გამაგრებული სისტემის მოწყობა, ზურგის საგზაო და სარკინიგზო კომუნიკაციების გაუმჯობესება და შესაბამისად თავდაცვაზე გადასვლა არჩია. გერმანიის გენერალური შტაბის აზრით ამ მტკიცე თავდაცვითი სისტემით შესაძლებელი იქნებოდა დაკავებული ტერიტორიების შენარჩუნება მანამ, სანამ გერმანიის ჯარები გადამწყვეტ გამარჯვებას აღმოსავლეთის ფრონტზე მოიპოვებდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

Гилберт М. Первая мировая война. Москва, 2016. Lifeinbooks.net/chto-pochitat/pervaya-mirovaya-voyna-martin-gilbert/

Киган Д. .Первая мировая война. Collib.net/b/185370

Куличкин С. П. На фронтах Первой мировой. Москва, 2014. www.izdat.net/download-book/sergey-pavlovich-kulichkin/115968-na-frontah-pervoy-mirovoi

Стоун Н. Первая мировая война. Москва, 2009. www.e-reading.club/book.php?book=1008262

Такман Б. Августовские пушки. Москва, 1972. http://royallib.com/book/takman_barbara/avgustovskie_pushki.html

Уткин А. И. Первая мировая война. royallib.com/book/utkin-anatoliy/pervaya-mirovaya-voyna.html.

Хейстингс М. Первая мировая война. Катастрофа 1914 года. Москва, 2014. www.izdat.net/download-books/maks-heistings/61208-pervaya-mirovaya-voyna-katastrofa-1914-goda.

„

1914

“ ()

”

“

1914

Zaza Burkadze

German blitzkrieg disruption

Summary

The paper discusses grand-scale military operations on the Western Front at the beginning of World War I, more precisely in August and September of 1914 which largely determined the post-war march and its final result. A detailed description of „Schlieffen Plan“ developed by German General Staff before the war is presented (its separate stages, general essence and military power configurations) by means of which German commanders expected to avoid fighting on two fronts and to gain quick victory over main opponents, France and Russia. Also comprehensively are presented fights in Belgium and Northern France, movement of German right forces, attack directions, French command's maneuvers and power-regrouping, overall war circumstances unforeseen by „Schlieffen Plan“, significant mistakes of German General Staff, battles at Marne and reasons of heavy defeat of German army in this battle and in military campaign on Western Front in 1914 after which Germany was forced to get involved in the protracted war on two fronts simultaneously against Russia and France.

ევროკავშირის ინტეგრაციის და უსაფრთხოების პოლიტიკის შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები*გიგა ფარტენაძე*

კვლევის შესაბამისი დონიდან (საერთაშორისო, ევროპული ან ზენაციონალური და ნაციონალური) გამომდინარე ევროკავშირის ინტეგრაციისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბების მიზეზები შეიძლება განვსაზღვროთ ენდოგენური ან ეგზოგენური ხასიათით. კერძოდ: ის არის როგორც ინტეგრაციის გაღრმავების შედეგი; როგორც ევროკავშირის და აშშ-ს დაპირისპირების და საერთაშორისო არენაზე ევროკავშირის პოლიტიკური როლის გაძლიერების შედეგი; როგორც პასუხი საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებზე; როგორც ევროკავშირის ლიდერი ქვეყნების ინიციატივის შედეგი და ა.შ.

ევროპული ინტეგრაციის შესწავლის კლასიკურ სკოლად მიიჩნევა ფედერალიზმი, რომელიც შეიძლება აღვიქვათ როგორც „ინტელექტუალური რეაქცია“ ორ მსოფლიო ომზე, რომელმაც გააჩანაგა ევროპული ქვეყნები მე-XX ს-ის პირველ ნახევარში. საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი პრობლემად და კონფლიქტის მიზეზად ფედერალისტები მიჩნევენ სუვერენიტეტების დეცენტრალიზაციას - მრავალფეროვანი დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოების

არსებობას, რომლებიც თავს ვერ აღწევენ ურთიერთუნდობლობას, საფრთხეებს, დაპირისპირებას და ძალადობას.

ფედერალისტები გამოდიან საერთაშორისო ურთიერთობებში ანარქიის წინააღმდეგ და გვთავაზობენ ისეთ რევოლუციურ გადაწყვეტას, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო სისტემის საფუძვლებისათვის ძირის გამოთხრას. კერძოდ: ეროვნულ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა და სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების ერთად გაერთიანება.

ფედერალისტების აზრით კონფლიქტების ინსტიტუციონალური გადაწყვეტისათვის მხარეებმა ფედერაციას უნდა გადასცენ მონოპოლია ძალების გამოყენებაზე, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს შეიარაღებული ძალების ფორმირებაზე უპირატეს უფლებას. იმისათვის რომ ზენაციონალურმა მთავრობამ შეძლოს ევროპულ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ისე რეგულირება, როგორც ეროვნული მთავრობა არეგულირებს საკუთარ მოქალაქეებს შორის ურთიერთობებს სახელმწიფოს შიგნით¹⁶.

ფედერალისტების შეხედულებებით შეიძლება აიხსნას თუ რატომ უნდა დადონ სახელმწიფოებმა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, მაგრამ შეუძლებელია მარტივად გავიგოთ ის თუ სახელმწიფოებმა რატომ უნდა დაუშვან ნებაყოფლობით საკუთარი სუვერენიტეტის შეზღუდვა ყველაზე უფრო

¹⁶ H.Suganami, *The Domestic Analogy and World Order Proposals*, Cambridge: Cambridge University Press, 1989.

მგრძნობიარე სფეროში. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ევროკავშირი დღემდე ინტეგრაციისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებისას აპელირებს მხოლოდ წევრი ქვეყნების რესურსებზე და არ ჩქარობს საერთო ევროპული არმიის შექმნაზე. უფრო მეტიც, ზოგიერთი ქვეყნა საერთოდ არ მონაწილეობს უსაფრთხოების პოლიტიკაში.

თანამედროვე ევროპის ინტეგრაციის პროცესი ბევრ საერთო ნიშანს ავლენს „ფედერალიზმის“ მიმართულებასთან. მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს იგი ევროპული ინტეგრაციის კონცეპტუალურ ბაზას წარმოადგენს. უფრო მეტიც ევროპის ინტეგრაციის პროცესი ნავიდა ფუნქციონალური მოდელის გზით, რომელიც საშუალებას იძლევა უბრალო თანამშრომლობის ფარგლებში შესვლას და პირობების მომზადებას შესაძლო ფედერაციისათვის.

საერთაშორისო ინტეგრაციის ფედერალისტური მოდელის ერთ-ერთ მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მისი მთელი მიმზიდველობის პირობებშიც კი მას აქვს წარმატების ნაკლები შანსი, ვიდრე ფუნქციონალისტურ მოდელს, რამდენადაც მასში უფრო მაღალია ნორმების ყველა ელემენტის ხვედრითი წილი.

თუმცა საფუძველი, რომელიც ქმნის ეროვნული სახელმწიფოების უპირატესობას სავალდებულო არაა მაინცდამაინც ჰქონდეს საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი ბუნება. მაგ., ნეოფუნქციონალიზმი პოზიციიდან ევრო-

პული ინტეგრაციის სისტემის საფუძველი არის ზენაციონალური ორგანოების ქსელი, რომელთა ბუნება ასაბუთებს ქვეყნების მისწრაფებას გაერთიანებისკენ. ის არ გამოირჩევა „ფედერალური სრულყოფილებით“ და წარმოადგენს ემპირიულ-ანალიტიკურ მიმართულებას, რომელსაც არ აქვს პრეტენზია გლობალური მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენაზე და აქცენტს აკეთებს მხოლოდ ინტეგრაციის ლოგიკურ ახსნაზე. აქედან გამომდინარე, ინტეგრაცია გაგებულია, როგორც დინამიკური პროცესი, როდესაც ხდება ნაციონალური კომპეტენციების გადაცემა „ახალი ცენტრისათვის და რომლის ინსტიტუტები ფლობენ, ან აქვთ პრეტენზია ზენაციონალურ იურისდიქციაზე“¹⁷. ისინი ინტეგრაციის განვითარების ყველაზე ეფექტურ გზად ქვეყნების საერთო ინტერესების სექტორებში ნაბიჯ-ნაბიჯ დაახლოებას მიიჩნევენ, ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიური კომუნიკაციები, ინდუსტრია, სოციალური, ეკოლოგიური თუ ეკონომიკური პრობლემები რეგიონალურ თუ მსოფლიო დონეზე უბიძგებს ქვეყნებს თანამშრომლობისა და პოლიტიკური ერთობისაკენ. თანამედროვეობის წნეხი კი აიძულებს ხალხს გვერდი აუაროს ერ-სახელმწიფოს და „ახალი პოლიტიკური გაერთიანება“ შექმნას.

ე. ხაასი ამტკიცებს, რომ გადანყვეტილების მიღების ზენაციონალური დონის გამო ეს სისტემა იძენს გვერდით

¹⁷ E.B. Haas, *The Uniting of Europe: Political, Social and Economic Forces, 1950–57*, London, 1958, P. 16

ეფექტს - ანუ ეს არის არაპირდაპირი ჩარევის და პოლიტიკური კონტექსტის გავრცელების პროცესი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში გადანყვეტილებების მიღებაზე¹⁸. მაგ., ეკონომიკური ინტეგრაციის ინტენსიფიკაცია მოთხოვს პოლიტიკური გადანყვეტილების მიღებას და სპეციალური ზენაციონალური ორგანოს შექმნას. საბოლოო ჯამში კი ინტეგრაციას გადადინების ეფექტის გზით თან სდევს ერთი სექტორის მიერ მეორე სექტორზე გავლენის პროცესი. ნაციონალური სახელმწიფოები თანდათანობით აერთიანებენ უფრო და უფრო მეტ უფლებამოსილებას, და ბევრად უფრო მგრძობიარე და საკამათო სფეროშიც კი ლებულობენ ერთობლივ პოლიტიკურ გადანყვეტილებებს¹⁹. უფრო მეტიც, ნეოფუნქციონალისტები ტრადიციულად პოლიტიკის „დაბალ“ და „მაღალ“ სფეროებს გამოჰყოფენ. როგორც თ. რისი აღნიშნავს, საგარეო პოლიტიკის და თავდაცვის საკითხებზე არ ვრცელდება გადადინების ეფექტის დინამიკა, ამიტომაც პოლიტიკის ეს სფეროები რჩება გადანყვეტილების მიღების სახელმწიფოთაშორის დონეზე²⁰. ამის მაგალითად გამოდგება ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკა, სადაც რიგი ზენაციონალური ორგანოების ჩამოყალიბების შესახებ პოლიტიკური გადანყვეტილებები მიი-

¹⁸ იქვე. გვ. 152

¹⁹ P.C. Schmitter, B.Ernst, Haas and the Legacy of Neofunctionalism, *Journal of European Public Policy*, 2005, Vol. 12, 2, p. 166

²⁰ Risse Thomas, Neofunctionalism, European Identity and the Puzzles of European Integration, *Journal of European Public Policy*, 2005, Vol. 12, 2, p.303

ლება მხოლოდ ერთხმად. „მაღალი პოლიტიკის“ დონეზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ინტეგრაცია პირდაპირ შეეხება ნაციონალური სუვერენიტეტის დაცვის საკითხს²¹.

ნეოფუნქციონალიზმის პოზიციიდან გამომდინარე ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება უკვე თავისთავად ასაბუთებს ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ლოგიკას. ის, რომ ევროპულმა სახელმწიფოებმა მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს ეკონომიკურ ინტეგრაციაში და ერთიანი სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. ასევე, ინტეგრაციის შედეგი იყო ზენაციონალური ორგანოების შექმნა. ყველა ეს ფაქტორი ერთობლივად ასაბუთებს პოლიტიკურ ინტეგრაციაზე გადასვლას, ხოლო შემდეგ მის გავრცელებას სამხედრო სფეროზეც.

ამრიგად, ნეოფუნქციონალიზმი ავითარებს იდეას, რომლის თანახმადაც თანამშრომლობის მოთხოვნილება ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ სექტორში ინვესტებს ჯაჭვურ რეაქციას სხვებთან მიმართებითაც, რასაც მოქმედებათა კორდინაციის მიზნით თავისთავად მივყავართ სპეციალიზირებული ზეეროვნული ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობამდე და პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებისაკენ. ისინი ამტკიცებენ ინტეგრაციის ენდოგენურ ხასიათს. მათი აზრი ეკონომიკური ინტეგრაციის დადებითი შედეგები მოქალაქეებში სახელმწი-

²¹ იქვე, გვ. 303-303

ფოების ქვეშევრდომობის შეგნებას შეცვლის. ისინი აქცენტს აკეთებენ რეგიონულ და არა გლობალურ ინტეგრაციაზე.

ამის გარდა, ნეოფუნქციონალისტები მეტ ყურადღებას აქცევენ ინტეგრაციის ინსტიტუციურ მხარეს, განსაკუთრებით მის პოლიტიკურ ასპექტებს. ასევე, ადასტურებენ ინტეგრაციის საფუძვლად მის სტრუქტურულ უზრუნველყოფას. თუმცა მიუთითებენ, რომ ფუნქციონალური ინტეგრაციის ლოგიკა ატარებს არა მექანიკურ, არამედ ნდობით ხასიათს, და თვით ეს პროცესი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე. მათი აზრით, პოლიტიკური ინტეგრაცია შეიძლება გახდეს გარე ეფექტების (მაგ. ეკონომიკური ქმედება) შედეგად ადრე მიღებული გაუაზრებელი, შემთხვევითი ნაბიჯების შედეგი. ვინაიდან ტექნიკური საკითხების გადანყვეტის მიზნით ინტეგრაციას თან სდევს მსგავსი სფეროების ფუნქციური გადაკვეთა, რომელსაც ექსპანსიონისტური ლოგიკით მივყავართ პოლიტიკურ ტრანსფორმაციამდე, რაც ნიშნავს ფორმალური კონტროლის გადაცემას ზენაციონალურ დონეზე. ამ ლოგიკის თანახმად ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკა არის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკიდან ამგვარი ცვლილების შედეგი, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს ეკონომიკური და სავალუტო კავშირიდან. ეს უკანასკნელი კი არის საბაჟო კავშირის შედეგი. ამიტომაც სამხედრო პოლიტიკურ სფეროში

ინტეგრაციის ადრეული მცდელობები ჩაშლისთვის იყო განწირული.

თუმცა, ნეოფუნქციონალიზმს არ შეუძლია იმის ახსნა თუ რატომ ხდებოდა „მეორე მხარდაჭერის“ განვითარება ეკონომიკურ ინტეგრაციასთან პარალელურად, ან რატომ დაიწყო ის განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში და, ან რით დასრულდება. ამას გარდა, თვით ე. ხაასიც გამორიცხავს უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებს საკუთარი თეორიიდან, თუმცა უშვებს იმას, რომ ის შეიძლება მიღებულ იქნეს ეკონომიკურ საკითხებთან და რესურსების შესაბამის განაწილებასთან მიმართებით²², რომლითაც ფაქტობრივად დაკავებულია 2004 წელს შექმნილი ევროპის თავდაცვითი სააგენტო, როგორც ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისი ორგანო. იმის გათვალისწინებით, რომ უსაფრთხოების პოლიტიკის ისტორია ამ დრომდე არის შეუჩერებელი ექსპანსიონისტური განვითარების ისტორია, ნეოფუნქციონალიზმი შეიძლება ჩაითავლოს გარკვეულ თეორიულ ჩარჩოდ მრავალრიცხოვანი აღწერილობითი კვლევების და შრომებისათვის, რომლებიც სწავლობენ ევროპის კომისიის როლს მის განვითარებაში.

დღეისათვის ევროკავშირი აყალიბებს ზენაციონალურ სტრუქტურებს, რომლებიც დაკავებულნი არიან თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებით. შეიარაღების ევროპული

²² E.B., Haas, *International Integration: The European and Universal Process*, International Organization, 1962, Vol. 15, p. 368.

სააგენტოს ფარგლებში ევროკავშირის ქვეყნები ცდილობენ გააერთიანონ საკუთარი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები. ამ ლოგიკიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხოების პოლიტიკის სტრუქტურების განვითარება მივა ერთიანი ევროპული არმიის შექმნამდე. ამ მიმართულებით პირველი მცდელობაა სწრაფი რეაგირების ევროპული ძალების ფორმირება, სამშვიდო მისიების წარმოებისათვის სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის რეესტრის შექმნა.

ზემოაღნიშნული თეორიებისაგან განსხვავებით რეალიზმის თეორია, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური სკოლა, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს სუვერენიტეტის კონცეფციაზე, აღიარებს ნაციონალურ სახელმწიფოს, ნაციონალურ ინტერესებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია უსაფრთხოების თვითუზრუნველყოფა (საგარეო უსაფრთხოება). მათი აზრით ნაციონალური სახელმწიფოები არიან ანარქიული სტრუქტურული საერთაშორისო სისტემის მთავარი აქტორები, რომელთა შორის ურთიერთობები დაფუძნებულია ურთიერთუნდობლობასა და დაპირისპირებაზე²³.

სტრუქტურული რეალიზმი კი საერთაშორისო ურთიერთობების განმსაზღვრელად საერთაშორისო სისტემის სტრუქტურულ მახასიათებლებს მიიჩნევს და არა ამ სისტემის შემადგენელ ნაწილებს. აღნიშნული მიმდინარეობა და-

²³ H. Morgenthau, *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*, New York, 1973.

კავშირებულია კენეტ უოლცის სახელთან. ნეორეალიზმის ფარგლებში არსებობს რამდენიმე ხედვა ევროპაში ინტეგრაციული პროცესების ასახსნელადაც. მათ შორის უსაფრთხოების და თავდაცვის ერთიანი პოლიტიკის ასახსნელად. კ. უოლცის აზრით, გლობალური სისტემის ხასიათი განაპირობებს სახელმწიფოების ქცევას და არა პირიქით. როგორც აღვნიშნეთ, ნეორეალიზმში განმსაზღვრელი არის სტრუქტურის გაგება, რომელიც განიხილება როგორც განაწილების შესაძლებლობები (ძალდატანება და შეზღუდვა), რომლებსაც სისტემა აქცევს საკუთარ ელემენტებად. ქ. უოლცი ფუნდამენტურ ნაშრომში „ადამიანი, სახელმწიფო და ომი“ (1959) გამოყოფს სამ ასეთ სტრუქტურას (სტრუქტურული ტრიადა).

პირველი - ეს არის ყველა სახელმწიფოსათვის მთავრი და საერთო - გადარჩენა. სახელმწიფო მოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიულ გარემოში, რომელშიც მათ არ გააჩნიათ ნდობა ერთმანეთის მიმართ და ყურადღებას მიმართავენ მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაცვაზე. ანარქიული საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი ეფექტია საკუთარი თავის დახმარების იმპერატივი, რაც აიძულებს სახელმწიფოებს დაეყრდნონ მხოლოდ საკუთარ თავს გადარჩენისათვის ბრძოლაში.

მეორე პრინციპი გამოიხატება საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეების განსაზღვრით. თავის ადრეულ

ნაშრომებში ქ. უოლცი იზიარებდა რეალიზმის პოზიციას, რომელის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობების ერთადერთ აქტორად აღიარებული იყო ნაციონალური სახელმწიფო.

მესამე პრინციპი მდგომარეობს სახელმწიფოს მისწრაფებაზე ფლობდეს ბევრად მეტ პოტენციალს. ამ თეზისმა ქ. უოლცი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ნაკლებად ძლიერი სახელმწიფო დომინირებული ქვეყნის წინაშე განცდის გარკვეულ უკმაყოფილებას, რის გამო მუდმივად ავლენს მისწრაფებას შეცვალოს სისტემის ბალანსი. თუკი მათ ეს მოახერხეს და დაიკავეს ჰეგემონის პოზიცია, მაშინ უნდა ელოდოს ახალ გამონვევას სხვა უკმაყოფილო სახელმწიფოებისაგან. ძალთა ბალანსის ასეთი განსაზღვრება კარგად აღწერს საერთაშორისო ურთიერთობებს ევროპაში ახალი ისტორიის პერიოდში. ხოლო, შემდეგ ზესახელმწიფოების არსებობას „ცივი ომის“ დროს. ამგვარი ლოგიკით ევროპული ინტეგრაცია განხილულია როგორც ევროპული სახელმწიფოების პასუხი ბიპოლარულობის გამონვევაზე - მცდელობა დაებრუნებინათ წამყვანი სახელმწიფოს სტატუსი.

ქ. უოლცი კი აკეთებს დასკვნას, რომ საერთაშორისო სტრუქტურები განისაზღვრება შესაბამისი ეპოქის ძირითადი პოლიტიკური ერთეულების მიერ ეს იქნება ქალაქ-სახელმწიფოები, იმპერიები და ნაციონალური სახელმწიფოები. ამრიგად, თუკი ევროპის სახელმწიფოები ურთიერთშორის შეინაჩუნებენ ბალანსს, მაშინ მათ შეუძლიათ გამოვიდ-

ნენ ერთად და მართონ სხვა ქვეყნები. რაც ნიშნავს, რომ ევროკავშირი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთიანი აქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც მზადაა უპასუხოს ეთპოლუსიანი მსოფლიოს გამოწვევებს²⁴. ასეთი ახსნა საშუალებას იძლევა ევროპული ინტეგრაცია ჩავსვათ სტრუქტურული საერთაშორისო ურთიერთობების კონცეფციაში. სწორედ ბიპოლარული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში ევროპულმა ინტეგრაციამ მიიღო იმპულსები ეკონომიკურ და ნაწილობრივ პოლიტიკურ სფეროებში.

ამრიგად, საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ერთიანობის დემონსტრირებით სტრუქტურული ნეორეალიზმი საერთაშორისო პოლიტიკის ავტონომიურობას უსვამს ხაზს. საერთაშორისო პოლიტიკის ეს ავტონომიურობა საერთაშორისო ურთიერთობების ბუნების თეორიული განზოგადების საშუალებას იძლევა.

სტრუქტურული ნეორეალიზმმა ბევრი რამ ისესხა კლასიკური რეალიზმისაგან, მათ შორის სახელმწიფოების, როგორც რაციონალური და უნიტარული მოქმედი პირების თეზისი და ძალაუფლების, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრალური თემის ცნება.

სტრუქტურული ნეორეალიზმი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო სისტემის კონფიგურაციის ხასიათს. საერთაშორისო სისტემა განაპირობებს სახელმწი-

²⁴ D. Norris, Neorealism and the European Union Balance of Power in the Post-Cold War Era, 2002, 207 p. 40.

ფოების გათვლებს, ქცევასა და ურთიერთქმედებას. ამიტომაც სახელმწიფოების სტრატეგიული თანამშრომლობა, განსაკუთრებით კი თავდაცვის სფეროში რეალისტებისათვის ყოველთვის იყო გამოწვევა მისი ახსნისათვის. ერთ-ერთი ასეთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ გახდა ევროპული ინტეგრაციის პრობლემა, რაც უოლცისთვის განსაკუთრებული მოვლენაა, რომელიც ვერასდროს მიიღებს სამხედრო და პოლიტიკური კავშირის სახეს²⁵. მოგვიანებით, როცა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკამ რეალური ხორცშესხმა დაიწყო, ის მიუთითებდა რომ ევროკავშირი გახდება მსოფლიო პოლიტიკის აქტორი მხოლოდ მას შემდეგ, რაც გარდაიქმნება სახელმწიფოდ, რაც ნაკლებად სავარაუდოა²⁶. ამავე დროს ნეორეალისტებმა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობა და ნატო მიიჩნიეს ცივი ომის პირმშოდ, რომელთა შექმნა განპირობებული იყო კაპიტალისტური ბანაკის კონსოლიდაციის აუცილებლობით, ხოლო მის დასრულების შემდეგ იწინასწარმეტყველეს მისი დაშლა, რაც ევროპას ჩაძირავდა მე-19 ს-ის ნაციონალიზმში²⁷.

იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ახსნისას ნეორეალისტები გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან, ეს მიმართულება შეიძლება

²⁵ K. Walz, *Theory of International Politics*, London, 1979.

²⁶ K. Walz, *Structural Realism After the Cold War*, *International Security*, 2000, Vol. 25/1, p. 5–41.

²⁷ J. Mearsheimer, *Back to the Future: Instability in Europe After the Cold War*, *International Security*, 1990, Vol. 15/1, p.46

სასარგებლოც იყოს იმ ეგზოგენური მიზეზების ასახსნელად, რომლებსაც ნევრი-სახელმწიფოები აწყდებიან მისი შექმნის გზაზე. უსაფრთხოების ინსტიტუტებში ნებისმიერ ცვლილებას ნეორეალისტები უკავშირებენ სიტუაციის პრობლემის ცვლილებას, რომლებმაც შეიძლება მიგვიყვანოს ორგანიზაციის შესაბამის ტრანსფორმაციამდეც კი, რომელიც შეიქმნება სრულიად სხვა მიზნისთვის.

ამრიგად, სტრუქტურული რეალიზმის მიხედვით საკუთრივ ევროკავშირის ინტეგრაცია და შემდგომ მისი თანმდევი უსაფრთხოების პოლიტიკის შექმნა უშუალო რეზულტატი იყო საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში XX ს-ის 80-90-იანი წლების მიჯნაზე მომხდარი ცვლილებებისა. კერძოდ საბჭოთა საფრთხის გაქრობა, აშშ-ს, როგორც დასავლეთ ევროპის უსაფრთხოების გარანტის და ევროპის როგორც შესაძლო საბრძოლო თეატრის მნიშვნელობის შესუსტება, რამაც ევროპის ქვეყნები დააყენა საკუთარი უსაფრთხოების დამოუკიდებლად უზრუნველყოფის აუცილებლობის წინაშე²⁸. ერთადერთი ზესახელმწიფოს (აშშ) არსებობა თავისთავად იწვევს სხვა ქვეყნების მხრიდან მისი ბალანსირების აუცილებლობას, მათ შორის თავდაცვითი ძალების კონსოლიდაციის და უსაფრთხოების და, თავდაცვის

²⁸ J. Howorth, *The EU's Security and Defence Policy: Towards a Strategic Approach*, International Relations and the European Union, New York, Oxford University Press, 2011, p.203.

საერთო პოლიტიკის წარმოების²⁹. გერმანიის გაერთიანება აუცილებელს ხდიდა მის ინსტიტუციონალური, მათ შორის სამხედრო-პოლიტიკურ ფორმით შეკავებას, თავი რომ აერიდებინათ გერმანული ჰეგემონობისათვის ევროპაში.

კლასიკური ნეორეალიზმის მიხედვით ევროპული ინტეგრაციის მთავრი მიზანი იყო არა საერთო პოტენციალის განვითარება, არამედ თანამშრომლობის გზით ცალკეული სახელმწიფოების გაძლიერება³⁰. საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიულობის ლოგიკიდან გამომდინარე ბიპოლარული სისტემის დასრულება ნიშნავდა ევროპული სახელმწიფოების დაბრუნებას მრავალპოლუსობისა და ძალთა ბალანსის ძიებისკენ. თუმცა, ცივი ომის დასრულების შემდეგ მსოფლიო აღმოჩნდა ერთი დომინირებული ზესახელმწიფოს პირისპირ, ისე რომ მოკლე დროში არც კი არსებობდა რაიმე ახალი ალტერნატივა, ახალი ძალთა ბალანსის დამყარებისათვის.

ინტეგრაციული პროცესების განვითარებაზე პასუხის გაცემის მცდელობების დროს, ნეორეალიზმის ბევრმა იდეოლოგმა მოახდინა კლასიკური რეალიზმის კანონების ხელახალი გააზრება და ჩამოაყალიბა ახალი ხედვები. მაგ., „თავდაცვითი“ რელიზმის მომხრეები, სახელმწიფოში ხედავენ რაციონალურ აქტორს, რომელსაც ურჩევნია დაპირისპირე-

²⁹ B. Posen, European Union Security and Defence Policy: Response to Unipolarity? Security Studies, 2006, Vol. 15/2.

³⁰ R. Gilpin, No-one Loves Political Realist, Security Studies, 1996, Vol. 5, 3. p. 19.

ბა ან თანამშრომლობა მათი ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომაც, ძალთა ბალანსში ისინი მოიაზრებენ სახელმწიფოების გაერთიანების იდეას საკუთარი პოტენციალის გაზრდისათვის³¹. აქედან გამომდინარე, ევროპული ინტეგრაცია ნეორეალიზმის მიხედვით განიხილება როგორც მონინალ-მდეგებს შორის კავშირი. ეს მათ საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ მშვიდობის მდგომარეობა ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებს შორის და გააძლიერონ მათი საერთო პოტენციალი საგარეო საფრთხეებთან მიმართებით³². უფრო მეტიც, ნეორეალისტი, უოლტი გვთავაზობს საფრთხის ბალანსის ალტერნატიულ თეორიას, რომელიც გულისხმობს იმას, რომ სისტემაში სახელმწიფოები ერთიანდებიან ბევრად უფრო საშიში და არა უძლიერესი სახელმწიფოს წინააღმდეგ³³.

ამრიგად, ევროპის ინტეგრაცია, მათ შორის უსაფრთხოების სფეროში გამოწვეულია არა ევროპის სახელმწიფოების შიშით აშშ-ის დომინირებული მდგომარეობის, არამედ ახალი საფრთხეების თუ ძალთა ახალი პოლუსების წარმოქმნის გამო. მსგავს აზრს ავითარებს ა. თრიჩერი და მიუთითებს, რომ ევროკავშირის სამხედრო თანამშრომლობა ჩა-

³¹ C. Glasser, *Realists as Optimists: Cooperation as Self-Help*, *International Security*, 1995, Vol. 19, 3, p. 60.

³² P. Weilsman, *Intimate Enemies: The Politics of Peacetime Alliances*, *Security Studies*, 1997, Vol. 7, 1, p. 191.

³³ S.M., Walt, *The Progressive Power of Realism*, *American Political Science Review*, 1997, Vol. 91, 4, p. 933.

მოყალიბდა ცივი ომის შემდეგომ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ტრანსფორმაციის და ახალი საფრთხეების გაჩენის შედეგად, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის სახელმწიფოები იძულებულნი არიან გააერთიანონ ეროვნული რესურსები³⁴.

ევროპულ ინტეგრაციას და მით უფრო ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებას ზოგიერთი ნეორეალისტი ხსნის როგორც „მსუბუქ ბალანსირებას“, რაც გულისხმობს აშშ-თან პოლიტიკურ და არა სამხედრო დაპირისპირებას, რომელიც მიმართულია ევროკავშირის, როგორც მსოფლიო პოლიტიკური ლიდერის როლის გაზრდაზე.³⁵

აღსანიშნავია, რომ ევროპული სახელმწიფოები ბევრად უფრო ორიენტირებულნი არიან საერთაშორისო სამართლის არსებული ნორმების ფარგლებში გადაწყვიტონ საერთაშორისო კრიზისები ჯერ კიდევ ინტეგრაციული პროცესების დასაწყისიდანვე, მაშინ როცა აშშ-ი უფრო მიმართავს მკაცრ, პრევენციულ ღონისძიებებს და შეიარაღებული ძალების გამოყენებას. ამიტომაც საკუთარი ღირებულებების დაცვა აშშ-ს გავლენის გარეშე, ასევე აერთიანებს ევროპის სახელმწიფოებს.

³⁴ A. Treacher, From Civilian Power to Military Actor: The EU's Resistable Transformation, *European Foreign Affairs Review*, 2004, Vol. 9, 1, p. 52.

³⁵ S.G.Brooks, W.C. Wohlforth, Hard Times for Soft Balancing, *International Security*, 2005, Vol. 30, № 1, p. 91-93.

ვინაიდან ევროკავშირი არ განიცდის აშშ-ს მხრიდან პირდაპირ სამხედრო საფრთხეს, ამიტომ ის იმყოფება აშშ-თან სამხედრო დახმარებით დამოკიდებულებაში. მაგ., 1999 წელს კოსოვოს კრიზისის დროს ევროკავშირმა ვერ შეძლო დამოუკიდებელი სამხედრო მოქმედებების განხორციელება. უფრო მეტიც, აშშ-თან ეს დამოკიდებულება გავლენას ახდენს ევროკავშირის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე სხვა ქვეყნებთან. აქედან გამომდინარე, ევროკავშირს სჭირდება უსაფრთხოების პოლიტიკა. როგორც ბ. პოზენი აღნიშნავს „თუკი ევროპელებს სურთ გავლენა მოახდინონ საერთაშორისო უსაფრთხოებაზე. აუცილებელია აჩვენონ გლობალური შესაძლებლობები, მათ შორის სამხედრო.“³⁶

ერთპოლუსიანი თუ მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის დროს არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ერთადერთი ზესახელმწიფოს ჰეგემონია შეიძლება შესუსტებულ იქნეს სახელმწიფოთა დაჯგუფების მიერ, რაც თავის მხრივ შეიძლება გახდეს ბიპოლარულობის თავისებური სახე. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არასტაბილურობის ზრდამ და ახალი საფრთხეების გამოჩენამ ასევე შეიძლება დააჩქაროს სახელმწიფოთა ცალკეული ჯგუფის ინტეგრაციული პროცესები ბიპოლარული სისტემის აღდგენის აუცილებლობის გარეშე. ამ ტენდენციის დასტურია თუნ-

³⁶ B.R. Posen, European Union Security and Defence Policy: Response to Unipolarity? Security Studies, 2006, Vol. 15, 2, p. 159.

დაც ევროკავშირი და მისი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა.

ამრიგად, ნეორელაზიმი ცდილობს ზოგადად ახსნას ევროპის ინტეგრაცია და ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის ლოგიკა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ურთიერთგავლენის და ნაციონალური სახელმწიფოების ანალიზის გზით. ევროკავშირის ის აღიქვას როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ერთიანი აქტორს.

ერთის მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სტრუქტურა ფლობს განსაზღვრულ პოლარულობას, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ძალთა ბალანსს. ამავე დროს, საგარეო საფრთხის ფაქტორი გვევლინება ინტეგრაციული პროცესების კატალიზატორად უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში. სწორედაც ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შექმნა აუცილებელი გახდა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ტურბულენტურობის* პერიოდში. მეორეს მხრივ, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმატება სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაციის სფეროში ცვლის არსებულ ძალთა ბალანსს, მით უფრო თუ თვითონ უწყობს ხელს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სტრუქტურის ტრანსფორმაციას.

* მოძრაობის რეჟიმი, რომელიც ხასიათდება დინების ქაოსური ცვლილებით.

ამრიგად, რეალიზმზე დაფუძნებული თეორიის მიხედვით ევროკავშირში ყველაფერი ხდება წევრი სახელმწიფოების მთავრობების ინტერესების მიხედვით და არაფერი მათი ნებართვის გარეშე.

რეალიზმის თეორიული სკოლის საწინააღმდეგოდ ლიბერალური თეორია საერთაშორისო სისტემის მთავარ აქტორებად აღიარებს როგორც სახელმწიფოებს, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებს, ტრანსნაციონალურ გაერთიანებებს, პოლიტიკურ პარტიებს და ინტერესთა ჯგუფებს, რომელთა შორის ურთიერთობები და მათი ინსტიტუციონალიზაცია ამცირებს ანარქიას, საერთაშორისო გარემოს კონფლიქტურობას, რომელიც გამონწვეულია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ინტერესებით. პლურალისტები ფიქრობენ, რომ ევროპული ინტეგრაცია წინასწარგანსაზღვრული პროცესია და თუ სახელმწიფოები ინტეგრაციაში ერთვებიან, ისინი მიისწრაფვიან “სახელმწიფოების კავშირისაკენ” (Community of States), რაც აუცილებლად გულისხმობს ინტეგრაციის მაღალ დონეს, თუმცა აუცილებლად სუვერენიტეტის შენარჩუნებით.

აქტორების ფართო გაგება და საერთაშორისო თანამშრომლობის ოპტიმალური შეფასება განაპირობებს ლიბერალების დადებით დამოკიდებულებას ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტებისადმი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლიბერალიზმი არის არ ერთიანი კონცეფცია, არამედ

გარკვეულ თანაზიარ თეორიათა - დემოკრატიული, ინსტიტუციონალური, კომერციული და ა.შ., რიგი.

მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალები ევროპის ინტეგრაციას ხსნიან როგორც ომის შემდგომი დემოკრატიზაციის, ეკონომიკის აღდგენის, გლობალიზაციის შედეგს და ანარქიის დაძლევის საშუალებას, ისინი არ განიხილავენ კონკრეტულად უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებს და მას რეალისტებს ანდობენ. თუმცა, ლიბერალურ თეორიებს შეუძლიათ პასუხი გასცენ ბევრ კითხვას, რომელიც დაკავშირებულია ევროპულ ინტეგრაციასთან და მის უსაფრთხოების პოლიტიკასთან. მაგ., საზოგადოებრივი კეთილდღეობის თეორიით შიძლება აიხსნას, თუ რატომაა რომ ნევრი-ქვეყნები ვერ ახერხებენ აღებული ვალდებულებების შესრულებას. ურთიერთდამოკიდებულების თეორიის მიხედვით შეიძლება აიხსნას რატომაა ეკონომიკური ინტეგრაცია წარმატებული, ვიდრე სამხედრო-პოლიტიკური. ხოლო ნატოსა და ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის თანაარსებობის ახსნა შესაძლებელია ალიანსების ეკონომიკური თეორიის მიხედვით.

ცნობილია, რომ მსოფლიო პოლიტიკაში ევროკავშირი ასოცირდება „მსუბუქი ძალის“ პოლიტიკის და უსაფრთხოების გამონწვევებზე რეაგირებისათვის არასამხედრო ინსტრუმენტების უპირატეს გამოყენებასთან.

ევროპის ინტეგრაციის სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ინტერგოვერნმენტალიზმი³⁷ კი ევროპის ინტეგრაციას განიხილავს საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე განსაზღვრული ინტერესების თანხვედრისათვის სახელმწიფოთაშორის რეჟიმს, რომელიც გავლენას ახდენს ზენაციონალურ დონეზე უფლებების გადაცემის კუთხით მთავრობის გადანყვეტილებებზე. იმდენად, რამდენადაც უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის კუთხით გადანყვეტილებების მიღება რჩება ეროვნულ დონეზე და თემა არ წარმოადგენს რელევანტურს შიდაპოლიტიკურ დებატებში, ამ თეორიის გამოყენება ანალიტიკური კუთხით საეჭვოა, რასაც ცალკეული მცდელობები კიდევაც ადასტურებს. მიუხედავად ამისა ის შეიძლება დაგვეხმაროს მთავრობების პოზიციების და მათი ცვლილებების ასახსნელად იმ მოლაპარაკებებზე, რომელიც ეხება უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას, ხოლო მათი საშუალებით კი ინტეგრაციის წარმატებები ან პირიქით. აღსანიშნავია, რომ ამ თეორიაში თავის გამოხატულება ჰპოვა ასევე ნეორეალიზმმაც. კერძოდ, როცა საუბარი მიდის ინტეგრაციულ პროცესებში ნაციონალური ინტერესების და ნაციონალური მთავრობების განსაზღვრულ როლზე. იმის გამო, რომ ზენაციონალური ინსტიტუტები მარგინალურ როლს თამაშობენ ევროკავ-

³⁷ A. Moravcsik, Preferences and power in the European Community: a liberal intergovernmentalist approach, *Journal of Common Market Studies*, 1993, Vol. 31/4.

შირის უსაფრთხოების პოლიტიკაში, ძალიან ბევრი ნაშრომი სწორედ ამ თეორიის სულისკვეთებითაა დაწერილი.

არანაკლებ საინტერესოა საკითხის განხილვა ინსტიტუციონალიზმის³⁸, უფრო სწორედ კი მისი ერთ ერთი მიმდინარეობის ისტორიული ინსტიტუციონალიზმის³⁹ ჭრილში. ეს უკანასკნელი ევროპის ინტეგრაციის ფენომენს ხსნის ევროპული უსაფრთხოების ინსტიტუტების მრავალწლიანი განვითარების საშუალებით, რომელშიც გულისხმობენ როგორც ნატოს ფარგლებში თანამშრომლობის დადებით გამოცდილებას, ასევე სტრუქტურული დეფიციტის არსებობით, რომელიც იწვევს ახალი ინსტიტუტების შექმნას. ეს სკოლა აღიარებს პიროვნების როლს ისტორიაში და აქედან გამომდინარე თითოეული მისაღები გადაწყვეტილება ან იბლოკება ან ეძლევა შესაძლებლობა შემდგომი ინსტიტუციონალური განვითარებისათვის, როგორც ეს არის ევროპის ინ-

³⁸ ინსტიტუციონალიზმიც არ შეიძლება ჩაითვალოს ერთიან მიმდინარეობად: ის შეიძლება წარმოვიდგინოთ მეტ-ნაკლებად განსხვავებული „ინსტიტუციონალიზმების“ კრებულად, კომპლემენტარულობის განსხვავებული მიდრეკილებებით, რომელთაც აერთიანებთ ინტერესი ინსტიტუტთა შესწავლისადმი და მათი მნიშვნელობის აღიარება. ბ.გი პეტერსი გამოყოფს შემდეგ მიმდინარეობებს: 1. ნორმატიული ინსტიტუციონალიზმი; 2. რაციონალური არჩევანის თეორიის სინთეზი ინსტიტუციონალიზმთან; 3. ისტორიული ინსტიტუციონალიზმი; 4. ემპირიული ინსტიტუციონალიზმი; 5. სოციოლოგიური ინსტიტუციონალიზმი; 6. ინტერესთა წარმომადგენლობის ინსტიტუციონალური ანალიზი.

³⁹ M. Morisse-Schilbach, *Historischer Institutionalismus, Theorien der europäischen Integration*, 2006.

ტეგრაციის თუ მისი უსაფრთხოების პოლიტიკის შემთხვევაში 1945 წლიდან⁴⁰.

ევროპულ ინტეგრაციაზე ალტერნატიულ შეხედულებას აყილებს სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიაც⁴¹. საერთოდ, კონსტრუქტივისტები მსოფლიოს წარმოიდგენენ როგორც სოციალურ კონსტრუქციას, რომელიც შექმნილია ადამიანების მიერ, მათი აზრების და იდეების მეშვეობით. ნებისმიერ კონსტრუქციას აქვს მატერიალური მხარე, მაგრამ იგი მხოლოდ მეორეხარისხოვანია ანუ, ფიზიკური ელემენტი არსებობს მაგრამ იგი არაფერს წარმოადგენს ინტელექტუალური ელემენტის გარეშე, რომელიც მას აძლევს მნიშვნელობას, გეგმავს, ორგანიზებას უკეთებს და წარმართავს.

მათ მიაჩნიათ, რომ აზრს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო უსაფრთხოებაში ვიდრე ფიზიკურ საგნებს, ისინი არაფერს წარმოადგენენ ინტელექტუალური კომპონენტის გარეშე. საერთაშორისო სისტემა მათი თქმით არის იდეათა კონა, გარკვეული ნააზრევი, ნორმათა სისტემები, რომლებიც მონესრიგებულ იქნა გარკვეული ხალხის მიერ გარკვეულ დროში და გარკვეულ ადგილას. აქედან ლოგიკური დასკვნა არის ის, რომ თუ ფიქრები და იდეები, რომლებიც შეადგენენ საერთაშორისო სისტემას შეიცვლებიან,

⁴⁰ C. Reynolds, Understanding the emergence of the European security and defence policy: An historical institutionalist analysis, Baden-Baden: Nomos, 2010.

⁴¹ T. Risse, Social Constructivism and European Integration, European Integration Theory, Oxford, 2004.

მაშინ შეიცვლება თვითონ სისტემაც. ეს ხდება იმიტომ, რომ სისტემა არსებობს ნააზრევში და იდეებში. მათი აზრით თვით დახმარება და ძალისმიერი პოლიტიკა არ არის ანარქიის არც ლოგიკური და არც მიზეზობრივი შედეგი და თუკი დღეს ჩვენ ვცხოვრობთ თვით დახმარების სამყაროში ეს არის პროცესის შედეგი.

მართალია ისინი აღიარებენ მთავარ ონტოლოგიურ დასკვნებს იმის შესახებ, რომ თანამედროვე სახელმწიფოთა სისტემა ეფუძნება თვით დახმარებას, მაგრამ ცდილობენ აჩვენონ, რომ არ არის აუცილებელი ანარქიამ წარმოშვას თვით დახმარებითობა. თვით დახმარება და ძალისმიერი პოლიტიკა არის სოციალური კონსტრუქცია ანარქიის პირობებში. ისინი ამტკიცებენ, რომ თვით დახმარება მხოლოდ ინსტიტუტია და არა ანარქიის ბუნებრივი დანამატი. იგი სახელმწიფოებმა შექმნეს და სახელმწიფოებსვე შეუძლიათ შეცვალონ⁴².

ამრიგად, ამ თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ პოლიტიკაში კოგნიტურ ასპექტებს და ინსტიტუტებში მოიაზრებენ სოციალურ კონსტრუქციებს, რომლებიც გამოხატავენ იდეებს, ღირებულებებს, ნორმებს და პროცედურებს, როგორც ეს ევროკავშირის სახითაა წარმოდგენილი დღეისათვის. კონსტრუქტივისტული ანალიზის მიხედვით ევროპული უსაფრთხოების ჩამოყალიბებაზე გრძელვადიანი თანამ-

⁴² A. Wendt, „Anarchy is What States Make of It: The social construction of Power Politics”, *International Organization*, 46/2, 1992, p. 395.

შრომლობა და პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება მას გადაიყვანს კოლექტიურ/საერთოევროპულ იდენტობაში, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოები განსაზღვრავენ თავიანთ ვიწრო ინტერესებს. ალ. ვენდტის აზრით, ეს ნიშნავს, რომ რაოდენ ეგოისტური მიზნებითაც არ უნდა წამოწყებულიყო თანამშრომლობა, მან შეცვალა აღნიშნული მიზნები ახალი იდენტობებისა და ინტერესების გაჩენით.

ევროპის ინტეგრაციისა და ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის ანალიზისათვის ასევე საინტერესოა ევროპეიზაციის თეორია⁴³, რომლის თანახმადაც ევროკავშირის ნორმების შეთვისება ხდება საგარეო პოლიტიკური აქტორების მიერ და გავლენას ახდენს მათ აღქმაზე/ქცევაზე. ამ თეორიით შეიძლება აიხსნას უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკასთან მიმართებით ნაციონალური კონცეფციების დინამიკა/სტატიკა.

ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ცალკეული ასპექტის შესასწავლად ასევე საყურადღებოა იდენტობის თეორია, რომლის თანახმადაც ეროვნული იდენტობა როგორც სოციალური ფენომენი განაპირობებს ინტერესებს და მისთვის უპირატესობის მინიჭებას საგარეო პოლიტიკაშიც. ამ თეორიით შეიძლება აიხსნას ევროკავშირის წევრი ქვეყნების შეთანხმება თუ შეუთანხმებლობა უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკასთან მიმართებით.

⁴³ J.P. Olson, The Many Faces of Europeanisation, Journal of Common Market Studies, 2002, Vol. 40/5.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული თეორიები მართალია სრულად ვერ ხსნიან ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას, მაგრამ შეიძლება გამოყენებულნი იქნენ მისი ცალკეული ასპექტების ასახსნელად. თითოეულ განხილულ თეორიას აქვს საკუთარი ჩამოყალიბებული ხედვები ევროპული ინტეგრაციის და, შესაბამისად უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შექმნის მიზეზების შესახებ. ერთნი მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბების მიზეზებია საერთაშორისო არენაზე მიმდინარე პროცესების შედეგად საგარეო ფაქტორების გავლენა და საკუთრივ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა; მეორენი ხაზს უსვამენ ევროპულ დონეზე სახელმწიფოების თანამშრომლობის უპრეცედენტო და ზენაციონალური სტრუქტურების როლს; ხოლო მესამენი კონცენტრირდებიან შიდა ფაქტორების გავლენაზე. შესაბამისად, მსგავსი ხედვების ახსნა მიმდინარეობს საერთაშორისო, ნაციონალური და შიდასახელმწიფოებრივ ფაქტორების შესწავლით.

-

, , : ,
, , / ,
, ,
, ,
, , .
, :
;
;
;
-
.
, ,
.

Giga Phartenadze

**Theoretical-methodological basics of studying European
Union's integration and security policy**

Summary

The European Union's integration and security policy can be discussed in the context of international policy theories, in particular, federalism, neo-functionalism, neo-realism, liberalism/pluralism, historical institutionalism, European identity, Europeanization and constructivism.

The reasons of developing European Union's integration and security policy can be defined by indigenous and exogenous factors.

It is a result of deepened integration, strained relations between the EU and USA and strengthened EU's political role at the international arena, an answer to modern international security challenges, and a result of EU's leading countries' initiative, etc.

These theories do not fully explain the European Union's security and defense policy but can be used in order to explain certain aspects. Each theory has its own views about reasons for creating European integration and defense policy. One considers that reasons for developing the European Union's security and defense policy are external factors at the international arena and the structure of international system. The other emphasizes the role of states' cooperation at European level and supranational structures. As for the third they are concentrated on internal factors. Therefore, similar views can be explained by international, national and state factors.

**სახელმწიფო სიგოლოჯის მნიშვნელოვა და
გამოყენების სპეციფიკა პროტოკოლში***ნატალია ლაზბა*

თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციის და ინტერნაციონალიზაციის, ენერგეტიკული რესურსებით მდიდარ რეგიონებსა და გავლენის სფეროებისთვის ბრძოლის, საერთაშორისო სისტემაში კონფლიქტურობის ზრდის ფონზე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში დიპლომატიურ, საგარეო-პოლიტიკურ და საერთაშორისო ურთიერთობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ.

საერთაშორისო პოლიტიკაში საერთაშორისო სამართლებრივი და მორალური ნორმების როლის ზრდის კვალობაზე საერთაშორისო საზოგადოება კიდევ უფრო მეტად იხრება კონფლიქტების მოგვარების „რბილი სტრატეგიისკენ“, რომელშიც დიპლომატიის როლი უპირობოდ მნიშვნელოვანია.

სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების დიპლომატიური პრაქტიკა საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. თავის დროზე დიპლომატიური პროტოკოლის ფორმირება განაპირობა შესაბამისი წესების, რეგულაციის აუცილებლობამ. უცხოელი დელეგაციების დახვედრა/გაცილება დიპლომატიური პროტოკოლის თითქმის ყოველდღიური,

რთული საქმიანობა გახდა. ის ხელი უწყობს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ა.შ. ხასიათის საკითხების გადაწყვეტას. პროტოკოლი ეფუძნება „საერთაშორისო თავაზიანობის“ პრინციპს, ანუ ზოგადად აღიარებული ეტიკეტს, გახდა რომელიც არეგულირებს სახელმწიფოთა ურთიერთობებს და რომელშიც სახელმწიფო სიმბოლიკის გამოყენებას ან/და მისდამი დამოკიდებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აღსანიშნავია, რომ არცერთი უმაღლესი და მაღალი ფორმატის ვიზიტი, მოლაპარაკების პროცესი, საქმიანი ურთიერთობები არ ტარდება მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო სიმბოლიკის ფიქსაციის გარეშე. ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო პროტოკოლის პრაქტიკაში არსებობს სახელმწიფო სიმბოლოების სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი გამოყენების ეტიკეტი.

სახელმწიფო სიმბოლიკა სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის მნიშვნელოვან კომპონენტია. სახელმწიფო სიმბოლოების ცოდნა და დაცვა როგორც ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთ აუცილებელია ყველა მოქალაქისათვის, მათი შეურაცხყოფა კი ერის და სახელმწიფოს ღირსების შეურაცხყოფად ითვლება. ყოველგვარი უპატივცემლობა, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლოების მიმართ, შეიძლება განხილული იქნეს, როგორც შეგნებული შეურაცხმყოფელი ქმე-

დება, რომელიც ამ კონკრეტული ქვეყნის მისამართით არის მიმართული.

სახელმწიფო სიმბოლოები საშუალებას გვაძლევენ, შევისწავლოთ კონკრეტული ქვეყნის ისტორიული წარსული, გავეცნოთ ხალხთა კულტურას, პოლიტიკური ხელისუფლების ხასიათს და სხვა. სახელმწიფო სიმბოლოები განსაზღვრავენ ქვეყნის პოლიტიკურ კურსის სტრატეგიას, ხალხის ისტორიულ-კულტურული ტრადიციების მემკვიდრეობას.

გერბის, დროშის და ჰიმნის სტატუსი და გამოყენების წესი ჩვენ ქვეყანაში დაფიქსირებულია ორგანულ კანონებში გერბის, დროშისა და ჰიმნის შესახებ.

სახელმწიფო გერბი არის კანონმდებლობით დამტკიცებული და ჰერალდიკურად გაფორმებული სახელმწიფოს ემბლემა, რომელიც ქმნის სახელმწიფო ერთგვარ სახეს საერთაშორისო არენაზე. იგი წარმოადგენს სუვერენიტეტისა და საერთაშორისო აღიარების საგანს. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად ადგენს საქართველოს სახელმწიფო გერბის, როგორც სახელმწიფო სიმბოლოს, აღწერილობას, მისი გამოსახვის ფორმებს, გამოყენების სფეროს და დაცვის წესს. მისი გამოყენების სფეროებს წარმოადგენს: სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები, რომელთა სამართლებრივ აქტებზე, ბლანკებზე, ბეჭდებსა და შტამპებზე სრული სახით გამოსახება სახელმწიფო გერბი, მათ შორის: ა) საქართველოს კონსტიტუციით გათვალის-

ნინებული უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები; ბ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია; გ) საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები, საზღვარგარეთ საქართველოს სხვა ოფიციალური წარმომადგენლობები; დ) საქართველოს პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები; ე) საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო საკონტროლო-გამშვები პუნქტები; ვ) სამხედრო ნაწილები; ზ) სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები; თ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები; ი) საქართველოს საერთო სასამართლოები.

2. სავალდებულოა სახელმწიფო გერბის სრული სახით განთავსება აგრეთვე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოების შენობების ფასადზე და სხდომათა დარბაზებში, თანამდებობის პირთა სამუშაო ოთახებში. 3. სახელმწიფო გერბი სრული სახით გამოისახება: ა) საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადებისას; ბ) საქართველოს ფულის ნიშნებზე (ბანკნოტებსა და მონეტებზე); გ) უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემულ სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებზე.

ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, აგრეთვე პოლიტიკურ პარტიებსა და შემოქმედებით კავშირებს ეკრძალებათ სახელმწიფო გერბის გამოყენება შენობე-

ბის ფასადზე, ბეჭდებზე, შტამპებზე, ბლანკებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებზე.

სახელმწიფო დროშა წარმოადგენს ქვეყნის სახელმწიფო ძალაუფლებას. დიპლომატიური პროტოკოლი ითვალისწინებს დროშის გამოყენების მკაცრ წესებს.

სახელმწიფო დროშის აღმართვა ხდება მზის ამოსვლასთან ერთად, ხოლო დაშვება მზის ჩასვლასთან ერთად. თუ დროშა უნდა ეკიდოს რამდენიმე დღის განმავლობაში, მას აუცილებლად დაუშვებენ ყოველ საღამოს და კვლავ აღმართავენ ყოველ დილით. თუ დროშა უნდა იყოს აღმართული 24 სთ. და მეტი, მასზე აუცილებლად უნდა იყოს ხელოვნური განათება.

სახელმწიფოების უმეტესობა ითვალისწინებს ამ წესს და ცდილობს მაქსიმალურად გააკონტროლოს მისი შესრულება ყველა საჯარო დაწესებულებაში, სკოლების და უმაღლეს სასწავლებლების ჩათვლით.

დროშის აღმართვა ნებისმიერ ადგილას აკრძალულია, ამისათვის არსებობს სპეციალურად განკუთვნილი ადგილები სახელმწიფო დაწესებულებებში და სამხედრო ნაწილებში, აგრეთვე შესაძლებელია დროშების გამოყენება ოფიციალური ღონისძიებების ჩატარების დროს.

აგრეთვე, არ შეიძლება ერთ ფლაგშტოკზე ორი დროშის აღმართვა - ერთი მეორის ქვემოთ. დროშა არასოდეს არ უნდა ეხებოდეს მიწას, იატაკს ან წყალს. მას არ აყოლებენ საფლავში. ზოგ სახელმწიფოში საპატიო დაკრძალვის ცერე-

მონიის დროს დროშა გადაფარებულია კუბოზე. დაკრძალვის შემდეგ ის გადაეცემა ოჯახის წევრებს.

სამგლოვიარო დღეების გამოცხადების შემდეგ დროშას ჯერ აღმართავენ ფლაგშტოკის ბოლომდე და მერე ჩამოუშვებენ მის ნახევრამდე, დროშას ებმება შავი ლენტი. ეს ტრადიცია მოდის ინგლისელი მეზღვაურებებისგან. ბრძოლების შემდეგ, დროშას დაუშვებდნენ ზუსტად მისი ზომის მიხედვით. მანძილი დაშვებულ დროშამდე სიმბოლურად ეთმობოდა სიკვდილის უხილავ დროშას (დღეს ამ წესს ითვალისწინებს მხოლოდ დიდი ბრიტანეთში).

აკრძალულია დროშის არასწორი (უკუღმა) აღმართვა, რაც ერის ან ხალხის მიმართ უპატივცემლობის დემონსტრირებად ითვლება. თანაბარი სუბიექტების (მაგ. სახელმწიფოები) დროშები ყოველთვის მზადდება ერთი ზომის და აღიმართება ერთ სიმაღლეზე.

თუ რამდენიმე თანაბარი დროშა იდგმება ვერტიკალურად, ითვალისწინებენ თანმიმდევრობას: უფრო პრივილეგირებულ ადგილად ითვლება ცენტრი და მაცურებლიდან მარცხენა მხარე.

ნაკლებად მნიშვნელოვანი სუბიექტების დროშები არ შეიძლება იყოს მოთავსებული უფრო მაღლა, აგრეთვე მისი ზომა არ უნდა აღემატებოდეს სხვა მნიშვნელოვანი სუბიექტების დროშების ზომას.

ყველაზე ხშირად, ქვეყნების სახელმწიფო დროშებს, ერთდროულად გამოფენის შემთხვევაში, განათავსებენ ან-

ბანის მიხედვით, რომელიც შეესაბამება სახელმწიფოების სახელწოდებას (ლათინური ანბანის, ან იმ ქვეყნის ანბანის მიხედვით, სადაც ხდება დროშების გამოფენა).

ჰიმნი, როგორც დროშა და გერბი წარმოადგენს სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოს და გამოხატავს დროშისა და გერბის „მუსიკალურ ექვივალენტს“. ჰიმნის შესრულება ხდება ოფიციალურ ცერემონიებზე შიდაპოლიტიკურ ან საერთაშორისო ცერემონიებზე. როგორც წესი, ოფიციალურ შეხვედრებზე, ჰიმნის შესრულების დროს დგებიან ფეხზე.

ამრიგად, ყოველ სახელმწიფოს გააჩნია სიმბოლოების გამოყენების საკუთარი წესი. თუმცა ყველა სახელმწიფოში უმთავრესია სტუმართმოყვარეობის და პატივისცემის დაცვის პრინციპი. ამავე დროს სიმბოლოების გამოყენება პირდაპირ დაკავშირებული იმაზე თუ სად ტარდება შეხვედრა, მონაწილე მხარეების შორის ურთიერთობის ხარისხზე და ა.შ. ერთი რამ ცხადია საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფოთშორის ჩამოყალიბებული დიპლომატიური ურთიერთობების პრაქტიკა უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო სისტემის სტაბილურობის და საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

ჭიპაშვილი ჰ. დიპლომატია, თბილისი, 2008 წ.

ჭიპაშვილი ჰ. დიპლომატიის ანბანი, თბილისი, 1999 წ.

საქართველოს ორგანული კანონი გერბის შესახებ, 2005 წ.

საქართველოს ორგანული კანონი დროშის შესახებ, 2008 წ.

საქართველოს ორგანული კანონი ჰიმნის შესახებ, 2004 წ.

ლაზბა ნ. სახელმწიფო სიმბოლიკა ქვეყნის რეალობას გამომხატავს, მისი სავიზიტო ბარათია. გაზეთი „აჭარა“, #119, 2016 წ.

[] //
« .
».

URL:
http://www.flm.su/elements/magazine/view_full.php?id

, ., 2013 .

Natalia Lazba

**The meaning of state symbols and specific features of its
usage in protocol**

Summary

Looking through basic state symbols used in practice of international relations it is necessary to indicate that in each state there are own rules of using symbols. All basic aspects require following of principles of mutual respect and hospitality. Usage of symbols is connected with reasons, place of meeting, and relations between states. In this regard it is possible to talk about meaning of symbols in international relations as it is a way of courtesy formed within years, fixed in diplomatic protocol and necessary for friendly relations and achieving planned goals.

**თურქეთი ევროკავშირის გზაზე - მეოცე
საუკუნის რეფორმები***გურამ საფარიძე*

თურქეთი საქართველოსათვის მნიშვნელოვანი პარტნიორია. თუ ავიღებთ ბოლო 10 წლის მონაცემებს, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის დაახლოებით 16% თურქეთზე მოდის. თურქეთი არის ერთადერთი სახმელეთო „ხიდი“ საქართველოსა და ევროკავშირის გაერთიანებას შორის. გარდა ამისა, მას გააჩნია ევროკავშირთან ინტეგრაციის გამოცდილება მრავალი ათწლეულის განმავლობაში, რაც ჩვენთვისაც საგარეო ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრიორიტეტს წარმოადგენს.

თურქეთის ევროკავშირში შესვლის საკითხი დიდი ხანია, დღის წესრიგში დგას. მოლაპარაკებები ამ საკითხზე რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობს. ჩატარებული რეფორმების მიუხედავად, რომლებიც ევროკავშირთან ინტეგრაციაში უნდა დახმარებოდა ქვეყანას, ევროკავშირი ახალ-ახალ ნაკლსა და მიზეზებს პოულობს იმისთვის, რომ გააჭიანუროს პროცესი. როგორც მკვლევარები წერენ, თურქეთის ევროპის კავშირში შესვლის პროცესი შენელებულია: მხოლოდ 14 საკითხი 33 მოსალაპარაკებელი თემიდან გაიხსნა ბოლო 10 წლის განმავლობაში (ბოლო გაიხსნა 2013

ნლის ნომებერში) და ერთი დროებით დაიხურა. [Chislett, 2015]

თურქეთი ევროკავშირის ასოცირებული წევრია 1964 წლიდან [European Communities, 1973]. 1996 წლიდან იგი ევროკავშირთან საბაჟო კავშირის მონაწილეა, რამაც მოითხოვა ქვეყნისგან საბაჟო გადასახადების, რაოდენობრივი შეზღუდვების და სხვა ბარიერების სფეროში ცვლილებების განხორციელება [Togan, 2012]. ცხადია, ევროპასთან ინტეგრირების შემდეგ ნაბიჯს ქვეყნისთვის ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობა წარმოადგენს.

ევროკავშირში შესვლაზე ფორმალური განაცხადი თურქეთმა 1987 წელს გააკეთა.¹² წელი დასჭირდა ევროკავშირს, რათა ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსი მიენიჭებინა. 1999 წელს კანდიდატის სტატუსის მინიჭებიდან კიდევ ექვსმა წელმა განვლო, სანამ მხარეები უშუალოდ მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდებოდნენ. 2005 წლიდან თურქეთ-ევროკავშირის მოლაპარაკებების ძირითად თემას ადამიანის უფლებათა დაცვა წარმოადგენს [EuropeanComission, 2015]. რაც შეეხება თურქეთის ეკონომიკურ მდგომარეობას, მოლაპარაკებების პროცესში ამაზე ევროკავშირის მხრიდან სულ უფრო ნაკლები შენიშვნები ისმის.

თურქეთის ევროკავშირში განწევრიანების მისწრაფებას თავისი პრეისტორია გააჩნია. საუკუნეების განმავლობაში, თურქეთის ოსმალური იმპერია სუბპერსახელმწიფოს წარმოადგენდა, თუმცა, დასავლეთის სწრაფმა პროგრესმა თან-

დათან წარმოაჩინა იმპერიის არაკონკურენტუნარიანობა სხვადასხვა, მათ შორის ეკონომიკის, სფეროში. პირველი მსოფლიო ომის შედეგად იმპერია დაიშალა. მეტიც, საფრთხე შეექმნა ქვეყნის დამოუკიდებლობასაც.

ქვეყნის მოდერნიზაციის აუცილებლობა დგება მაშინ, როდესაც ვლინდება სხვა ქვეყნებთან შედარებით ჩამორჩენა. ამდენად, თურქეთი იძულებული გახდა ცვლილებების გზას დადგომოდა. 1923 წელს, რესპუბლიკის დაარსების შემდეგ, თურქეთმა მუსტაფა ქემალ ათათურქის ლიდერობით, მიზნად დაისახა მანკიერი და არაეფექტური სახელმწიფოებრივი სისტემის ვესტერნიზაცია და დასავლური ტიპის საერო საზოგადოების ჩამოყალიბება. გარკვეული „აქტივი“, რაც ქვეყანას იმ პერიოდისათვის გააჩნდა, კოლონიური წარსულის მქონე ქვეყნებისგან განსხვავებით, იყო სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობა და სახელმწიფოებრივი მართვის გამოცდილება, შედარებით ძლიერი არმია და სამხედრო საქმის გამოცდილება, რაზეც დაფუძნებული გახლდათ ქემალისტურ-ლაიცისტური⁴⁴ რეჟიმი ათწლეულების განმავლობაში.

ქვეყნის ტრანსფორმაციის შემდგომი განვითარება მეტწილად განპირობებული იყო ევროპაში მიმდინარე რთული პროცესებით. თანამედროვე ტიპის დასავლური სახელ-

⁴⁴ლაიციზმი - სახელმწიფოში რელიგიის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა; საფრანგეთში დაწყებული მოძრაობა სახელმწიფოს სეკულარიზაციისათვის.

მნიშვნელობის ჩამოყალიბებამდე, რამაც შემდგომში შესაძლებელი გახდა უფრო მჭიდრო ინტეგრაცია, ევროპამ გაუძლო სხვადასხვა გამონვევებს: ულტრამემარცხენე სოციალისტური იდეოლოგიის ზენოლას, ავტორიტარიზმს, ეკონომიკურ კრიზისებს, განავითარა დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის, კანონის უზენაესობის, სიტყვის თავისუფლების პოზიციები. თურქეთის განვითარება ევროპაში მიმდინარე ხსენებული მოვლენების ფონზე გამოირჩეოდა იმით, რომ განუღო იქნა დიდი ძალისხმევა, რათა თურქეთი, როგორც სახელმწიფო, ანაქრონიზმად არ წარმოჩენილიყო თანამედროვე ევროპის გვერდზე. მართალია, საბოლოო შედეგი, ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობა ჯერ არ არის მიღწეული, თუმცა ამის პერსპექტივა რეალურად არსებობს, რასაც ევროპის კავშირის მესვეურებიც აღიარებენ.

ცვლილებების პროცესში ძირითადი აქცენტი გაკეთდა ეკონომიკურ რეფორმებზე [Rahman, 2015]. მეოცე საუკუნის 20-იანი წლების გარდაქმნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთის განვითარებაში.

იმ დროისათვის თურქეთში უბრალოდ არ არსებობდა განვითარებული კერძო მენარმეობის ტრადიციები. ვაჭრობას მეტწილად ბერძნები, სომხები და ებრაელები ეწეოდნენ. სამრეწველო სიმძლავრეების დიდი ნაწილი უცხოური კაპიტალის წარმომადგენელთა მფლობელობაში იყო. იგივე უცხოური კაპიტალის მეშვეობით წარმოებდა სარკინიგზო მშე-

ნებლობა. საბანკო კაპიტალის მხოლოდ მეხუთედი გახლდათ სამამულო წარმოშობის.

ამდენად, დამოუკიდებლობის საკითხი მწვავედ იდგა. ასეთ პირობებში ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალის ფუნქცია სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო. ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიზანი კერძო საკუთრებაზე დამყარებული თურქული მენარმეობის განვითარება გახლდათ. ეტატიზმის⁴⁵ თურქული გზა, საბჭოურისგან განსხვავებით, კერძო საკუთრებისა და ბაზრის დამცველად მოგვევლინა.

ეს პერიოდი თურქეთის ეკონომიკის ლიბერალიზაციის პირველ მცდელობადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან კერძო მესაკუთრეობა ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ქვაკუთხედაა. თუმცა, სახელმწიფოს ეკონომიკური პატერნალიზმის გაძლიერების გზა, უფრო მეტად უცხოეთის კაპიტალზე დამოკიდებულების შიშით იქნა არჩეული.

ამ ეტაპზე ქვეყანაში კერძო დანაზოგების არარსებობის ფონზე, სახელმწიფომ თავზე აიღო მსხვილი პროექტების განხორციელების პასუხისმგებლობა. შემდგომში, მთელი ათწლეულების განმავლობაში კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მჭიდრო თანამშრომლობა, განსაკუთრებით მრეწველობაში, თურქეთის ეკონომიკის დამახასიათებელ

⁴⁵ეტატიზმი-სახელმწიფოს წამყვანი როლისადიარება ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში.

ნიშანს წარმოადგენდა. ასეთი თანამშრომლობის კიდევ ერთ მაგალითს საფინანსო სექტორი წარმოადგენს - საბანკო კრედიტზე დაბალი საპროცენტო განაკვეთები განპირობებული იყო სახელმწიფოს ინიციატივით დაარსებული, მთლიანად ან ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ბანკების არსებობით. გარდა ამისა, მთავრობამ მრეწველობას შეუქმნა მყარი პროტექციონისტული გარემო საერთაშორისო ვაჭრობის კუთხით.

სახელმწიფო პოლიტიკა ასევე იქნა მიმართული უცხოური ინვესტიციების როლის შეზღუდვაზე. წლების მანძილზე კაპიტალის ნაკადი საზღვარგარეთიდან მრავალ წინააღმდეგობას აწყდებოდა. მეტიც, მეოცე საუკუნის 30-იან წლებში თურქეთის სახელმწიფომ მის ტერიტორიაზე არსებული უცხოური საწარმოები გამოისყიდა.

მთავრობამ სერიოზული ყურადღება დაუთმო აგრარულ სექტორს. ჩამოყალიბდა „საჩვენებელი ფერმერული მეურნეობები“. წლების მანძილზე ხდებოდა რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დოტაციური შესყიდვა.

ეკონომიკის განვითარების, ეტატიზმის სახელწოდებით ცნობილი ამგვარი სისტემა, არაერთგვაროვნადაა შეფასებული მსოფლიოში და თვით თურქეთში. სახელმწიფოზე აგებული ეკონომიკა ატარებდა ყველა სახასიათო მანკიერ ნიშანს: საბაზრო ძალებზე ზენოლა, წარმოების არაეფექტურობა, კორუფცია, ტექნოლოგიების ათვისების არაეფექტური მექანიზმი. თუმცა, ხელისუფლებამ თავიდანვე ჩათვალა,

რომ სახელმწიფოს მძლავრი ჩარევის გარეშე ქვეყნის ეკონომიკას სწრაფად „შეავსებდა“ უცხოური კაპიტალი, რაც საშიშროებას შეუქმნიდა სახელმწიფო სუვერენიტეტს.

ეტატიზმის ეკონომიკური სისტემა უმნიშვნელო ცვლილებებით გასული საუკუნის 80-იან წლებამდე არსებობდა, თუმცა თურქეთის საზოგადოებაც და მთავრობაც ხედავდნენ, რომ იგი წარმოადგენდა ბარიერს კერძო საკუთრებაზე დამყარებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის. იმდენად, რამდენადაც თურქეთის რესპუბლიკამ თავისი მომავალი ევროპული სახელმწიფოს მშენებლობას დაუკავშირა, ეკონომიკის განვითარებას კი დიდძალი უცხოური კაპიტალის მოზიდვა ესაჭიროებოდა, დღის წესრიგში დადგა სისტემის ლიბერალიზაციის საკითხი.

რეფორმირების მორიგი ეტაპი განხორციელდა 1950-იან წლებში. ლიბერალიზაციის ეს ტალღა მნიშვნელოვნად განაპირობა საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორებმაც. ამ პერიოდში თანდათან უფრო გაიზარდა ქვეყნის გეოპოლიტიკური ფუნქცია, გამომდინარე მისი სტრატეგიული მდებარეობიდან, განსაკუთრებით, ცივი ომის კონტექსტში. ამან განაპირობა თურქეთის მონაწილეობა მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციაში – თურქეთი ნატოს ერთ-ერთი უზუცესი წევრი ქვეყანაა 1952 წლიდან, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის როლს და მოქმედებას საერთაშორისო არენაზე [Davutoglu, 2012]. გარდა ამისა, თურქეთი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD),

საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტების წევრს წარმოადგენს.

ევროატლანტიკურმა ლტოლვამ გარკვეული სარგებლები მოიტანა ქვეყნის ეკონომიკისათვის. ე.წ. მარშალის გეგმით გათვალისწინებულმა ამერიკულმა დახმარებამ (მათ შორის, იაფი კრედიტის ფორმით) შესაძლებელი გახდა საგარეო ეკონომიკური პროტექციონიზმის შერბილება [Ustun, 1997]. 1946-1964 წლებში თურქეთმა საერთაშორისო დახმარების სახით მთლიანობაში 1,5 მლრდ.აშშ დოლარზე მეტი მიიღო. 1964 წლიდან, მას შემდეგ, რაც თურქეთი ევროკავშირის ასოცირებული წევრი გახდა, ამერიკული დახმარებები ევროკავშირიდან წამოსულმა დაფინანსებამ ჩაანაცვლა.

უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური ლიბერალიზაციისაკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა, მათ შორის თურქული ლირის დევალვაციამ, სათანადო შედეგები ვერ მოიტანა ექსპორტის გაფართოების და იმპორტის შემცირების თვალსაზრისით. შიდა დანაზოგები, რომლის საფუძველზეც კერძო სექტორის ზრდა უნდა მომხდარიყო, არასაკმარისი აღმოჩნდა, უცხოური კაპიტალის შემოდინება წინასწარ შეფასებებზე ნაკლები. ამან ვალუტის კურსის მკვეთრი დაცემა გამოიწვია.

თურქეთი ეკონომიკური განვითარების დაახლოებით იგივე სცენარს შეხვდა მეოცე საუკუნის 70-იან წლებშიც. ამ პერიოდში მოხდა სახელმწიფო ინვესტიციების შემცირება, რაც გამონვეული იყო საგადამხდელო ბალანსის პრობლემის

გართულების მოლოდინით, საბოლოო ჯამში კი ამან შეამცირა ეკონომიკური ზრდის ტემპი. მთავრობა გარკვეულწილად კვლავ შემობრუნდა პროტექციონიზმისკენ, [Onis, 2010] რაც აისახა იმპორტშემცველი მრეწველობის განვითარების პოლიტიკაში. თუმცა, იმპორტშემცველი წარმოების პოლიტიკას თურქეთი ადრეც აწარმოებდა.

მეოცე საუკუნის რეფორმებს ეკონომიკურ პოლიტიკაში წინ უძღოდა სამხედრო გადატრიალებები, რომელიც მეოცე საუკუნის თურქეთის ისტორიაში რამდენჯერმე მოხდა. [მაკარაძე; 2016] 1980 წლის მორიგი სამხედრო გადატრიალების შემდეგ თურქეთმა დაიწყო ეკონომიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის პოლიტიკური კურსის უფრო მკვეთრად გატარება. მზარდი ინფლაციის ფონზე მან დახმარების თხოვნით მიმართა სსფ-ს, რომელმაც თურქეთის ეკონომიკის ლიბერალიზაციის პოლიტიკას მხარი დაუჭირა.

საწყის ეტაპზე რეფორმები ნაკლები წარმატებით წარმართა. თურქული ლირის დევალვაცია განუწყვეტლივ მიმდინარეობდა წლების მანძილზე. 80-იან და 90-იან წლებში ლირა უფასურდებოდა დაახლოებით 10-15%-ით ყოველწლიურად [Boratav, Yeldan, 2001] არსებობდა მოსაზრება, რომ ვალუტის კურსის მკვეთრი შემცირება ხელს შეუშლიდა ინვესტიციური საქონლის იმპორტს, რომელზეც დიდწილად იყო დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. ამდენად, მთავრობა შეეცადა შეენარჩუნებინა ლირის საგარეო კურსი, თუმცა ქვეყნის შიგნით ლირის მსყიდველობითუნარიანობა

განუწყვეტილ ეცემოდა. ლირის ამგვარი ორმაგი კურსი კიდევ მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა.

ამ პერიოდის ერთ-ერთ მიმართულებას რეფორმებში ფასების ლიბერალიზაცია წარმოადგენდა. იგი გამოიხატა იმ „საბაზო საქონლის“ ჩამონათვალის შეკვეცაში, რომელზეც ფასები ადმინისტრაციულად დგინდებოდა. განხორციელდა ფასების სრული ლიბერალიზაცია კერძო სექტორში. შემცირდა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დოტაციური შესყიდვის მასშტაბები. მთავრობამ შეწყვიტა სახელმწიფო საწარმოებისთვის ნავთობპროდუქტების შეღავათიანი ტარიფებით გაცემა.

ლიბერალიზაციის ღონისძიებების შემადგენელი ნაწილი გახლდათ საბანკო საპროცენტო განაკვეთის თავისუფალი ფორმირება. ამ ნაბიჯმა გამოიწვია საბანკო დეპოზიტების მკვეთრი ზრდა. შემცირდა ფულის ბრუნვის სიჩქარე და აჟიოტაჟური მოთხოვნა, რამაც დადებითი როლი შეასრულა ინფლაციის მოთოკვაში. სავალუტო რეზერვების შენახვისა და ოპერირების რეჟიმის დეცენტრალიზაცია, ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის შექმნა, სახელმწიფო და კერძო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ნახალისება ახდენდა საბანკო სფეროს ლიბერალიზაციას. იმავდროულად სასაქონლო ბაზრის ლიბერალიზაციამ, სხვა მიზნებთან ერთად, გამოიწვია „ჩრილოვანი კაპიტალის“ ნაწილობრივ მოზიდვა.

როგორც უკვე აღინიშნა, პირველი შედეგები არც თუ შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ბანკებში მოზიდული დეპოზიტები ნაკლებად იქნა გამოყენებული მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე, სამაგიეროდ ისინი მიმართულ იქნა კაპიტალის ექსპორტზე. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ინვესტირების უფრო მოგებიანი ვარიანტები ქვეყნის შიგნით ნაკლებად ჩანდა. ბანკები დიდ რისკებს აწყდებოდნენ ბიზნესის დაფინანსების შედეგად. რამდენიმე საბანკო სკანდალის შემდეგ-სახელმწიფომ გაამკაცრა საბანკო კაპიტალის ფორმირებისა და ფუნქციონირების პირობები. პრობლემური ვალები თვითონ დაფარა, თუმცა ამით ბიუჯეტს დაბალანსების კუთხით პრობლემები შეუქმნა.

ბიუჯეტის დაბალანსების პრობლემები ლიბერალიზაციის პირველ წლებში ისედაც აქტუალური იყო. საკმაოდ მაღალი საგადასახადო განაკვეთებიდან მცირე ოდენობით თანხების მობილიზება ხდებოდა, დამატებითი საბიუჯეტო ხარჯები თურქეთის ხელისუფლების მიერ განიხილებოდა სამომხმარებლო მოთხოვნისა და, საერთოდ, ეკონომიკის გამოცოცხლების საშუალებად. ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისათვის კი გამოიყენებოდა მოკლევადიანი უცხოური სესხები, ე.წ. „ცხელი ფული“, რომელზე დამოკიდებულებაც თანდათან იზრდებოდა.

რეფორმების პროცესში აქცენტი გაკეთდა პირადი შემოსავლების დაბეგვრაზე. „ქამრების შემოჭერა“, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებუ-

ლი „უებარი ნამალი“, ამ შემთხვევაშიც იქნა გამოყენებული - სახელმწიფომ მნიშვნელოვნად შეამცირა ხარჯები. თუმცა, ეს ზომები არ აღმოჩნდა საკმარისი თავი აერიდებინათ აზიურ კრიზისადმი, რომელიც გასული საუკუნის მიწურულს საკმაო სიმძაფრით იწვინა თურქეთმა.

რეფორმები შეეხებოდა დანაზოგების ნახალისებასაც, რაც ითვალისწინებდა სახელმწიფო კომპანიების პრივატიზებას აქციონირების გზით [Aksoy, 1993]. კერძო კომპანიებს მიეცათ სახელმწიფო ობიექტების არენდის საშუალებაც. სახელმწიფო კომპანიები უშვებდნენ „შემოსავლიან აქციებს“, რომლებიც წარმოადგენდნენ საფონდო ბირჟაზე კოტირებულ ფასიან ქალაქებს წარმომდგენზე, მოქმედების განსაზღვრული ვადით.

სახელმწიფო რეფორმების კიდევ ერთი საინტერესო მექანიზმი იყო საზოგადოებრივი აქციონირების ფონდი, რომელიც ეხმარებოდა მოსახლეობას ეკონომიკაში დანაზოგების დაბანდების პროცესში, ძირითადად, საწარმოო ინფრასტრუქტურული ობიექტების დაფინანსების მიზნით.

თუ გავავლებთ პარალელებს, აშკარაა გარკვეული მსგავსება საქართველოში ჩატარებულ 90-იანი წლების რეფორმებთან (მაგალითად, ფასების ლიბერალიზაციის, ვალუტის თავისუფალ მცურავ კურსზე გადასვლის, პრივატიზაციის მიმართულებით და სხვა), თუმცა, თურქეთისაგან განსხვავებით მისი გატარება საქართველოს სახელმწიფო ინ-

სტიტუტების ახლად მშენებლობის პარალელურად მოუხდა, თანაც საბჭოთა სისტემის რღვევის შედეგად გაჩანაგებული ეკონომიკის საფუძველზე, ძალზე არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციის პირობებში. რადიკალურ რეფორმებს კი სტაბილური გარემო ესაჭიროება. შედეგად, თურქეთის რეფორმებმა უფრო ხელშესახები შედეგები მოიტანა ეკონომიკური ზრდის კუთხით. უნდა ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში რეფორმების პროცესში შეინიშნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის „ხელნერა“, რომელიც თავისი არსით დასავლურია.

გამოყენებული ლიტერატურა

მაკარაძე ე. თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000-2015 წლებში; გამომცემლობა უნივერსალი. თბილისი 2016. 138გვ.

Agreement establishing an Association between the European Economic Community and Turkey. Official journal of the European Communities. Volume 16. No C113. December 1973. 81p.

Aksoy A.S. Turkish Experience with Privatisation: An Overview and Evaluation. Turkish Public Administration Annual, Vol 17-19, 1991-1993. pp.39-54.

Boratav K., Yeldan E. Turkey, 1980-2000: Financial liberalization, macroeconomic (in)-stability, and patterns of distribution. Ankara. 2001.73p.

Chislett W. Turkey's 10 yearsof EU accessionnegotiations: noendinsight. Elcano Royal Institute. Working Paper 14/2015. Spain. 29p.

Davutoglu A. Transformation of NATO and Turkey's Position. Turkish Ministry of Foreign Affairs. PERCEPTIONS, Spring 2012, Volume XVII, Number 1, pp.7-17.


Onis Z. Crises and Transformations in Turkish political Economy. Turkish Policy, Quarterly. Volume 9, N3. 2010. Turkey. pp.45-61.

Rahman A., Ahmad W., Ali N., Ismail D., Adam F. Modernization of Turkey under kamal Ataturk. Asian Social Science; Vol. 11, No. 4; 2015. Canada. pp.202-205.

Togan S. The EU-Turkey Customs Union: A model for Future Euro-Med Integration. MEDPRO technical Report No.9/March 2012. 23p.

Turkey 2015. Report. Commission staff working document. European Commission. Brussels, 10.11.2015. SWD(2015) 216 final. 92p.

Ustun S. Turkey and the Marshall Plan: strive for Aid. The Turkish Yearbook. Vol. XXVII. University college. London. 1997. pp.31-52.



Guram Safaridze

**Turkey is on the way to EU - The reforms of the
twentieth century**

Summary

Turkey is one of the most important partners of Georgia. According to the last 10 year's statistics, about 16% of Georgia's turnover falls on Turkey. Turkey is the only one land bridge between Georgia and European Union. It also has the decades of experience of integration with EU, which is the external economic and political priority for Georgia. The research covers the reforms in turkey during 20th century which gave a possibility to country to develop economy, rise the social-economic conditions of population, became the most important partner of EU and declare the serious ambition to become the full member of European Union.

ნაციონალიზმი თანამედროვე მსოფლიოში*ინგა ცინცქილაძე*

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში გლობალიზაციის სახით თავი იჩინა ახალმა მოვლენამ, რომელიც სრულიად სხვა ღირებულებებს ემყარება და ეწინააღმდეგება ნაციონალიზმს. გლობალიზაცია ეროვნული საზღვრებისა და განსხვავებების მოშლის, საერთო მოქალაქეობის, ერთიანი ზენაციონალური ეკონომიკის, საერთო ვალუტის, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და საერთო კოსმოპოლიტური კულტურის გავრცელების გამოხატულებაა. 90-იან წლებში, როცა გლობალიზაცია მართლაც გლობალური მოვლენა გახდა და ფაქტობრივად აღარ დარჩა ძალა, რომელიც ამ პროცესის გავრცელებასა და განვითარებას წინააღმდეგობას გაუწევდა, სწორედ მაშინ იფეთქა ნაციონალიზმის ახალმა ტალღამ, რამაც უმწვავესი ეთნოკონფლიქტების ფორმა მიიღო.

ჯერალდ დელანტის აზრით (Delanty, 2002), ახალი ნაციონალიზმის წარმოშობისა და გავრცელების მიზეზი ერი-სახელმწიფოების კრიზისია, რაც გლობალიზაციის პროცესის თანმდევი მოვლენაა. ერი-სახელმწიფოს დასუსტების, მის ფუნქციებში საერთაშორისო აქტორების (საერთაშორისო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები,

არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა) შეჭრისა და კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში ძლიერდება მოსახლეობის ოპოზიცია და ეთნიკური სოლიდარობის გრძნობა უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.

გლობალიზაციის პირობებში განვითარებადი ქვეყნები უპირველეს ყოვლისა შეშფოთებული არიან მათი ეკონომიკის უცხოურ ფირმებზე და ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე დაქვემდებარებითა და დასავლური კულტურის მასიური გავცელებით. განვითარებულ ქვეყნებში სერიოზულ საშიშროებად აღიქმება მასიური მიგრაცია განვითარებადი ქვეყნებიდან, რამაც რასიზმისა და ქსენოფობიის ზრდა გამოიწვია. ორივე ამ შემთხვევაში საქმე ნამდვილად „ანტიგლობალისტურ ნაციონალიზმთან“ გვაქვს. ის, რომ ბასკებს დამოუკიდებლობა სურთ, ქურთები თავიანთი სახელმწიფოს შესაქმნელად იბრძვიან, ხოლო ფრანკო-კანადელებს კვებეკის კანადისაგან გამოყოფა აქვთ განზრახული გლობალიზაციის ერაში ახალ ძალებს იძენს, რადგან ერთის მხრივ, სუსტდება სახელმწიფო, ხოლო, მეორეს მხრივ, ადამიანის უფლებები (ამ შემთხვევაში ეროვნული თვითგამორკვევის უფლება) საყოველთაო და გლობალური ნორმა ხდება. ენტონი სმიტი თავის წიგნში „ერები და ნაციონალიზმი გლობალურ ერაში“ (Smith, 1995) ამტკიცებს, რომ გლობალიზაციის პროცესმა, კერძოდ კი კომუნიკაციების ახალმა სისტემამ წაახალისა პატარა სოციალური და პოლიტიკური ჯგუფები, მათ შორის კულტურული და ლინგვისტური უმცირესობები, შე-

ექმნათ და გაეძლიერებინათ თავიანთი კულტურული ქსელი. თანამედროვე მსოფლიოში ეთნონაციონალიზმის გამოცოცხლება ფაქტია. სმიტი ამის მიზეზებს კულტურაში ეძებს. კერძოდ, გლობალიზაციის ეპოქამ კომუნიკაციების არნახული განვითარება გამოიწვია, რამაც მნიშვნელოვნად შეარყია ეროვნული ტრადიციები და კულტურა. ირღვევა ტრადიციული ღირებულებები და ამის შიშით ხალხი უბრუნდება ეთნიკური გამორჩეულობისა და რელიგიური ცნობიერების რადიკალურ ფორმებს და ხსნას მასში ეძებს. იგი თვლის, რომ ინტეგრაციული პროცესები და გლობალიზაციის შედეგები ვერ ცვლის ეროვნული იდენტურობის, ეროვნული კულტურისა და ეროვნული ხასიათის უპირატეს და დომინანტურ მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერები და ნაციონალიზმი გლობალიზაციის ეპოქაშიც რჩება თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ერთადერთ რეალურ საყრდენად (Smith, 1995).

სმიტის ასეთ მოსაზრებას ეწინააღმდეგებიან გლობალისტები, მიიჩნევენ რა, რომ ერი-სახელმწიფოებისა და მით უფრო ნაციონალიზმის ეპოქა უკვე წარსულის კუთვნილებაა. მათი აზრით, ნაციონალისტური გამოსვლებიც ძირეულად განსხვავდება იმ კლასიკური ნაციონალიზმიდან, რაც წარსული ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი.

უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე დასავლეთი პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე ნებისმიერი სხვა ცივილიზაცია. აქ მოხ-

და ყველა დიდი აღმოჩენა მეცნიერებასა და ტექნიკაში. ასეთ პირობებში იქმნება წარმოდგენა დასავლური ცივილიზაციის უნივერსალურობის შესახებ. დასავლეთი, იყენებს რა მის ხელთ არსებულ გრანდიოზულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ფინანსურ თუ პროპაგანდისტულ შესაძლებლობებს, აქტიურად ცდილობს დასავლური ფასეულობები მაქსიმალურად გაავრცელოს მთელ მსოფლიოში. ეს პროცესი, რაც გლობალიზაციამ კიდევ უფრო დააჩქარა, ისლამი ფუნდამენტალისტების მიერ აღიქმება, როგორც დასავლეთის, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების აშკარა ექსპანსია. თუ გავითვალისწინებთ ისლამური ფანატიზმის და ტერორიზმის მასშტაბებს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მსოფლიოს წინაშე არსებული უმწვავესი პრობლემაა.

თანამედროვე მსოფლიოში ნაციონალიზმი ძირითადად ვლინდება იმ ხალხების ნაციონალიზმის სახით, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობას შეადგენენ. ამგვარი ნაციონალიზმი მიმართულია სახელმწიფოს ცენტრალიზებული მმართველობის წინააღმდეგ და თვითგამორკვევისთვის იბრძვის. თვითგამორკვევა საერთაშორისო სამართალში განისაზღვრება, როგორც ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის უფლება თვითონ განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური სტატუსი და არ იყოს სხვის მიერ მართული. სწორედ ამ, სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი ეთნიკური უმცირესობის ნაციონალიზმს, რომელიც მიმართულია ცენტრალური მმართველობის წინააღმდეგ და მიზ-

ნად თვითგამორკვევას ისახავს, უწოდებენ მინინაციონალიზმს.

მინინაციონალიზმი ყოველთვის არ არის მიმართული საკუთარი სახელმწიფოს შექმნისკენ. იგი შეიძლება ავტონომიისთვის, ფედერაციის სუბიექტად ქცევისთვის ან სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნისთვის იბრძოდეს. ასეთ შემთხვევაში ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონფლიქტი ნაკლებად მწვავეა, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში მინინაციონალიზმი რადიკალური მოთხოვნებით გამოდის, რაც სეცესიას და სრულ დამოუკიდებლობას გულისხმობს. სწორედ ესაა დღეს მიმდინარე კონფლიქტების დიდი უმრავლესობის მიზეზი. სეპარატიზმი თანამედროვეობის ერთ-ერთი უმთავრესი საერთაშორისო პრობლემა გახდა, ხოლო წინააღმდეგობა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს შორის ნამდვილ დილემად იქცა (დავითაშვილი, 2003).

მე-20 საუკუნის ბოლოსათვის მსოფლიოს სუვერენული სახელმწიფოების სამ მეოთხედზე მეტს ჰყავდა ეთნიკური უმცირესობების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რაც ეთნიკური დაძაბულობისა და კონფლიქტების სერიოზულ წინაპირობას ქმნის.

ეთნიკურ უმცირესობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის კატეგორია, რომლებსაც ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობას უწოდებენ. ეს ის ხალხია, რომლებიც თავიანთ ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მაგრამ

სხვადასხვა ისტორიული და პოლიტიკური გარემოებების გამო უმცირესობად იქცნენ. ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპმა არ უნდა დაარღვიოს საერთაშორისო სამართლის სხვა პრინციპები, კერძოდ, იგი წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების უცვლელობის პრინციპებთან. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ქვეყნის მთავრობა და მოსახლეობის უმრავლესობა თანახმაა მიანიჭოს დამოუკიდებლობა ეთნიკურ უმცირესობას და ამდენად შეცვალოს საკუთარი ტერიტორია და საზღვრები თვითგამორკვევის პრინციპი რეალობად იქცევა. ასეთნაირად განხორციელდა ბანგლადეშის გამოყოფა პაკისტანისაგან 1971 წელს, ერიტრეის დამოუკიდებლობა ეთიოპიისაგან 1993 წელს და ჩეხოსლოვაკიის დაშლა ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკებად 1993 წელს. ხშირ შემთხვევაში დაპირისპირება ეთნიკურ უმცირესობებსა და უმრავლესობებს შორის უკიდურეს ფორმებს იღებს და ეთნიკურ წმენდასა და გენოციდში გადადის. ეთნიკური უმცირესობები უკმაყოფილო არიან იმ მდგომარეობით, რომელშიც ისინი არიან და ამიტომ არსებული მდგომარეობის შეცვლას ისახავენ მიზნად. მოთხოვნები, რომლებსაც აყენებენ მინინაციონალისტური მოძრაობები განსხვავდება სიმძაფრით. იგი იცვლება ავტონომიიდან სრულ დამოუკიდებლობამდე. ყველა მათგანში მოიძებნება როგორც ზომიერი, ავტონომიური მოწყობის მომხრეები, ისე უკიდურესი სეპარატისტები. პირველნი მიდიან კომპრომისზე და კმაყოფილდებიან მხოლოდ მათი უფ-

ლებების აღიარებით. მეორენი მხოლოდ სრულ თავისუფლებას თანხმდებიან და ამ მიზნის მისაღწევად უკიდურეს ფორმებსაც არ ერიდებიან, მათ შორის ძალადობას და ტერორს. ლ. სნაიდერი (Snyder, 1982) ტერორისტების ოთხ გავრცელებულ სახეს გამოყოფს: 1) ნაციონალისტები, ავტონომისტები ან სხვა უმცირესობები; 2) იდეოლოგიური სექტები და საიდუმლო საზოგადოებები; 3) დიასპორაში მყოფი საკუთარი სამშობლოდან მოწყვეტილი ჯგუფები; 4) ტრანსნაციონალური ბანდები, რომლებსაც აქვთ მხარდაჭერა სხვადასხვა ქვეყნიდან და ორგანიზაციებიდან.

მინინაციონალიზმის აგრესიულობა და რადიკალური ხასიათი დიდად არის დამოკიდებული იმაზე თუ რომელი ქვეყნის ეთნიკური უმცირესობების ნაციონალიზმზეა საუბარი. როგორც წესი დასავლური დემოკრატიის ქვეყნებში ეთნიკური უმცირესობების ნაციონალიზმი ნაკლებად აგრესიულია. ამის მიზეზი გაცილებით მაღალი პოლიტიკური კულტურა, სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი ისტორია და კანონის უზენაესობაა.

თანამედროვე ნაციონალიზმის აღორძინების მიზეზების ახსნას ბევრი მკვლევარი ცდილობს იმ თეორიული მიდგომით, რომელსაც შეიძლება ვუნოდოთ რეაქცია გლობალიზაციაზე. ამ მიდგომით თანამედროვე ექსტრემისტული ნაციონალისტური გამოსვლები, ნაციონალისტური იდეოლოგიების წარმატება, ეთნიკური დაპირისპირებები და კონ-

ფლიქტები არის პასუხი იმ ეკონომიკური და კულტურული ღირებულებების შეცვლაზე, რაც გლობალიზაციას მოჰყვება.

გამოყენებული ლიტერატურა

Delanty, G. & O' Mahony, P. (2002). Nationalism and Social Theory. London: Sage Publications.

Smith, A. (1995). Nations and Nationalism in a Global Era. Cambridge: Polity Press

Snyder, L. (1982). Global Mini-Nationalisms: Autonomy or Independence. London: Greenwood Press

დავითაშვილი, ზ. (2003). ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო

Inga Tsintskiladze

Nationalism in Modern World

Summary

The article is about modern nationalistic movements and the reasons why they emerge. The process of globalization nowadays opposes nationalism. Globalization is the process of international integration arising from the interchange of world views, products, ideas and other aspects of culture. In a globalized world developing

countries are concerned about dependence on foreign firms and transnational companies as well as massive spread of western culture. As for developed countries here massive migration from developing countries is regarded as a serious threat and all this may lead to racism and xenophobia. Nowadays there are ethnic minorities in many different countries and sometimes their fight for rights takes radical forms.

**სულიერი უსაფრთხოება საქართველოს
ეროვნული უშიშროების სისტემაში**

*გიგა ფარტენაძე
ირაკლი მანველიძე*

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მიმდინარეობს საზოგადოების სულიერი და კულტურული მოდერნიზაციის მტკიცენიერი და შეუქცევადი პროცესი, ხდება ტრადიციული ფასეულობების და ღირებულებების გადაფასება, ყალიბდება და ვითარდება ცხოვრების ახალი ნორმები, რომლებიც გაბატონებული მდგომარეობის მოპოვებას ცდილობს საზოგადოებაში. ყოველივე ამის შედეგად აშკარად ჩანს საზოგადოებისათვის სულიერი და კულტურული პოსტტრანსფორმაციის უარყოფითი შედეგები.

თანამედროვე ეტაპზე სულიერმა კრიზისმა, რომლის აშკარა ნიშნებსაც უკვე ავლენს საქართველო, საფრთხის შემცველია ჩვენი საზოგადოების სულიერი უსაფრთხოებისთვის, რადგანაც მკვეთრად დასუსტებულია ის სულიერი საფუძვლები, რომლებიც ყოველთვის გამოდიოდნენ როგორც ფუნდამენტი, რომელზეც შენდებოდა ქართული საზოგადოება. სულიერი უსაფრთხოება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება როგორც მატერიალური უსაფრთხოება.

სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად ქართული საზოგადოება დგას სულიერი

გათიშულობის, სოციოკულტურული განხეთქილების, სოციალური ღირებულებების და სულიერი კულტურის კრიზისის რეალობის წინაშე. შესაბამისად, სულიერი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი არის პრობლემური საკითხი, რადგან საზოგადოებას, როგორც მთლიანობას, არსებობა შეუძლია მხოლოდ სულიერ-ზნეობრივი ღირებულებების, როგორც სოციუმის სიცოცხლისუნარიანობის, მისი სულიერი და მთლიანობაში, სოციალური პოტენციალის ინდიკატორების საფუძველზე. სულიერი უსაფრთხოების ცნება პირდაპირ დაკავშირებულია გლობალიზაციურ კონტექსტთან. აქედან გამომდინარე, საქართველოს გეოპოლიტიკური სტატუსის პრობლემასთან - როგორც აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციებს შორის გზაჯვარედინი, ადგილი სადაც იკვეთება სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების და ტრადიციების ურთიერთ შეღწევადობა.

საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში საქართველო ერთის მხრივ ჩაკეტილი სისტემის ნაწილი იყო და, ბუნებრივია მას დაკარგული ჰქონდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთ დამაკავშირებელი გზასაყარის ფუნქცია, ხოლო მეორეს მხრივ, ის დაცული იყო დასავლური ცივილიზაციის გავლენის ნეგატიური ასპექტებისაგან. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი საქართველო ისტორიული გეოპოლიტიკური ფუნქციის დაბრუნების კვალდაკვალ აღმოჩნდა დიდი ცივილიზაციური საინფორმაციო ნაკადის პირისპირ, რისთვისაც ქვეყანა ფაქტობრივად არ იყო მზად.

გლობალიზაციური ტენდენციები კულტურაში, რელიგიური ეკუმენიზმი, ტრანსნაციონალური კონფესიები სიახლე აღმოჩნდა ქართული რეალობისათვის. შედეგად საფრთხის ქვეშ დადგა ეროვნული იდენტობის საკითხი.

საზოგადოების სულიერი უსაფრთხოება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია მისი სულიერი სფეროს მდგომარეობასთან, მისი კულტურის, ზნეობრიობის განვითარების დონესთან. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „სულიერი უსაფრთხოება გამოდის როგორც საზოგადოების სულიერ-ზნეობრივი მდგომარეობის და ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობრივი რაობის, საბაზო მიზნებისა და ღირებულებების პოტენციალის, ინდივიდუალური, ჯგუფური და საერთო საზოგადოებრივი ინტერესების, პოლიტიკური ინსტიტუტების, იდეოლოგიისა და კულტურის ხარისხობრივი მაჩვენებელი“. უფრო მეტიც „სულიერი უსაფრთხოება - არის სისტემა იმ პირობებისა, რომლებიც საშუალებას აძლევენ კულტურასა და საზოგადოებას შეინარჩუნონ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პარამეტრები ისტორიულად ჩამოყალიბებული ნორმის ფარგლებში“. ამრიგად, სულიერი უსაფრთხოების მოცემული განსაზღვრებები გულისხმობს მის არსობრივ მხარეს, რომელიც მდგომარეობს იმ უნარსა და პოტენციალში, რომლითაც ის ახერხებს შეინარჩუნოს და კვლავ აწარმოოს სიცოცხლისუნარიანი საზოგადოების პარამეტრები.

სულიერი უსაფრთხოება ეს არის სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა მატერიალურ და ფსიქოლოგიურ კომფორტის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური თვითრეალიზაციისა და თითოეული პიროვნების შესაძლებლობების ოპტიმალური განვითარებისათვის პირობების შექმნა, მოსახლეობის ნდობა სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოსადმი, ნდობა ხელისუფლების შესაძლებლობისადმი დაიცვას ადამიანი და განამტკიცოს სოციალური წესრიგი, საზოგადოების უნარი დაძლიოს ქსენოფობიის და ნაციონალიზმის ყველა ფორმა, განახორციელოს კონფესიებს და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ჰარმონიული ურთიერთობები.

სულიერი უსაფრთხოება უნდა მოიცავდეს ერის კულტურულ, დემოგრაფიულ, გენეტიკურ და სხვა სფეროებს. ხოლო სულიერ საფრთხედ უნდა აღიქმებოდეს ისეთი მოვლენები, როგორცაა უცხოური კულტურის გავლენის გაძლიერება, „ზნეობის დაკარგვა“, უცხო, ახალი „სოციალური და ინდივიდუალური ქცევის მყარი ფორმების, ფასეულობათა სისტემის“ ჩამოყალიბების ტენდენცია, რომელთა ქაოტური - „დანგრევა ეროვნული, სულიერი თვითმყოფადობის დანგრევას მოიტანს“.

საქართველოს საზოგადოების დეიდეოლოგიზაციის და ლიბერალიზაციის კვალდაკვალ გაჩნდა მისი სულიერი უსაფრთხოების ახალი გამოწვევები. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის ახალი თაობა, რომელიც აღზრდილია „იდეოლოგიური ვაკუუმის“ პირობებში, რომელმაც არ იცის სხვა

ფასეულობები და ღირებულებები, გარდა ინდივიდუალური კეთილდღეობის და მოთხოვნების დაკმაყოფილების, ხოლო თავსმოხვეული ფსევდოღირებულებების და ფასეულობების პირობებში სუსტად ახდენს მის იდენტიფიცირებას საქართველოსა და მის კულტურასთან, ასევე მისი ინტერესების საერთო ეროვნულთან. მსგავს სულიერ ატმოსფეროში კი საკამოდ რთულია სოციალური სტაბილიზაციის პრობლემების გადაწყვეტა, მით უფრო ეროვნული იდენტურობის მდგრადი განვითარების და შენარჩუნების მიღწევა.

ამრიგად, საქართველოს საზოგადოების და პოლიტიკური ელიტის მიერ სულიერი უსაფრთხოების გააზრება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საქართველოს მიერ ეროვნული სუვერენიტეტის და კულტურული იდენტურობის დაცვის, პოსტტრანსფორმაციული სოციოკულტურული კრიზისის დაძლევის, შემდგომი სოციალური და პოლიტიკური მოდერნიზაციის სავალდებულო კომპონენტი.

სულიერი უსაფრთხოება არის ეროვნული უსაფრთხოების გარანტი, ვინაიდან ეროვნული უსაფრთხოება თავის სისრულეში წარმოსდგება სულიერი უსაფრთხოების ფაქტორად. სულიერი და ეროვნული უსაფრთხოება არ შეიძლება არსებობდნენ ერთმანეთის გარეშე, პირიქით განაპირობებენ ერთმანეთს. მაგალითად, იმ უამრავ პრობლემას, რომლებიც დაკავშირებულია თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებასთან, თავისი ბუნებით გააჩნიათ სულიერი განპირობებულობა და ისინი წარმოადგენენ

ქვეყანაში სულიერი კრიზისის შედეგს (კრიზისული მოვლენები საზოგადოების საოჯახო-საქორწინო სფეროში, ოჯახური ძალადობის, განქორწინებების ზრდა, ახალგაზრდობის დევიაცია, დამნაშავეობა, სოციალური დაავადებების ზრდა და მოსახლეობის სოციალური განწყობის დაქვეითება, ქსენოფობია და სხვ.). მაგრამ თავის მხრივ, მსგავსი ნეგატიური მოვლენების ესკალაცია, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას, არის საქართველოს სახელმწიფოს სოციალ-პოლიტიკური რეფორმირების შედეგი, რომელიც განხორციელდა საქართველოს ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული, სოციალური რეალიების გაუთვალისწინებლად, უნიათოდ, ხალხის სანინააღმდეგოდ და დანაშაულებრივად.

საზოგადოების სულიერი ფაქტორები, სულიერი ატმოსფერო ახდენს არსებით გავლენას ეროვნული უსაფრთხოების მდგომარეობასა და მის ქვესისტემებზე იმ საბაზო ნორმებით და ფასეულობების მეშვეობით, რომლებიც გვევლინებიან საზოგადოებრივი ცნობიერების დეტერმინანტებად და მოტივაციას აძლევენ ინდივიდების და ჯგუფების ქცევას.

ამრიგად, სულიერი უსაფრთხოების ფაქტორი მნიშვნელოვანია ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, ვინაიდან საზოგადოების სულიერი ცხოვრება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეროვნული იდენტობის დაცვის პროცესში.

საზოგადოების სულიერ სფეროში მიმდინარე პროცესები თავის გამოხატულებას ჰპოვებს დომინირებული სოციალური და პოლიტიკური იდეების ფორმირებაში, ასევე საზოგადოების მაკონსტიტუირებელი იდეოლოგიის ერთობლიობაში.

იდეოლოგია რაციონალურ დონეზე წარმოადგენს კონკრეტული საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური და სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების პირობების სპეციფიკურ კომპლექსს, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული საზოგადოების ქცევის მოდელების და სოციალურად მნიშვნელოვანი ნორმების ხასიათიდან და შინაარსიდან გამომდინარე. შესაბამისად, ხდება იდეოლოგიის ინტეგრარული ფუნქციის რეალიზაცია საზოგადოებაში, რითაც მიიღწევა ამ უკანასკნელის ერთიანობა ერთიანი ფასეულობების და ნორმების საფუძველზე. სევე, წარსული ტრადიციის და მომავლის პერსპექტივის ერთიანი ხედვა და ამ უკანასკნელის რეალიზების გზების დასახვა. ზოგადად იდეოლოგია ასახავს, ახდენს კონცეპტუალიზაციას და ასაბუთებს საზოგადოების მთავარ კულტურულ-ისტორიულ უპირატესობებს. ყველაფერი ეს ერთობლიობაში წარმოადგენს ეროვნული იდენტობის შემადგენელ ნაწილებს, რომელთა დაცვა და წარმოება არის ეროვნული უსაფრთხოების ბირთვი.

ეროვნული უსაფრთხოება და სულიერი უსაფრთხოება ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან, ვინაიდან ერთმანეთისთვის წარმოადგენენ როგორც სტაბილუ-

რობის, ისე რისკების და მუქარების წყაროს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ უსაფრთხოების სფეროს სახელმწიფო რეგულირების ეფექტურობის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს წარმოადგენს ხელისუფლების უნარი განეიტრალოს ნეგატიური ზემოქმედებები, განახორციელოს საფრთხეების ნეიტრალიზაცია, ნებისმიერი ხასიათის და მასშტაბის მუქარების ლიკვიდაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალურ-დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს მარეგულირებელი ზემოქმედებისა და ჩარევის ხარისხისადმი ფრთხილი მიდგომისა, რომელიც შეინიშნება სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ლიბერალური პარადიგმის ჩარჩოებში, დგება მომენტი, როდესაც ეს ჩარევა ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი ხდება. საზოგადოების სულიერი უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პოლიტიკური ძალების დაინტერესებაში, ხელი შეუწყონ სულიერად ჯანმრთელი და წარმატებული საზოგადოების განვითარებას, როგორც სახელმწიფოებრიობის გარანტი.

ეროვნული უსაფრთხოების ინსტიტუციონალური განსახიერება ხდება ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში, რისთვისაც ქვეყნაში იქმნება სპეციალური, დადგენილი კონსტრუირებული ინსტიტუტების და დანესებულებების ერთობლიობა, ასევე საშუალებები, მეთოდები. ისინი მიმართულია, რომ საიმედოდ დაიცვან ეროვნული ინტერესები. სულიერ უსაფრთხოებას თუ განვიხილავთ ერთიანი ეროვნული

უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთ ქვესისტემადა, მაშინ აუცილებელია ის გამოვლინდეს საკუთარი ინსტიტუციონალური რეპრეზენტაციით.

ჩვენს შემთხვევაში სულიერი უსაფრთხოების ინსტიტუციონალიზაციაში ვგულისხმობთ სოციალური ნორმების, ნესების, სტატუსებისა და როლების განსაზღვრისა და გამყარების პროცესს, მათ ისეთ სისტემაში მოყვანას, რომელსაც ექნება რაიმე საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიმართულებით მოქმედების უნარი.

ზოგადად სულიერი უსაფრთხოების ინსტიტუციონალიზაცია ქართულ რეალობაში უნდა ითვალისწინებდეს ისეთი სტრუქტურის შექმნას, რომელიც დაიცავს პიროვნებას, საზოგადოებას და სახელმწიფოს ინფორმაციის დესტრუქციული ხასიათის გავლენისაგან, რომელიც შეიცავს იმ იდეებს და რომელთა გავრცელებაც აკრძალული უნდა იყოს კანონმდებლობით.

ამრიგად, თანამედროვე რეალობაში სულიერი უსაფრთხოება უნდა იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთი ქვესისტემა, რომელიც საზოგადოებას მისცემს საშუალებას შეინარჩუნოს სასიცოცხლო მნიშვნელობის პარამეტრები ისტორიულად შექმნილი ახალი და ძველი ნორმების მიჯნაზე. საზოგადოების განვითარების გარდამავალ ეტაპზე ნორმათაცვლის პროცესის ისტორიული ჩარჩოებიდან გამოსვლა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-

კულტურული ფაქტორებით გამოიწვევს საზოგადოების დეზორიენტაციას ისტორიულად შექმნილ ღირებულებათა სისტემაში. სულიერი ერთობის დარღვევა გამოიწვევს საკუთრივ საზოგადოების დესტრუქტურიზაციას და პირიქით. ადრეული შუა საუკუნეების გვიან ეტაპზე საქართველოში სწორედ საზოგადოების სულიერი ერთობის გაძლიერება წინ უძღოდა ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნას.

სულიერი ფაქტორების მოქმედება გარკვეულწილად განსაზღვრავს იმ მისაღები მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების სოცი-ოკულტურულ კონტექსტს, რომელიც ეხება ეროვნული უსაფრთხოების პრობლემას. სევე, სულიერი ფაქტორებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ეროვნული იდენტობის განსაზღვრაში. პოლიტიკაზე სულიერი ფაქტორების გავლენა ვლინდება იმითაც, რომ ეროვნული მიზნის მიღწევისათვის ძალისხმევის მიმართვა აყალიბებს პოლიტიკის განსაზღვრულ ხარისხს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკა მოიცავს არა მხოლოდ ფორმალურ მხარეებს, რომლებიც ჩართულია პოლიტიკურ სისტემაში და შესაბამის ინსტიტუციონალურ სტრუქტურებში, არამედ ასევე გულისხმობს პოლიტიკურ სისტემასთან, ელიტებთან და პარტიებთან, სახელმწიფოსთან და მის სტრუქტურებთან, პოლიტიკურ პროგრამებთან და განცხადებებთან და მათში მოყვანილ მიზნებთან მიმართებით მოსახლეობის ურთიერთობების სპეციფიკურ აქსიოლოგიას. ყველაფერი ეს, გავლენას ახდენს ეროვნული უსაფრთხოების მდგომარეობაზე.

საერთოდ სულიერი უსაფრთხოების, როგორც ეროვნული უსაფრთხოების ქვესისტემის აუცილებელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს, საზოგადოების და პიროვნების ინტერესების ჰარმონიული თანაწყობა, ურთიერთპასუხისმგებლობა პიროვნების სახელმწიფოსადმი და პირიქით. საქართველოში კი ამ სფეროში დაუბალანსებლობის შედეგად შეინიშნება სახელმწიფოსა და პიროვნების, საზოგადოებისა და პიროვნების, სახელმწიფოსა და არასახელმწიფოებრივი სტრუქტურების ურთიერთგამორიცხვის ნიშნები, ვლინდება ხელისუფლების წარმომადგენლების და სხვადასხვა დონის ჩინოვნიკების თანამდებობრივი უფლებამოსილების და სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების ნიშნები, იზრდება მოქალაქეთა უნდობლობა ხელისუფლებისადმი. ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში სულიერი უსაფრთხოების საფრთხეების დონის შემცირების სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ზოგადად ეროვნული იდენტობის დაცვა. უნდა გატარდეს ადეკვატური სახელმწიფო პოლიტიკა მოსახლეობის სულიერი და მორალური აღზრდის სფეროში, უნდა მოხდეს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების დესტრუქციული როლის შემცირება და უცხოური რელიგიური ორგანიზაციების უარყოფითი გავლენის შესუსტება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს „კანონის წინაშე თანასწორობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის, სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, რასის, ენის, სქესის, რელიგიის, რაიმე ჯგუფისადმი კუთვნილების, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების განურჩევლად, ადამიანთა თანასწორობის პრინციპებს. სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენლების თანაბარი ჩართულობა ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში“. ასევე „საქართველოს პრიორიტეტია კულტურული მრავალფეროვნებისა და ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნება და განვითარება. მისთვის მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ინტეგრაციას და ქვეყნის აღმშენებლობაში ჩართვას. საქართველო ქმნის პირობებს ამ ჯგუფების იდენტობისა და კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის“⁴⁶. თუმცა იგივე კონცეფცია საერთოდ არ ეხება საკუთრივ ქართული იდენტობის დაცვის აუცილებლობას. მრიგად, კონცეფციაში გათვალისწინებულია ზოგადად საზოგადოების მორალური ფასეულობების, ქვეყნის კულტურული და სამოქალაქო ღირებულებების დაცვა და განტკიცება.

სულიერი უსაფრთხოების, როგორც ეროვნული უსაფრთხოების ქვესისტემის მიზანი უნდა იყოს საზოგადოებაში

⁴⁶ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, თბ., 2012 წელი

სულიერი ფასეულობების ჩამოყალიბებისათვის საზოგადოებრივი კონტროლის ცივილური ფორმების და ხერხების შემუშავება, რომელიც უპასუხებს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს; პატრიტიზმის და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერება სამშობლოს წინაშე; მოქალაქეთა თავისუფლების და უფლებების უზრუნველყოფა სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების სრულყოფილებით; ფუნდამენტური მორალური ღირებულებების და ტრადიციების დაცვა და გაძლიერება.

სულიერი უსაფრთხოების მიზანი ასევე უნდა იყოს ჰარმონიული, მაღალი შეგნების, მორალური ფასეულობების და ღირებულებების მატარებელი პიროვნების განვითარება, რომელიც უნდა ფლობდეს საერთო პოლიტიკურ, სამართლებრივ კულტურას, შექმნას ოპტიმალური სოციალური და პოლიტიკური პირობები მისი უნარების განვითარებისათვის, სრულფასოვანი რეალიზაციისათვის, უზრუნველყოს მისი იდივიდუალური უფლებები და თავისუფლება და დაიცვას ყოველგვარი ფიზიკური, მორალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ძალადობისაგან.

ნებისმიერ სისტემას და შესაბამისად, ქვესისტემას ახასიათებს გარკვეული სტრუქტურა. საკუთრივ ეს უკანასკნელი ცალკეული ელემენტებისაგან შედგება. თუ გავითვალისწინებთ სულიერი უსაფრთხოების თვისობრივ და შინაარსობრივ მახასიათებლებს შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ელემენტი, კერძოდ:

სულიერი უსაფრთხოების სტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია კულტურული დამოუკიდებლობა, რაც არ გულისხმობს სულიერ იზოლაციას. თუმცა ითვალისწინებს საზოგადოების უნარს დაიცვას ტრადიციები და სტაბილური სოციო-კულტურული აღწარმოება სხვა კულტურებთან ურთიერთქმედების დროს, აიცილოს გლობალიზაციის უარყოფითი მხარეების გავლენა ლოკალურ და ეროვნულ კულტურაზე.

სულიერი უსაფრთხოების სტრუქტურის მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია საზოგადოების დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის სტაბილური ფუნქციონირება. პოლიტიკურად სტაბილური დემოკრატიული საზოგადოების პირობებში გარანტირებულია თავისუფალი სიტყვის დაცვა, აღმსარებლობა, დაცულია მოქალაქის პირადი სულიერი და ინფორმაციული უსაფრთხოება, უზრუნველყოფილია ჯანსაღი პოლიტიკური კონკურენცია საარჩევნო სისტემაში, მაღალია პარტიათა შორის პოლიტიკური დიალოგის კულტურა, ფართოა მნიშვნელოვანი საკითხების გადანყვეტაში არასამთავრობო საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობა, შეზღუდულია სხვადასხვა დესტაბილიზაციის მომხდენი ფაქტორები.

სულიერი უსაფრთხოების სტრუქტურის მესამე მნიშვნელოვანია ელემენტია ადექვატური მოთხოვნილება და შესაბამისად, მოქმედი ეროვნული განათლების, ჯანდაცვის და კულტურის სისტემების ადექვატური ფუნქციონირება. მა-

თი მიმართვა მოსახლეობის რეალურ მოთხოვნებისკენ, რაც უზრუნველყოფს მთავრობის მიერ შემუშავებული ჰუმანიტარული და სოციალური სტრატეგიის განვითარების პოტენციურ შესრულებას.

თანამედროვე ეტაპზე სულიერი უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების კომპლექსის შემადგენელი ნაწილი გახდა. სულ უფრო აუცილებელია ხდება სულიერი ფაქტორების, როგორც იდენტურობის საწყისის გააზრება, ვინაიდან გლობალიზაციის და საზოგადოების დეიდეოლოგიზაციის შედეგად წარმოქმნილი საფრთხეების გამონვევების პირისპირ სულიერი ფაქტორები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

სულიერი უსაფრთხოების პოლიტიკური შემადგენლობა და მისი ინსტიტუციონალიზაციის აუცილებლობა საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში ბუნებრივია მოითხოვს მისი განსაზღვრული ასპექტების პოლიტოლოგიურ შესწავლას.

საქართველოს საზოგადოების და პოლიტიკური ელიტის მიერ სულიერი უსაფრთხოების გააზრება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც საქართველოს მიერ ეროვნული სუვერენიტეტის და კულტურული იდენტურობის დაცვის, პოსტრანსფორმაციული სოცი-ოკულტურული კრიზისის დაძლევის, შემდგომი სოციალური და პოლიტიკური მოდერნიზაციის სავალდებულო კომპონენტი.

თანამედროვე რეალობაში სულიერი უსაფრთხოება უნდა იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთი ქვესისტემა, რომელიც საზოგადოებას

მისცემს საშუალებას შეინარჩუნოს სასიცოცხლო მნიშვნელობის პარამეტრები ისტორიულად შექმნილი ახალი და ძველი ნორმების მიჯნაზე.

,

,

,

,

.

,

.

,

-

-

,

.

Giga Phartenadze
Irakli Manvelidze

Spiritual security in Georgian national security system
Summary

In the globalization era a painful and irreversible process of social spiritual and cultural modernization is going on. Traditional values are changing; new norms of life are developing. As a result of this negative results of social spiritual and cultural transformation are vivid.

As a result of socio-economic and political challenges Georgian society stands in front of spiritual problems and crisis of social values and spiritual culture. Therefore, spiritual security is a problematic issue as society as a whole can exist while having spiritual values. Spiritual security is directly connected with globalization as well as Georgian geopolitical status as it is at the crossroads of eastern and western civilizations where different political systems and traditions intermingle.

In modern reality spiritual security must be one of the subsystems of Georgian national security system which will give the society an opportunity to keep vital parameters at the crossroads of new and old norms. In the transitional period of social development the process of changing norms which is due to different social-economic, political-cultural factors will cause social disorientation in historically created value system.

**თურქეთის ეკონომიკაში განვითარების
ზოგიერთი ასპექტი***გურამ საფარიძე*

სსფ-ის კლასიფიკაციით თურქეთი ფორმირებადი ბაზრის მქონე ეკონომიკად განიხილება. ამ ტიპის ქვეყნებს ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებსაც უწოდებენ. იგი ხასიათდება უცხოური კაპიტალისადმი გახსნილობით, აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობებით, განვითარებული ინფრასტრუქტურით.

მეოცე საუკუნის მინურულის აზიური კრიზისი თურქეთსაც მძლავრად შეეხო [Weisbrot; 2007]. ხელისუფლების ქმედებებისა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში დადებითი ეკონომიკური კონიუნქტურის წყალობით, თურქეთის ეკონომიკა გამოვიდა კრიზისიდან. 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის თურქეთის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით უკვე უახლოვდებოდა ბულგარეთის და რუმინეთის მაჩვენებლებს. ამის შემდეგ მან კიდევ უფრო სწრაფი ზრდა აჩვენა, ვიდრე თუნდაც ევროკავშირში ახლად განეკრიანებულმა ქვეყნებმა, რომლებიც, თავის მხრივ, ევროკავშირის საერთო მაჩვენებელზე უფრო სწრაფად იზრდებოდნენ [Dahlman; 2004][Bayar; 2011]

თურქეთს გააჩნია ეკონომიკური ზრდისათვის ხელსაყრელი დემოგრაფიული სიტუაცია, მძლავრი საგანმანათ-

ლებლო სისტემა (139 უნივერსიტეტი, 3 მლნ სტუდენტი, 400 ათასი კურსდამთავრებულით ყოველწლიურად) [Fitzaptrick and others; 2009], თვითკმარი და ექსპორტზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობადა მრეწველობა, ჩინეთის შემდეგ მსოფლიოში უმსხვილესი თურქული სამშენებლო კომპანიები 90-მდე ქვეყანაში 200 მლრდ დოლარამდე ღირებულების მშენებლობას აწარმოებენ, ქვეყანა წარმოადგენს ენერგეტიკულ და სატრანსპორტო სატრანზიტო კვანძს, მას გააჩნია დაახლოებით 45 ათასი ერთეული მოცულობის სატვირთო ავტომობილების პარკი, 50 საზღვაო და 45 აეროპორტი. სტამბოლი ლონდონის შემდეგ მეორე აეროპორტია ევროპაში. გარდა ამისა, მსოფლიო საფინანსო ბაზარზე თურქეთი მძლავრი საფონდო ბირჟის მეშვეობით ფიგურირებს.

თურქეთს გააჩნია რეგიონული ლიდერის პრეტენზია - 2023 წლისათვის 10 ყველაზე განვითარებული ქვეყნების სიაში შესვლა და ტექნოლოგიური მოდერნიზაციის მიღწევა [Wheeler; 2013][Agarwal; 2014].

მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომლითაც დღეს თურქეთი ხასიათდება, საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ, რომ თურქეთის პრეტენზიები რეგიონული ლიდერის პოზიციაზე რეალურია (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1. თურქეთის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 2010-2015წ

მაჩვენებელი	ზომის ერთეუ-	2010	2011	2012	2013*	2014*	2015*
-------------	--------------	------	------	------	-------	-------	-------

	ლი						
მშპ	მლნ აშშ დოლარი	736	774	786	820	800	717
მშპ ზრდის ტემპი	%	8,9	8,8	2,6	4,0	2,9	3,8
ინფლაცია	%	6,1	6,4	9,8	6,16	7,4	8,2
უმუშევრობა	%	9,5	9,2	9,2	9,7	9,9	10,5

2003 წლიდან ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 4%-ს აღემატება.

2016 წლის პირველი ნახევრისათვის მშპ-ის ზრდის პროგნოზი წლიურ 3,9 %-ს შეადგენდა, რაც დასტურდება OECD-ის ივლისის კვლევით.

მნიშვნელოვანი ბიძგი ეკონომიკის ზრდას გასული საუკუნის 80-90-იანი წლების ლიბერალურმა რეფორმებმა მისცეს, რაც ოცდამეერთე საუკუნეშიც გაგრძელდა. მანამდე არსებული, პროტექციონიზმზე დამყარებული პატერნალისტური ეკონომიკური სისტემა, მართალია, იცავდა კერძო საკუთრებას, მაგრამ ზღუდავდა უცხოური კაპიტალისა და იმპორტის შემოდინებას ქვეყანაში. ეკონომიკური ლიბერალიზაციისაკენ მიმართული მცდელობები წინააღმდეგობას

* მშპ-ის აბსოლუტური მონაცემები გამოხატულია აშშ დოლარში და მოიცავს რა ლირის კურსის დამოკიდებულების ცვლილება აშშ დოლართან, აჩვენებს კლებას 2014 და 2015 წლებში, სინამდვილეში ამ წლებში მშპ აგრძელებდა ზრდას, რაც ასახულია კიდევ ცხრილის მეორე სტრიქონში მშპ ზრდის ტემპის მონაცემებით.

ანცდებოდა. სახელმწიფო ძირითადად საკუთარი „ძალებით“ ცდილობდა ფინანსური ვაკუუმის ამოვსებას, რის გამოც ეროვნული ვალუტა გამუდმებით განიცდიდა ინფლაციას და დევალვაციას [Chen and others; 2014].

ინფლაციისა და ვალუტის კურსის დასტაბილურებამ მკვეთრად გაზარდა თურქეთში იმპორტის მოცულობა. მიუხედავად თურქეთის ეკონომიკის საკმაოდ მაღალი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისა (ექსპორტის მონაცემების აბსოლუტური მაჩვენებლები იზრდება), ქვეყნის საგარეო-სავაჭრო ბალანსი უარყოფითია.

საერთოდ, სწრაფად ხდება თურქეთის საერთაშორისო ინტეგრაცია. თუ გასული საუკუნის 90-იან წლებამდე საგარეო-სავაჭრო ბრუნვის შეფარდება მშპ-სთან შეადგენდა 15%-ს (ხანგრძლივი პროტექციონისტული და იმპორტმემცველი პოლიტიკის შედეგი), 2015 წლის მონაცემებით იგი 50%-ს აღწევს. თურქეთის საგარეო სავაჭრო ბრუნვის თითქმის ნახევარი ევროკავშირზე მოდის. მაგალითად, თურქული ექსპორტის 46,6%-ის მომხმარებელს 2011 წლის მონაცემებით ევროკავშირი წარმოადგენდა.

თურქეთის ეკონომიკას ახასიათებს საგარეო სავაჭრო ბრუნვის დეფიციტის ზრდის გრძელვადიანი ტრენდი. თუ, მაგალითად, 2004 წელს უარყოფითი სავაჭრო სალდო 34,4 მლრდ აშშ. დოლარი იყო, 2011 წელს 100 მილიარდ აშშ. დო-

ლარს გასცდა. თუმცა, ბოლო წლებში შეინიშნება ტრენდის შეცვლა კლებისაკენ.

ცხადია, სავაჭრო დეფიციტის ზრდა საფრთხის შემცველია სახელმწიფოს ეკონომიკური სტაბილურობისთვის, თუმცა ეკონომიკური განვითარების მოცემულ ეტაპზე ეს გაუარესება მეტწილად გამონწვეულია თურქეთის ფინანსური სტაბილურობის ზრდით. ინვესტიციური მიმზიდველობის ზრდას შედეგად მოჰყვა უცხოური კაპიტალის მოდინება.

ასევე იზრდება სამომხმარებლო, მათ შორის იმპორტულ საქონელზე მოთხოვნა. ეს ინვესს უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდოს ზრდას როგორც პირდაპირ (იმპორტის ზრდა), ასევე სამომხმარებლო კრედიტზე მოთხოვნის ზრდის გამო პორტფელური ინვესტიციების შემომავალი ნაკადების ზრდით.

ინვესტიციები მოედინება თურქეთის უძრავ ქონებაშიც, განსაკუთრებით თურქეთიდან სამუშაოსათვის მიგრირებული მოსახლეობის მხრიდან. ევროპაში, უფრო მეტად გერმანიაში, მიგრირებული ადამიანები სულ უფრო ანაზღაურებად პოზიციებზე გადადიან. ეს კი მოქმედებს როგორც თურქეთში გადმორიცხული გზავნილების რაოდენობაზე, ასევე სხვადასხვა სახის ინვესტიციებზე, მათ შორის, ინვესტიციებზე უძრავ ქონებაში. თურქულ უძრავ ქონებაში აბანდებენ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც აბალანსებს მზარდ საგარეო-სავაჭრო დეფიციტს, არის თურქეთში კარგად განვითარებული საერთაშორისო ტურიზმი და სატრანზიტო ტრანსპორტი, რომლებიც უცხოური ვალუტის „თავისი ფეხით“ შემომტანი დარგებია [Aydin-Duzgitandtheothers; 2013]

უფრო დეტალურად თურქეთის საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მონაცემები ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია წარმოდგენილი (იხ. ცხრილი 2)

ცხრილი 2. თურქეთის საგარეო ვაჭრობის მონაცემები 2009-2013 წწ.

(მლრდ აშშ დოლარი)

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
საქონელბრუნვა	243	299,3	375,7	389	403,5	399,8	351,1
ექსპორტი	102,1	113,8	134,9	152,5	151,8	157,6	143,9
იმპორტი	140,9	185,4	240,8	236,5	251,6	242,2	207,2
სალდო	-38,8	-71,6	-105,9	-84,0	-99,8	-84,6	-63,4
ექსპორტი/იმპორტი, %	72,5	61,4	56,0	64,4	60,3	65,1	69,4

დამატებითი საბიუჯეტო ხარჯები (დეფიციტი) სამომხმარებლო მოთხოვნას აცოცხლებს. ფინანსდებოდა მოკლევადიანი უცხოური სესხებით, „ცხელი ფულით“, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებული იყო კონიუნქტურაზე. ქვეყანა მივიდა კრიზისამდე 2001 წელს. საბაზრო მექანიზმისა და სახელმწიფოს გეგმიური მოქმედების შერწყმით მოხდა სტაბილიზაციის პროგრამის რეალიზება სოციალური პოლიტიკის

დაფინანსებით. 2009 წლის ვარდნის მერე ადვილად აღადგინა ზრდა ინფლაციის ნორმალური ტემპის შენარჩუნებით. ძირითადად შიდა მოთხოვნის ზრდით (გარე სესხების პარალელურად). იურიდიულად დამოუკიდებელ სანარმოებს სახელმწიფომ გაუმართა ინფრასტრუქტურა და სხვა მხრივაც დაეხმარა.

ბოლო პერიოდში საგარეო სესხების პრობლემა სახელმწიფოდან რეალურ სექტორს გადაეცა. სახელმწიფო თანდათან ამცირებდა ბიზნეს-ურთიერთობებში საკუთარი მონაწილეობის ხარისხს. თურქეთი სახელმწიფო ობიექტების პრივატიზებასაც ახდენდა. აქ საინტერესოა გარკვეული შედარება ევროკავშირის პოსტკრიზისულ ღონისძიებებსა და თურქეთის ეკონომიკურ პოლიტიკას შორის. როგორც ვიცით, ევროკავშირმა ფინანსური და ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად ფინანსური სექტორი გაათავისუფლა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდის ხარჯზე. ზოგიერთი პრობლემური კომპანია პრაქტიკულად ნაციონალიზებული იქნა. თურქეთში პირიქით მოხდა, ოღონდ ამ შემთხვევაში თურქეთმა საგარეო სესხები „გადააკისრა“ კერძო სექტორს, ნაწილობრივ ჩაანაცვლარა საგარეო სესხები შიდა ვალების აღების ხარჯზე, კერძო ფინანსურმა ბაზარმა კი უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე დაიწყო მუშაობა [Dervis and the others; 2004]

კიდევ ერთი საინტერესო ტენდენციაა საინვესტიციო ხარჯების შემცირება სახელმწიფოს მხრიდან. თუ სახელმწიფო ინვესტიციები 2003 წ. შეადგენდა ქვეყნის მშპ-ის 7,2%-ს, 2009-2010 წლებში ისინი განახევრდა და შეადგენდა მშპ-ის 3%-იდან 4%-მდე, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანა თანდათან გაჯერდა სახელმწიფო ინვესტიციებით.

სახელმწიფო მოხელეების ხელფასების მნიშვნელოვანი ზრდა არ ხდება. სამაგიეროდ, თურქეთი სულ უფრო და უფრო მეტს ხარჯავს სოციალურ პრიორიტეტებზე –ჯანდაცვაზე, პენსიებსა და სოც. უზრუნველყოფაზე. ტარდება რეგიონთაშორისი გამოთანაბრების პოლიტიკა გადასახადების მეშვეობით. რეგიონების უთანაბრობა, ნაწილობრივ, ახლაც წარმოადგენს თურქეთის პრობლემას. განათლებისა და უმუშევრობის, მათ შორის უმაღლესი განათლების მქონე პირთა დასაქმების პრობლემები, გენდერული განსხვავება განათლებასა და დასაქმებაში რჩება. თუმცა შრომის ბაზარი შედარებით მოქნილი გახდა. აგრამ ჯერ კიდევ პრობლემატურია ახალგაზრდების და ქალების დაბალი ხვედრითი წილი.

21-ე საუკუნის დასაწყისიდან თურქეთის ხელისუფლების სათავეში მოფი სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიერ წარმოებული პოლიტიკა ეკონომიკაში არის ნეოლიბერალიზმის და პატერნალიზმის გარკვეული სიმბიოზი. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისინი შეეცადნენ თავისუფალი ბაზრისადმი ერთგულება არ ექციათ საბაზრო

ფუნდამენტალიზმად, მთავრობა კი დაემსგავსა ევროპული მოდელის სოციალურ სახელმწიფოს, რომლის პრიორიტეტს მოქალაქეების საბაზო მოთხოვნების დაკმაყოფილება წარმოადგენს. ამით, შეიძლება ითქვას, თურქეთი შეეცადა ორი მიზნის მიღწევას: მოსახლეობის, ამომრჩევლის გულის მოგებასაც და ევროპის მოთხოვნების შესრულებას. ზოგჯერ სოციალური მხარდაჭერის მექანიზმები აშკარად პარტიულ-პოლიტიკური აგენტების როლშიც გამოდიან.

საგარეო სავაჭრო სალდოს დეფიციტი ნაკლებად არის გამოწვეული ბიუჯეტის დეფიციტით, რამდენადაც თურქეთს ამ კუთხით კარგი მაჩვენებელი აქვს. თურქეთის ეკონომიკა არ ფუნქციონირებს ისეთი უზარმაზარი ბიუჯეტის დეფიციტით, როგორც თუნდაც ევროზონის ქვეყნები. ამდენად, არც სახელმწიფო ვალის ოდენობა აქვს საგანგაშო. შედარებისათვის, ევროზონის 20 ქვეყნის საერთო სახელმწიფო ვალის შეფარდება მათსავე მშპ-ს ჯამურ მოცულობასთან 2010 წლისათვის 87%-ს შეადგენდა; ხოლო დეფიციტი ცალკეულ წლებში ზოგ ქვეყანაში - მშპ მოცულობის 6%-ზე უფრო მაღალი (მაასტრიხტის კრიტერიუმებით ბიუჯეტის დეფიციტი ევროკავშირის ქვეყნებში განსაზღვრულია არაუმეტეს მშპ-ის 3%-ისა; სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 60 %-ს). 2015 წლის თურქეთის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა მშპ 1,4%.

სახელმწიფო ვალი 2015 წლის სექტემბრისათვის შეფასდა 238 მლრდ. დოლარად. რომლის უფრო მეტი ნაწილი (152,2 მლრდ.) განთავსებულია თურქულ ლირაში. მოკლევადიანი საგარეო ვალი 130 მლრდ დოლარს შეადგენს. 2016 წლისათვის დასაფარია 180 მლრდ-მდე. მთავრობა საერთოდ, ეფექტურად მოქმედებს სახელმწიფო ვალის შემცირებისათვის. თუ 2001 წელს ვალი მშპ-ს 77,9%-ს შეადგენდა, 2014 წლისათვის იგი ჩამოვარდა 33%-მდე. თუმცა, ეკონომიკური ზრდის მიზნებიდან გამომდინარე, მთავრობა აღარ უფრთხილდება ვალის აღებას და უფრო თამამად იყენებს ეკონომიკის სტიმულირების ფისკალურ ბერკეტს.

უცხოური ინვესტიციებიდან ჭარბობს ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული კაპიტალი. თუმცა, ევროკავშირის გაფართოების შედეგად ინვესტიციების ნაწილი გადამისამართდა შემოერთებულ ქვეყნებში.

ამდენად, მიუხედავად თურქეთის ეკონომიკის მაღალი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისა, საგარეო სავაჭრო სალდოს დეფიციტი იზრდება (თუ არ ჩავთვლით ბოლო რამდენიმე წელს). ამას კი ხელს უწყობს: 1) ეკონომიკის საინვესტიციო მიმზიდველობა; 2) იმპორტის ზრდა; 3) დეფიციტური ბიუჯეტის არსებობა.

ლოდესაც რთულდება პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, რაც მიმდინარე ეტაპზე თურქეთის სინამდვილეში სახეზეა, ინვესტორები აღარ ენდობიან თურქეთის

ეკონომიკას, არც რეიტინგული სააგენტოები წყალობენ. შეიმჩნევა კაპიტალის გაქცევა, რაც თურქული ლირის დაცემას უწყობს ხელს. იქაც, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მსგავსად, ცდილობენ ბალანსის ხვრელების ამოვსებას. ქვეყნის სავალუტო რეზერვები ბოლო პერიოდისათვის ჩამოვიდა 100 მლრდ. დოლარზე დაბლა, რაც შეადგენს ქვეყნის სამთვიან საგარეო ბრუნვაზე ნაკლებს. არის ინფლაციის საშიშროება. ცხრილიდან 1 კარგად ჩანს, რომ ბოლო წლებში ინფლაციის მაჩვენებელი ჯერ კიდევ შორსაა ევროპული „სტანდარტებისაგან“. თუმცა გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე მთელი ათწლეულობის განმავლობაში იყო. სირიაში განვითარებულმა მოვლენებმა, რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვამ, ნავთობის ფასების ცვლილებასთან და აშშ დოლარის გამყარებასთან დაკავშირებულმა სიტუაციამ, თურქეთი მიმდინარე ეტაპზე ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, რომლის გამკლავება მას დღეს უხდება.

ამ ფონზე თურქეთის ცენტრალური ბანკის ქმედებები შედარებით პასიურობით გამოირჩევა. შესაძლოა პოლიტიკური ზეწოლის გამო. გასულ წელში ერდოგანი ფაქტიურად აძალებდა ცენტრალურ ბანკს განაკვეთის შემცირებას. რაც აისახებოდა სასესხო ბაზარზე - 10-წლიანი სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობა 10 %-ზე მეტი ნიშნულიდან ორიოდ თვეში 9 %-მდე შემცირდა. საკრედიტო-სადეფოლტოსვოპების (სადეფოლტო დაზღვევა) ღირებულება ობლი-

გაციის მფლობელებისათვის, ასევე დაეცა. პრინციპში, განვითარებული ქვეყნისათვის არც თუ ცუდ მაჩვენებლამდე, რომ ქვეყნის გადახდისუნარიანობას საფრთხე შექმნოდა [Gormez; 2008]

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ოცდამეერთე საუკუნე თურქეთმა დინამიურად დაიწყო ეკონომიკური განვითარების და ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით. თურქეთის მაკროეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები სულ უფრო მეტად უახლოვდება იმ ნორმატივებს, რომლებსაც მოითხოვს ევროკავშირი ნევრობის საკუთარი კანდიდატებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ არის გარკვეული პრობლემები როგორც ეკონომიკური სისტემის გახსნილობის, ისე მაკროეკონომიკური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით, აშკარად იკვეთება პოზიტიური ტენდენცია, რომელიც თურქეთის ეკონომიკურ სისტემას ერთიანი ევროპული ოჯახის სრულუფლებიან ნევრობაზე პრეტენზიის გამოთქმის უფლებას აძლევს.

გამოყენებული ლიტერატურა

Weisbrot M. Ten Years After: The Lasting Impact of the Asian Financial Crisis. Center for Economic and Policy Research. Ten Years After: Revisiting the Asian Financial Crisis. Washington. 2007;

Dahlman C. Turkey's Accession to the European Union: The Geopolitics of Enlargement. *Eurasian Geography and Economics*, 2004, 45, No.8, pp.553-574

Gormez Y. banking in Turkey: History and Evolution. Bank of Greece, Economic Research Department – Special Studies Division. Working Paper 83. Greece. 2008;

Chen M., Chew M.L., Goyal S., Matar M., Yavuz Z. The Turkish Economy, Post-2001 Crisis: Why Timing, Faith, and Expectations Matter. *UChicago Undergraduate Business Journal*. Chicago. 2015;

Wheeler T. Turkey's role and interests in Central Asia. *Saferworld*. October. 2013;

Agarwal R. Turkey and its quest for leadership role in the west Asian region. *IDS monograph Series No.32*. New Dehli, January 2014;

Aydin-Duzgit S., Duncker A., Huber D., Keyman E.F., Tocci N. Global Turkey in Europe. Political, Economic, and Foreign Policy Dimensions of Turkey's Evolving Relationship with the EU. *IAI Research Papers*. Rome. 2013;

Dervis K., Emerson M., Gros D., Ulgen S. The European Transformation of Modern Turkey. *Centre for European Policy Studies. Economics and Foreign Policy Forum*. Brussels, Istanbul. 2004;

Bayar F. Membership of Turkey to the European Union: An Added Value, not a Burden. *European Perspectives – Journal on European perspectives of the Western Balkans*. Vol. 3, No. 2(5), pp 33-52, October 2011.

Fitzpatrick M., Rahman F., Esen H. Globalization and Education policy in Turkey: Education of Women, Religious Education and Higher Education. University of Illinois at Urbana-Champaign. 2009.

21-

Guram Safaridze

**Some Aspects of the Turkey's integration in the European
Union**

Summary

Turkey started the 21st century in a dynamic way in terms of economic development and economic policy. The figures of macroeconomic development getting close to those standards the European Union requires for candidate countries. Although there are certain problems related to the openness of the economic system and implementation of macroeconomic policy, the positive trend appeared that gives Turkey the right to pretend for the full membership of united European Family.

საჯარო მმართველობა
Public Administracion

**მუნიციპალური წარმონაქმნის ტერიტორიის
ეკოლოგიურ-ლანდშაფტური მდგრადი
განვითარება - გარემოს მდგრადობის
მუნიციპალური მართვა**

ზვიად ბურჭულაძე

დღეისათვის მუნიციპალური წარმონაქმნის ტერიტორიის ეკოლოგიურ-ლანდშაფტური მდგრადი განვითარება არის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება საქართველოს ტერიტორიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მართვის სტრუქტურაში.

მუნიციპალიტეტი არის საზოგადოების სოციალურ-სტრუქტურული ერთეული და იმავდროულად როგორც წესი ქალაქი და მისი მიმდებარე ადგილები, რომელებიც მოცულია მართვის ერთიანი სისტემით.

ტერიტორიის ეკოლოგიურ-ლანდშაფტური მონაცემთა, როგორც სისტემა მრავალსახოვანი ღონისძიებებისა (ეკო-

ლოგიური, სოციალური, ეკონომიური და სხვ.) წყვეტს მიწათსარგებლობის რაციონალიზაციის პრობლემებს, მისაღებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფის დონისთვის წარმოების სამეურნეო ორგანიზაციისა და ბუნებათსარგებლობის კონკრეტულ პირობებში. დღეს ტერიტორიის მინათმონწყობის საკითხების განხილვისას უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებების აღნიშვნას. ამიტომ ტრადიციულ სოციალურ-ეკონომიკურ დასაბუთებებს ტერიტორიის ათვისებისას აუცილებელია ახლდეს მისი ობიექტური ეკოლოგიურ-ლანდშაფტური ანალიზის დეტალებიც.

ტერიტორიის დაგეგმარების საკითხი არის ფუნდამენტალური მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც ყალიბდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური, ეკონომიური და სოციალური განვითარების, ტერიტორიის გამოყენების, ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების, კაპიტალური მშენებლობის ობიექტების განვითარების, ეკოლოგიურ-ლანდშაფტური და ტექნოგენური ხასიათის განსაკუთრებული მნიშვნელობის პროგრამები.

ტერიტორია უნდა განვიხილოთ შრომის რესურსებთან, კაპიტალთან და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან ერთად, როგორც ძირითადი ბუნებრივი რესურსი და ეკონომიური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამიტომ ტერიტორიის მდგრადი და ეფექტური გამოყენებისთვის საჭიროა მინათ-

მონყობის რეგულირების ისეთი მეთოდებით სარგებლობა, რომელიც მიმართული იქნება ნაციონალური სიმდიდრის გაზრდისკენ, საზოგადოების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ და ეკოლოგიურ-ლანდშაფტური პოტენციალის შენარჩუნებისკენ.

მუნიციპალური წარმონაქმნის სივრცითი საფუძველი მოიცავს თავისთავში, როგორც ბუნებრივ გარემოს, ასევე ხელოვნურად შექმნილი ტერიტორიის განაშენიანებას, რომელიც დასაყრდენია მისი გეგმარებითი კარკასისა. ამ ფაქტორების შერწყმა აყალიბებს რაიონის გარემოს, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივ, არქიტექტურულ გეგმარებით, ეკოლოგიურ, სოციალურ-კულტურულ და სხვა პირობების ერთობლიობას.

როგორც აღვნიშნეთ, მუნიციპალური წარმონაქმნის მნიშვნელოვანი ელემენტია ბუნებრივი გარემო, ლანდშაფტი. თანამედროვე ქალაქმშენებლობა, ისევე როგორც ლანდშაფტის დიზაინი განიცდის დიდ ცვლილებებს. იცვლება თეორია, მეთოდოლოგია, მიდგომები და ინსტრუმენტები დასახლებული ადგილების სივრცის გარდასახვისა და სტრუქტურირებისა შესაბამისად რეალობისა, რომელიც ითვალისწინებს მეტ კომფორტსა და ცხოვრების უკეთეს ხარისხს.

მუნიციპალური რაიონის ტერიტორიის რესურსული პოტენციალის ანალიზის დროს ყველა მის ასპექტში (ეკონო-

მიკურში, ბუნებრივ-ეკოლოგიურში, ტერიტორიალურში, ისტორიულ კულტურულში, სატრანსპორტო-კომუნალურში) უნდა ჩატარდეს ტერიტორიის კომპლექსური შეფასება, ჩამოყალიბდეს რაიონის განვითარების ფუნქციონალური პრიორიტეტები, გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი საინვესტიციო განვითარების კვანძები, განისაზღვროს ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ტერიტორიის ეკოლოგიურ-ლანდშაფტური როლის სრულყოფას.

მუნიციპალური წარმონაქმნის ტერიტორიალური დაგეგმვის მიზანი და ამოცანები მკაფიოდ უნდა იყოს ორგანიზებული იმ არსებული ყველა რესურსის მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებაზე, მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის ამაღლების ხელშეწყობაზე.

ტერიტორიის ეკოლოგიურ-ლანდშაფტური ორგანიზაცია ყალიბდება ბუნებრივი და ურბანული სუბსისტემების ურთიერთობის საფუძველზე, რამაც უნდა უზრუნველყოს მინათსარგებლობის ეკონომიური, სოციალური და ქალაქმშენებლობითი ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტა ეკოლოგიურად უსაფრთხო ორგანიზაციის პირობები.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ, როდესაც ვეხებით ეკოლოგიურ-ლანდშაფტურ საფუძველზე ტერიტორიის მდგრად განვითარების მეთოდოლოგიას და ეკონომიკური მექანიზმების მართვის საკითხებს, სამამულო პრაქტიკაში ეს პრობლემა არასრულყოფილადაა გამოკვლეული და საჭიროებს შესაბამის მეცნიერულ დასაბუთებას. არ განიხილება ტერი-

ტორიალურ ლანდშაფტური სტრუქტურების კავშირები ტერიტორიის ორგანიზაციის ელემენტებთან; არ არის სისტემური მიდგომა ლანდშაფტური ფაქტორების გამოყენებისას, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მიღებული იქნეს ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებები ტერიტორიის პროექტირებისას მინათმონყობის ორგანიზაციის მიზნით.

ტერიტორიის მინათმონყობის ეკოლოგიური შემცველობის შეუფასებლობა კვლავ რჩება არსებითად, მისი დანიშნულება არ შეიძლება შემოიფარგლოს მინის პოლიტიკის რეალიზაციის ჩარჩოებით. ბუნებრივი წარმომავლობა და ლანდშაფტის მდგომარეობა, ხარისხი, განსხვავებულობა, მინის დარგობრივი სარგებლიანობა განსაზღვრავს ტერიტორიის უნარს შეასრულოს წარმოების საშუალების ფუნქცია.

იმავედროულად დადგენილია, რომ ლანდშაფტი ასრულებს საზოგადოებრივ როლს კულტურულ, ეკოლოგიურ, ბუნებრივ და სოციალურ სფეროში და არის საბაზო კომპონენტი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობისა, ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას და ხალხის ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, არის მთავარი საბაზო რესურსი ეკონომიკის მრავალი სექტორის განვითარებისა და კავშირებული ლანდშაფტთან, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მდგრადი განვითარების პირობების გადასვლას.

როდესაც ვეხებით მუნიციპალური რაიონის ტერიტორიის ეკოლოგიურ-ლანდშაფტური მდგრადი განვითარების საკითხებს აქ ის აუცილებლად უნდა განვიხილოთ ქალაქმშენებლობით პოლიტიკასთან ერთად, იმ ღონისძიებებთან კონტექსტში, როგორცაა სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური, ფინანსური და საინვესტიციო პოლიტიკა, გამომდინარე მუნიციპალური რაიონის ტერიტორიის ქალაქმშენებლობითი ორგანიზაციის თვალსაზრისით არსებული მიმართულებიდან. ამ შემთხვევაში ქალაქმშენებლობითი დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს ტერიტორიისა და დასახლებული ადგილების მდგრადი განვითარების პრინციპებს, რომლის დროსაც ქალაქმშენებლობითი საშუალებებით უზრუნველყოფილი ხდება ცხოვრებისა და საქმიანობისთვის სასურველი გარემოს შექმნა, რაც იმავდროულად გულისხმობს მომავალი თაობებისათვის ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. აღნიშნული ნაშრომის გაანალიზებიდან ჩანს, რომ ტერიტორიის მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზაციის ძირითადი კრიტერიუმებია: ქალაქმშენებლობის განვითარებაში საინვესტიციო და ეკონომიკური მიმზიდველობისკენ სწრაფვა მუნიციპალური რაიონის სოციალურ, ეკონომიური და ბუნებრივი პოტენციალის რაციონალური გამოყენების საფუძველზე;

ზარალის აღმოფხვრა, რომელიც ადგება გარემოს, ასევე ბუნებრივ რესურსების დაცვასა და კვლავ წარმოქმნას, ბუნებრივ მემკვიდრეობას ეკოსისტემის ბალანსის შე-

ნარჩუნების საშუალებით; მინათსარგებლობისა და მშენებლობის სფეროში გამაფრთხილებელი ღონისძიებების მიღება, ასეთმა მიდგომამ შეიძლება იმპულსი მისცეს ტერიტორიის მატერიალური, სოციალურ-ეკოლოგიურ, ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს. ტერიტორიის ქალაქმშენებლობითი განვითარების ასეთი მიმართულება საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ დასახლებული ადგილების კონკურენტუნარიანობის დონე სუსტად ათვისებულ ტერიტორიებზე და ხელი შეუწყოს უფრო პერსპექტიულ დასახლებულ პუნქტებში ეკონომიურ და სოციალური ზრდის შესაძლო კონცენტრაციის უზრუნველყოფას. დღეს საქალაქო კომფორტის მიმართ დამოკიდებულება კარდინალურად იცვლება. ამჟამად ჩანს რომ იმისათვის, რომ მოხდეს ადამიანის უკეთესი მდგომარეობის უზრუნველყოფა საჭიროა მეთოდურად იყოს ის კონტაქტში ბუნებრივ გარემოსთან, რამეთუ ეს არის თვისება ცოცხალი ორგანიზმისა. თანამედროვე ქალაქებში ურბანულმა პროცესებმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ბუნებრივი შემადგენლის მოცულობა ურბანიზირებულ ტერიტორიაზე შემცირდა კრიტიკულ მდგომარეობამდე და სამწუხაროდ პროცესი დღესაც გრძელდება. ამდენად აუცილებელი ხდება ნარსულის ქალაქმშენებლობითი პრაქტიკისა და თეორიის ახლებური გააზრება და მასში აქტიურად შემოყვანა დღევანდელი დღის მოთხოვნათა შესაბამისად ახალი ვექტორისა, როგორცაა ბუნებრივი გარემოს ქალაქის სტრუქტურაში შემოყვანა.

დღეს უკვე აღარ საუბრობენ ლანდშაფტზე განყენებულად, რომ არ ახსენონ მისი ქალაქმშენებლობითი ბუნება, რამეთუ ლანდშაფტი არის გარემო. დღეს XXI საუკუნეში, ეს არის სრულიად სხვა მცნება, როგორცაა "ლანდშაფტური ურბანიზმი", რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ახალი ტიპის ქალაქმშენებლობითი სტრუქტურის რეგენერაციის პრობლემასთან და მოიცავს ბუნებრივ კომპონენტებს მაღალი ტექნოლოგიების საფუძველზე. ლანდშაფტური დიზაინის თეორია აგებულია შემდეგზე, რომ ბუნებას დამატებული არქიტექტურული ობიექტი ეს არის ქალაქის გარემო. ასეთი გარემო არის სწორედ მთავარი ინსტრუმენტი XXI საუკუნის ქალაქებში მაღალი დონის კომფორტის შექმნის და ქალაქის მდგრადი განვითარებისა.

როგორც ცნობილია, კონკრეტული ტერიტორიის მდგრადი განვითარება ნიშნავს ბიოსფეროზე ანთროპოგენური დატვირთვების სიდიდის მოცემული ტერიტორიის ბუნებრივი რესურსების ტევადობასთან შესაბამისობაში მოყვანას და ამით ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას. იმისათვის, რომ შენარჩუნებული იქნას ეკოლოგიური ბალანსი აუცილებელია ჩამოვაცალიბოთ ტერიტორიის "ეკოლოგიური კარკასი". ტერიტორიის, რომელზეც ყალიბდება ეს კარკასი, 30%-40% ეკუთვნის ეკოლოგიურ კარკასს.

კარკასი უნიკალურია ყოველი ობიექტისათვის (დასახლებული ადგილისთვის) ის აუცილებელია შეიქმნას ყველა ღირებულ ისტორიულ კულტურული, ბუნებრივ ეკოლოგიუ-

რი და რეკრეაციული დანიშნულების ტერიტორიების ეტაპობრივად შენარჩუნების გზით. ოპტიმალური დამოკიდებულებით და ურთიერთ განთავსებით განაშენიანებული, თავისუფალი და არაურბანიზირებული ბუნებრივი და გამწვანებული ტერიტორიებით. ქალაქის ეკოლოგიურ კარკასს გეგმარებითი თვალსაზრისით აგებენ მისი სიდიდის, ქალაქთნარმომქნელი ბაზის პროფილის და ბიოსფეროს თავისებურებების გათვალისწინებით. ურბოეკოლოგიური სტრუქტურის აგებისას აუცილებელია, უპირველესი: ქალაქის (დასახლებული ადგილის) მსხვილი მასივების გაერთიანება ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური კარკასის ელემენტებთან; მეორე: ტყის მასივებისა და ქალაქის შიგა გამწვანებული სივრცეების, პარკების, ბულვარების, სკვერების მიბმა ერთიან სისტემაში; კარკასის შედარებით ავტონომიური ნაწილების ქალაქის გეგმარებით სტრუქტურაში შეღწევის უზრუნველყოფა, კერძოდ საცხოვრებელ რაიონებში, მიკრორაიონებში, სამრეწველო და კომუნალურ ზონებში.

მეთოდოლოგიური საფუძვლები ურბოეკოლოგიის სისტემის ჩამოყალიბების დროს მოიცავს:

- ტერიტორიის ქალაქმშენებლობით-ეკოლოგიურ ანალიზს;
- ბიოსფეროზე ანთროპოგენური დატვირთვის დონის განსაზღვრას;

- ქალაქმშენებლობით-ეკოლოგიური დოქტრინის დამუშავებას რეგიონალურ პირობებში;

- ტერიტორიის ურბოეკოლოგიური ზონირების ნორმატივების დამუშავებას;

ურბოეკოლოგიის პრაქტიკული საფეხურებია:

- მკაფიო გამიჯვნა ურბანიზირებული ტერიტორიებისა და ღია ბუნებრივი სივრცისა;

- ბუნებრივი კარკასის ხაზობრივი ელემენტების განვითარება, აგრეთვე მწვანე გზების და საფეხმავლო გამწვანებული გზების განვითარება;

- ეკოლოგიური ღერძების ჩამოყალიბება ლანდშაფტურ დომინანტებთან ერთად, აგრეთვე წყალსაცავების და მდინარეთა ნაპირების გათვალისწინებით;

ეფექტურად ფუნქციონირებადი ურბოეკოლოგიური სისტემის დამუშავება შესაძლებელია გამომდინარე რეგიონალური ბუნებრივ-კლიმატური პირობების ანალიზის შემდეგ. ძირითად მაჩვენებლებს რეგიონის ბუნებრივი ლანდშაფტისა განეკუთვნება: კლიმატი, რელიეფი, ჰიდროსისტემა, ნიადაგი, მცენარეულობა.

ბუნებრივი ლანდშაფტის რეგიონალური თავისებურებების და მისი ურბანიზირებული ასპექტების ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ურბოეკოლოგია წარმოადგენს ბუნებრივ-ქალაქმშენებლობით სისტემას, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს თანმიმდევრულად გატარებულ ქალაქმშენებ-

ლობითი ეკოლოგიის პოლიტიკას, გამომდინარე შემდეგისგან:

- ლიმიტირებულ ანთროპოგენულ ეკოლოგიურ დატვირთვას;

- დარღვეული ტერიტორიების ეკოლოგიურ რეკონსტრუქციას;

- ბუფერული, საკომპენსაციო ზონების (ტყე, ღია სივრცე, წყალსაცავი) შექმნას;

- მრავალდონიანი, მრავალფუნქციური გამწვანების სისტემის და ბუნებრივი კარკასის ხაზობრივი ელემენტების შექმნას (მწვანე დერეფნები).

ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოსა და მუნიციპალურ წარმონაქმნს შორის მართვლობითი ფუნქცია, ეს არის ორგანიზაციული, აღმასრულებელი და გამკარგულებელი ქმედებების სისტემა, მიმართული ბუნებისა და ბუნებარესურსული კანონმდებლობითი ნორმების დაცვითა საქართველოს ტერიტორიაზე. სახელმწიფოს ფუნქციას ბუნებრივი რესურსების მართვისას აქვს გაორებული მიდგომა. ერთის მხრივ, სახელმწიფო უშუალოდ თვითონ არის მესაკუთრე ბუნებრივი ობიექტებისა და რესურსებისა. ის უფლებამოსილია ისარგებლოს სახელმწიფოს მისთვის მინიჭებული განმანაწილებელი უფლება-მოვალეობებით, ხოლო მეორეს მხრივ როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო ბუნებრივ რესურსებს, განაწილებას მოსარგებლებ-

თან, მფლობელებთან და არენდატორებთან, ძალიან მნიშვნელოვანია გამოიჩინოს ჯანსაღი დემოკრატიზმი, იმ მხრივ, რომ მისცეს კანონიერ მოსარგებლეს ბუნებრივი ობიექტების სარგებლობის თავისუფლება და თავად გადაწყვიტოს საკითხები დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენებისა.

ბუნებრივ-ეკოლოგიური რესურსების მუნიციპალური მართვის მექანიზმის ფორმირება უნდა ეფუძნებოდეს მთლიანად რაიონისა და რეგიონის ურთიერთდაკავშირებულ ურთიერთ განპირობებულ განვითარებას. აუცილებელია სახელმწიფოებრივი მართვის პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის მემკვიდრეობა. ეკოლოგიური პრობლემების ეფექტური გადაწყვეტა შეიძლება მიღწეული იქნას ადგილობრივი თვითმართველობითი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების შეთანხმებული საქმიანობის ნიადაგზე.

მუნიციპალური წარმონაქმნების ეკოლოგიური პოლიტიკის დამუშავება და რეალიზაცია ითვალისწინებს მის ორგანიზაციულ, ინფორმაციულ, ტექნიკურ, სამართლებრივ და ფინანსურ უზრუნველყოფას. დღეისათვის ასეთი უზრუნველყოფის დამუშავება, არის მეცნიერთა და არქიტექტორთა საქმიანობის ერთ – ერთი ძირითადი მიმართულება. აუცილებელია აღინიშნოს, რომ სხვადასხვა მუნიციპალური წარმონაქმნებისათვის ამ პრობლემათა გადაწყვეტის გზები არ არის ერთგვაროვანი და ის ექვემდებარება ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებას. ურბოეკოლოგიური კარკა-

სის პროექტირება უნდა მოხდეს შუალედურ სტადიაში ტერიტორიული დაგეგმარების დოკუმენტების დამუშავების დროს, ტერიტორიის სატრანსპორტო და საინჟინრო კარკასების დაპროექტებისას, განსახლების სისტემის ჩამოყალიბებისა და მოსახლეობის პერსპექტიული რაოდენობის ვარაუდით. კომპლექსური ანალიზისა და მოცემული შეჯერებული საპროექტო გადაწყვეტილებების შემდეგ დარგობრივ სფეროში ყალიბდება ინტეგრალური საპროექტო გადაწყვეტები ტერიტორიის განვითარებასთან მიმართებაში ურბოეკოლოგიური კარკასის სისტემა უნდა იდგეს ერთ რიგში საპროექტო წინადადებებთან ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროსთან ერთად. ამრიგად ურბოეკოლოგიური სისტემა ახდენს უშუალო ზემოქმედებას ეკოლოგიურად დასაბუთებული საპროექტო გადაწყვეტილებებზე მუნიციპალურ წარმონაქმნებში ტერიტორიის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისას.

გარემოს დაცვის სფეროში მართვას აქვს რიგი თავისებურებები : ობიექტური, რომელიც განპირობებულია რეგიონის სოციალურ – ეკონომიური პირობებით და სუბიექტური, რომელიც განპირობებულია პოლიტიკური პროცესებით, სახელმწიფო ორგანოების რეორგანიზაციით და ნორმატიული სამართლებრივი ხაზის ცვლილებით.

ჩამოთვლილი თავისებურებები ითხოვს ისეთი მართვის სისტემის შექმნას, რომელიც ერთის მხრივ საშუალებას იძლევა ოპერატიულად რეაგირება მოახდინოს ყოველზე ობიექტურ და სუბიექტურ ცვლილებებზე ხარისხის და-

კარგვის გარეშე და განაპირობოს გარემოს მდგრადი მოცემული ხარისხი. მეორეს მხრივ სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს ბუნებათმოსარგებლებს ისეთი პირობების შეგუებაში, კერძოდ არ გაართულონ ბუნებასთან ურთიერთობის პროცესში დამოკიდებულება.

ამრიგად, ზემოდ აღნიშნულიდან გამომდინარე მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილება, რომ იყოს ეკონომიურად გამართლებული, ეკოლოგიურად მისაღები და სოციალურად დასაბუთებული საჭიროა ტერიტორიის მუნიციპალური მართვისას გათვალისწინებული იქნეს ურბოეკოლოგიური კარკასის როლი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ვარეგულიროთ ანთროპოგენური ზემოქმედების დონე ლანდშაფტზე და იმავდროულად თავი ავარიდოთ შესაძლო კონფლიქტურ სიტუაციებს. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერიტორიული დაგეგმარების დროს, რადგანაც საპროექტო გადაწყვეტილებების მიღება სხვადასხვა ტერიტორიული სისტემის შექმნისას (სატრანსპორტო, საინჟინრო და სხვ.) თანხვედრაში უნდა იყოს ტერიტორიის ეკოლოგიურ ორგანიზაციასთან და კერძოდ ურბოეკოლოგიურ კარკასთან.

-

-

-

,

-

-

.

,

,

,

.

Zviad Burchuladze

**Sustainable development of municipal entity's ecology
landscape – municipal management of environment**

Summary

Currently we have not distinctly formed methodical indications within the territorial planning about ecological-territorial organization in municipality formations, what led us to high ecological degradation quality on these territories, as well to raising the conflict situation, as a result we got decreasing the living standards, that's why in the article one pays attention to the necessity of holding effective municipality ecological politics, what would have a positive influence over the ecological situation not only for the concrete municipality creatures, but as well for the whole region and state.

გამოყენებული ლიტერატურა

... .. " " 2010;
... .. ; -
1982;
სალუქვაძე გ. ქალაქმშენებლობითი ეკოლოგია. გამომ-
ცემლობა ტექნიკური უნივერსიტეტი, 2007;
-
... 2014 (...).
... .. -
... ..
... , 01.04 2004;
... ..
... ..
... , 2009;
... .. -
//
... 1987. 4. ... 49-

54.

მასკომუნიკაცია**Mass Communication****პოლიტიკური რეკლამის რეგულირების
ზომიერთი ანკეჟტი***ირინე ცინცაძე*

ისევე როგორც ნებისმიერ სფეროში, პოლიტიკაშიც პიარს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. თუ გავიხსენებთ ნებისმიერი პოლიტიკური ლიდერის წინასაარჩევნო პროგრამებს და კამპანიებს, ან ნებისმიერი სამთავრობო უწყების მოღვაწეობას, ნათლად დავინახავთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიარს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პოლიტიკური პიარის მთავარ ფუნქციად საინფორმაციო-საკომუნიკაციო პროცესის წარმართვა აღიქმება.

დღეს საქართველოში პოლიტიკური პარტიები და ლიდერები პიარს ყველაზე მეტად საზოგადოებაში გარკვეული იმიჯის დამკვიდრებისა და წინასაარჩევნო კამპანიების ორგანიზებისათვის იყენებენ. პიარ სპეციალისტები ქმნიან ლიდერებისა და პარტიების იმიჯს და აწოდებენ მას საზოგადო-

ებას. ისინი სწავლობენ საზოგადოებრივ აზრს და მასზე აგებენ თავიანთ საკომუნიკაციო კამპანიებს.

პოლიტიკური პიარ კამპანიები შეიძლება იყოს გარე საზოგადოებაზე ორიენტირებული. მაგალითად, ქვეყნის იმიჯის, რეპუტაციის გაუმჯობესების, შეცვლის სურვილი. განსაკუთრებით მწვავედ დგება ასეთი პიარ კამპანიების ჩატარების აუცილებლობა ადმინისტრაციის რეჟიმის, პოლიტიკური ორიენტაციის თუ ქვეყნის პრიორიტეტების შეცვლის შემდეგ. ასევე პიარ კამპანიები აუცილებელია ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის, მისი ტურისტული და კულტურული მიმზიდველობის იმიჯის შექმნისათვის.

რაც შეეხება პოლიტიკურ რეკლამას, ის სარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი გადამწყვეტი ელემენტია. ესაა ტრადიციული სატელევიზიო სარეკლამო რგოლები, პლაკატები, ტრანსფარატები, ფურცლები. ამგვარ რეკლამას ექსპერტები განმარტავენ, როგორც ბაზრის კონკურენციის ინსტრუმენტს, რომლის ძირითადი ამოცანებია: - გარკვეული პოლიტიკური ძალების პოლიტიკური პლატფორმის არსი გადმოსცეს მისანვდომი ემოციური, ლაკონური, ორიგინალური და ადვილად დასამახსოვრებელი ფორმით; განაწყოს ამომრჩეველი მის მხარდასაჭერად, შექმნას ფსიქოლოგიური განწყობა, რაც განაპირობებს სიმპათიების მიმართულებას და შემდეგ ადამიანის მოქმედებასაც.⁴⁷

⁴⁷ „არჩევნები და პოლიტიკური მარკეტინგი“ - მაცაბერიძე მ. თბ. 1997 წ.

საქართველოს კანონმდებლობა პოლიტიკურ რეკლამას განმარტავს, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გასული ისეთი შინაარსის რეკლამას, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობას/ხელის შეშლას, რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, ან მოწოდებას სარეფერენდუმოდ/საპლემბრისციტოდ გამოტანილი საკითხის გადაწყვეტის სასარგებლოდ, ან საწინააღმდეგოდ.⁴⁸

პოლიტიკური რეკლამის დანიშნულებაა გაამარტივოს რთული პოლიტიკური პროგრამები და ის გასაგები ენით მიანოდოს ამომრჩეველს. შესაბამისად, ინფორმირებული არჩევანის ხელშეწყობისთვისაც, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ რეგულირდება და რამდენად ხელმისაწვდომია რეკლამის განთავსება პოლიტიკური სუბიექტებისთვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამის საკითხი ისეთი ტიპის ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, სადაც ინფორმაციის გავრცელების უმთავრეს საშუალებად რჩება ტელე მედია და მოსახლეობის 90% მეტი ინფორმაციას სატელევიზიო არხებიდან იღებს.⁴⁹

საქართველოში პოლიტიკური რეკლამის განთავსების წესებს ორი კანონი არეგულირებს: 1. საქართველოს საარ-

⁴⁸ „PR - კამპანიები PR -პრაქტიკაში“- ლომინაძე ს., ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ. 2009

⁴⁹ NDI - საზოგადოებრივი აზრის კვლევა - 2013

ჩვენო კოდექსი⁵⁰. 2. კანონი მაუწყებლობის შესახებ. ბუნებრივია ორივე ერთნაირად განსაზღვრავს, როგორც ფასიანი, ისე უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების წესს მაუწყებელთა ეთერში. მაგალითად: „საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლობის აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე სათემო მაუწყებელი ვალდებული არიან, მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს თავიანთ ეთერში ყოველ საათში არაუმეტეს 60 წამით უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად განათავსონ თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მათთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა. საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ვალდებული არიან, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის გარდა, ყველა სხვა პარტიისა და საარჩევნო ბლოკის წინასაარჩევნო რეკლამის განსანთავსებლად გამოყონ დრო, რომელიც ამ სუბიექტებს შორის თანაბრად განაწილდება.“⁵¹

იქვე განმარტებულია, რომ „საერთო მაუწყებლობის განმახორციელებელი ეროვნული მაუწყებელი ვალდებულია საერთო არჩევნებისას საარჩევნო კამპანიის დროს თავის ეთერში ყოველ 3 საათში არანაკლებ 90 წამით უსასყიდლოდ

⁵⁰ საქართველოს საარჩევნო კოდექსი-მუხლი 50 - მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების ზოგადი რეგულირებები

⁵¹ საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ- მუხლი 66 - წინასაარჩევნო რეკლამა

და არადისკრიმინაციულად განათავსოს თითოეული კვალი-ფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა. არ შეიძლება სუბიექტის მიერ გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისთვის.“⁵²

პოლიტიკური რეკლამა შეიძლება იყოს როგორც ფასიანი, ისე უფასო. თითოეულ მათგანს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. პოლიტიკური რეკლამა პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლიდან, რომელიც განსაზღვრავს ერთ-ერთ პრინციპს - საარჩევნო უფლებას.

გავრცელებული მოსაზრებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსება ძირითადად ორი მიზეზითაა განპირობებული: ფასიან პოლიტიკურ რეკლამას არსებობისთვის მეტძოლ საინფორმაციო საშუალებებისთვის სარეკლამო შემოსავალი მოაქვს; აკრძალვის შემთხვევაში, რეკლამა შეფარულად მაინც გავაეთერში სარედაქციო მასალის ნიღბით⁵³.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამის დადებით მხარეზე საუბრისას აღსანიშნავია კიდევ ორი არგუმენტი: უფასო პოლიტიკური რეკლამისაგან განსხვავებით, ფასიანი პოლიტიკური რეკლამა მედიასაშუალებების საქმიანობაში ისეთი

⁵² იქვე

⁵³ მედია და არჩევნები. იაშა ლანგი. თბ.2004

ჩარევის მაგალითია, რომლითაც ეს უკანასკნელი იღებს ერთგვარ სარგებელს და ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში ფასიან პოლიტიკურ რეკლამას გააჩნია შესაძლებლობა, ეთერში არ გააშვებინოს მაუნყებელს ფარული რეკლამა.

უფასო პოლიტიკური რეკლამის გადანაწილების საკითხი უმნიშვნელოვანესია წინასაარჩევნო პერიოდში მედიის ჩართულობის თვალსაზრისით. გადანაწილება თითოეულ ქვეყანაში სხვადასხვა სახისაა, რაც ამ ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობიდან გამომდინარეობს. რეკლამის ტელემაუნყებელზე უფასოდ განთავსების შემთხვევაში ხელშეწყობა ხდება საარჩევნო სუბიექტების სტატუს-კვოს შენარჩუნების სახით. სხვა კუთხით თუ შევხედავთ საკითხს, უფასო პოლიტიკური რეკლამა იცავს სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც გააჩნია საარჩევნო სუბიექტს.⁵⁴

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური რეკლამის შინაარსის განსაზღვრისას აუცილებელია რეკლამის დამკვეთმა დაიცვას შემდეგი ძირითადი პრინციპები:

რეკლამა მიზნად უნდა ისახავდეს საარჩევნო სუბიექტის არჩევნისთვის ხელის შეწყობას/ხელის შეშლას;

რეკლამაში ნაჩვენები უნდა იყოს საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი;

რეკლამა უნდა შეიცავდეს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს.

⁵⁴ მედია და არჩევნები. იაშა ლანგი. თბ.2004

პოლიტიკური რეკლამისთვის სავალდებულოა სამივე პუნქტში განწერილი პრინციპების დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სარეკლამო რგოლი პოლიტიკურ რეკლამად არ ჩაითვლება.

გამოყენებული ლიტერატურა

მაცაბერიძე მ. , არჩევნები და პოლიტიკური მარკეტინგი თბ. 1997 წ.

ლომინაძე ს., PR - კამპანიები PR -პრაქტიკაში, ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ. 2009

NDI - საზოგადოებრივი აზრის კვლევა - 2013

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ

საქართველოს საარჩევნო კოდექსი

მედია და არჩევნები. იაშა ლანგი. თბ.2004

, ,
.
- ,
,
.
, ,
,
.
.

Irine Tsintsadze

Some Aspects of the Political Advertising Regulation

Summary

In politics, like in any other field, a significant role is played by public relations (PR). The analysis of the pre-election campaigns or programs led by any political leader, or the activities of any government agency has shown the importance of PR in political life.

The article deals with the main objectives and goals of political advertising, in particular, with the purpose and function of political advertising, how such complex political programs could be simplified and presented to the voters in a plain, clear language. We also consider the issue of advertising regulation and access for political subjects.

იდენტობა**Identity****რელიგია ევროპული იდენტობის ფონზე***ცირა ფუტკარაძე*

ქართული კულტურა დასავლურ (ევროპულ) ცივილიზაციას განეკუთვნება. საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, სადაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარეს, ხოლო ევროპული (დასავლური) სამყარო სწორედ ქრისტიანობას დაეფუძნა. თუმცა საქართველოს ევროპისადმი კუთვნილების არგუმენტად მხოლოდ რელიგიურ-სარწმუნოებრივი საფუძვლის მოშველიება ვერც საზოგადოების სხვადასხვა ფენებში და ვერც პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ვერ პოულობს ფართო მხარდაჭერას. ისმის კითხვა:

- რა არის ამის მიზეზი?

- რელიგიური და კულტურული იდენტობის საკითხის სიმწვავის მრავალმიზეზობრიობა. არსებულ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ პიროვნების იდენტობა მის მიერ ერთდროულად სხვადასხვა სოციალური როლის

შესრულებაში გამოიხატება. ინდივიდის მიერ სოციალურ-კულტურული ნიმუშების, ნორმების, ღირებულებების ათვისება და გაზიარება, საკუთარი ადგილის დამკვიდრება არ არის ერთგვაროვანი პროცესი და გარკვეული ცვლილებებითაც ხასიათდება. სწორედ იდენტობის მექანიზმი გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალური სტრუქტურის, კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და გადაცემის პროცესში. ანუ, ჩვენი აზროვნება და ქცევა იცვლება სიტუაციიდან გამომდინარე და, + როგორ ვახდენთ თვით სიტუაციის (ფაქტის) ინტერპრეტაციას.

- რა არის რელიგია, რაც ასე იზიდავს ადამიანების საკმაოდ დიდ ნაწილს?

რელიგია ძირითადად არის დარწმუნების ინსტიტუციონალიზირებული, ტრადიციულად განმსაზღვრელი ცერემონიების სისტემა; ზოგჯერ რელიგია განიხილება, როგორც უნივერსალური სისტემა, რომელიც აღმოცენდება ინდივიდის მოთხოვნილების შედეგად გაიგოს თავისი მდგომარეობა ანმყოფი თუ მომავალში. რელიგიის მიმდევართათვის არსებობს საერთო წარმოდგენა უზენაესი არსების შესახებ და შინაგანი დარწმუნება იდეალური ცხოვრების არსებობისა გარდაცვალების შემდეგ.

თუ სათაურის თემას დავუბრუნდებით - რელიგია ევროპული იდენტობის ფონზე - ჩვენს წინ დგება შემდეგი კით-

ხვები: 1) ვინ ვარ მე? ; 2) ვინ არიან სხვები? ; 3) ვინ და რა ნიშნით შეიძლება იყოს ზღვარს შიგნით და ზღვარს მიღმა?

ანუ, მიზანი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების არა იმდენად გაშლაა მე-კონცეფციის, რამდენადაც მცდელობა ჰარმონიის მიღწევის თავის საზოგადოებაში და მისი მხარდაჭერა. შესაძლოა ითქვას, რომ თვითშეფასებაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს - „რას ფიქრობენ სხვები ჩემზე და ჩემს მეგობრებზე“

- ვინ ვარ მე? - წინადადების დაბოლოება ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე - მაგ. მე - პატიოსანი, მე - მაღალი, მე - გულწრფელი; მე - მორწმუნე; მაგრამ როცა გვინდა ხაზი გავუსვათ სოციალურ კავშირებზე ჯგუფურ იდენტურობასთან, მაშინ ვამბობთ მე - კათოლიკი, მე - ქრისტიანი, მე - მუსულმანი, მე - ევროპელი და ა.შ.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პიროვნების იდენტობა მის მიერ ერთდროულად სხვადასხვა სოციალური როლის შესრულებაში გამოიხატება. ადამიანს ერთი კი არა, უამრავი მე გააჩნია: მე-მშობლებთან, მე - სამუშაოზე, მე -მეგობრებთან. ანუ, ამ შემთხვევაში -ურთიერთდაკავშირებული მე იმყოფება სოციალურ ერთიანობაში. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდი განიცდის დამოკიდებულებას რაღაცის ან ვიღაცის მიმართ, აქვს განწყვეტილი კავშირი ოჯახთან, მეგობრებთან, კოლეგებთან, ინდივიდს შეუძლია დაკარგოს სოციალური კავში-

რები, რომლებიც განსაზღვრავენ მის იდენტობას, მსგავსებას სხვებთან.

თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგია თავისი კვლევების მრავალფეროვნებით ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: სიტუაციის ძალაუფლება; პიროვნების ძალაუფლება და აზროვნების მნიშვნელობა.[5]

ანუ, ჩვენ ყველანი შეილება ვართ საკუთარი კულტურის და გარშემორტყმული სინამდვილის; ჩვენ აგრეთვე ვართ შემქმნელები საკუთარი სოციალური სამყაროს და ყოველივე ამის ფონზე ადამიანთა ქმედება სხვადასხვაგვარია, იმიტომ რომ ისინი განსხვავებულად აზროვნებენ. [5]

სოციალურ მეცნიერებებში იდენტობას შეიძლება შევხედოთ სხვადასხვა რაკურსით-სოციალური იდენტობა, კულტურული იდენტობა, ეთნიკური იდენტობა, და ა.შ. სოციალური იდენტობა წარმოაჩენს მე-ს “სოციალურ” ასპექტს, მისი იდენტობის აღქმას, რომელიც უშუალოდ კავშირშია ცნებასთან “ჩვენ”, რომელიც უკავშირდება ჯგუფის წევრობის განცდას. იდენტობის მექანიზმი გადამწყვეტ როლს თამაშობს სოციალური სტრუქტურის და კულტურული ტრადიციების შენარჩუნების და გადაცემის პროცესში.

რა არის ამ პროცესის, დინამიკის მამოძრავებელი ბირთვული ძალა?

- იდენტიფიკაცია, როგორც მე-ს თვითგანვითარების მთავარი, ცენტრალური მექანიზმი. იდენტიფიკაციაში ნა-

გულისხმევია ინდივიდის სოციალიზაცია, სოციალური როლების მიღება და ადაპტაცია, სოციოკულტურული მოდელების ათვისების პროცესი. რადგან ჩვენი ნაშრომის გამყოლი ხაზი ვროპული იდენტობაა რელიგიათა სხვადასხვაობის ფონზე, ამ კონტექსტში სწორედ ინდივიდთა იდენტიფიკაციას ვგულისხმობთ. აქ საუბარია იმ მრავალრიცხოვან მასაზე, მილიონობით ადამიანზე, რომლებიც სხვადასხვა კონტინენტებიდან ჩამოსული, თავმოყრილნი არიან ევროპის კონტინენტზე.

„ევროპაში თანაცხოვრობენ სხვადასხვა იდეებისა და რელიგიების მრავალრიცხოვანი მიმდევრები. ამდენად შეუძლებელია ჰომოგენურ ერთობაზე საუბარი. ევროპული იდენტურობა ვერ ამოვა ერთი კონკრეტული ისტორიული რეალიიდან. ასეთი მცდელობები შეიცავენ ერთი კულტურის მეორეზე უპირატესობის წარმოჩენის რისკის შესაძლებლობას, რასაც მოჰყვება დისკრიმინაცია. მათ შორის ემიგრანტებისა. ერთგვაროვანი ევროპა არასოდეს არსებულა და არასასურველიცაა მისი არსებობა“ - მიიჩნევს რიზებროდტი[1].

რელიგიის სოციოლოგის თვალსაზრისით თანამედროვე ევროპა წარმოადგენს ჰეტეროგენურ პროექტს, ხოლო რელიგიური ტრადიციებისაკენ აპელირებას და ღმერთის ხსენებას ევროპულ კონსტიტუციაში რიზებროდტი უცქერის სკეპტიკურად. მისი თვალსაზრისით, ასეთი ფაქტები ხელს უწყობს კულტურათა დაპირისპირებას და სასიკეთოს

არაფერს სძენენ ინტეგრაციას. ის თვლის, რომ ერთადერთი „რელიგია“, რომელიც შეიძლება ჩაიდოს ევროპული იდენტურობის საფუძველში -ეს არის სამოქალაქო საზოგადოება, სადაც წმიდათაწმიდაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა[1].

საქართველო მიერთებულია მრავალმხრივ საერთაშორისო შეთანხმებებს, ასევე იზიარებს რიგი საერთაშორისო დეკლარაციის მოთხოვნებს, რომლებიც შეიცავენ დებულებებს რელიგიის თავისუფლების შესახებ. კერძოდ:

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“

მე-2, მე-18, 26-ე და 29-ე მუხლების მიხედვით, დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი თუ სხვა მდგომარეობისა. ყოველ ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება [2].

იდენტურობა, მსგავსი „ჩვენ-ევროპელები“ შეიძლება მივცეთ ინტერპრეტაცია, როგორც გაერთიანება, რომელიც ფუძეში ნერგავს ისეთი ევროპული ღირებულებების არსებობას, როგორიცაა: პიროვნების თავისუფლება, ლიბერალური ეკონომიკა, რელიგია, უფლებების დემოკრატიული ნორმები, ეთნოკულტურალიზმი. ეს არის მთავარი ღირებუ-

ლებები არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ევროპული კონვენციით დაცული რელიგიისა და რწმენის არსებითი უფლების შესახებ განხილულ საქმეებში ევროპულმა სასამართლომ ნათელი გახადა, რომ სახელმწიფომ არ უნდა სცადოს რელიგიისა და რწმენის განსაზღვრა, და რომ ეს ცნებები ასევე იცავენ „ათეისტებს, აგნოსტიკოსებს, სკეპტიკოსებსა და ამ საკითხისადი გულგრილად განწყობილ პირებს“ და, შესაბამისად, იცავენ ყველას- „სწამს ან არ სწამს ღმერთი და მისდევს თუ არა აღმსარებლობას“. ამ საქმეებში ასევე აღნიშნულია, რომ რელიგია ან რწმენა ძირითადად პირადული და სუბიექტურია და აუცილებელი არ არის მათი დაკავშირება რელიგიური ინსტიტუციებით მონესრიგებულ რწმენასთან[3].

ძველი ინდოეთის მეფე აშოკა (III ს. ჩვ.წ. აღ-მდე), თავის ედიქტებში წერდა: „უჯეროა მარტოოდენ თავისი თემის პატივისცემა ან უპირობოდ სხვისი თემის შებლაღვა... უნდა მოვუსმინოთ და პატივი მივაგოთ დოქტრინებს, რომლებსაც სხვები მისდევენ“[4].

აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ შუა საუკუნეების 630 წლის მედინას კონსტიტუცია. იგი წარმოადგენს ხელშეკრულებას მედინის მაცხოვრებლებსა და მუსულმანურ თემს შორის, რომლის მიხედვით ადგილობრივი ადათ-წესები დაცულად ცხადდებოდა, მუსულმანები, ქრისტიანები და იუდე-

ველები ერთნი არიან მიუხედავად რელიგიური განსხვავებებისა. ყველას უფლება ჰქონდა დარჩენილიყო თავის რწმენაზე „ არ მიაყენო ზიანი იუდეველებს, რომლებიც ჩვენი არიან, არ დაეხმარო მათ ვინც ილაშქრებს მათ წინააღმდეგ “[4].

ამრიგად, ევროპული იდენტურობის ერთერთი მთავარი მახასიათებელი სოციალური იდენტურობაა, რაც წარმოადგენს ინდივიდის მე-კონცეფციის ნაწილს, რომელიც მომდინარეობს მისი სოციალური ჯგუფის წევრობიდან, ღირებულებებისა და ემოციონალურ მნიშვნელობასთან ერთად, რაც დაკავშირებულია ჯგუფის წევრობასთან. ეს ჯგუფი შეიძლება იყოს ოჯახი, ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფი და ა. შ. აღმსარებლობა და სიტყვის თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. ადამიანის გონება დამოუკიდებლად, სხვათა ჩარევის გარეშეც უნდა ახერხებდეს რელიგიიდან მისთვის სასურველის, სასარგებლოს, აუცილებელის გადმოღებას, რომლის განხორციელებასაც თვითონ მოახერხებს თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სხვათა რელიგიებსაც საკუთარი ღირსება გააჩნია, რისი შეურაცხყოფაც დაუშვებელია; ანუ, რწმენის გამოხატვის თავისუფლებასაც გარკვეული საზღვარი გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა

„ახლებურად გააზრებული ევროპა რელიგიის გარეშე“- news.ge/ge/news/story/47007-ვენის სამეცნიერო ფორუმის მონაწილენი მსჯელობენ ევროპაზე რელიგიის გარეშე.24.02.2013

რელიგიის თავისუფლება ქართულ კანონმდებლობაში: გამოცემა მომზადებულია კავშირი „21-ე საუკუნის“ მიერ. გამოცემაზე მუშაობდა პ. გაჩეჩილაძე თბ. 2013 patriarchate.ge/geo/

FRA-სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ეროვნული სამართლის შესახებ. ევროპის საბჭო .2013. [http://www.echr.coe.int/Documents/Handbook non discri Law KAT.pdf](http://www.echr.coe.int/Documents/Handbook_non_discrimination_Law_KAT.pdf)

PMMG - რელიგიური თავისუფლებისა და ტოლერანტობის სახელმძღვანელო-2016 წ. [http://www.pmmg.org.ge/res/uploads/Religious Freedom and Tolerance Guide Book. Pdf](http://www.pmmg.org.ge/res/uploads/Religious_Freedom_and_Tolerance_Guide_Book.Pdf)

Девид Майерс “Социальная психология “ Изд. Москва/Питер. стр.29; 1997.

Tsira Putkaradze

Religion on the background of European Identity

Summary

This article deals with the multi-causality of severity of the religious and cultural identity. In particular, a person's identity is simultaneously expressed in the different social role performance. Because the sharing and assimilation of the individual's social and cultural patterns, norms, values, find your own place is not a uniform process, which is characterized by certain changes. The work suggests that the mechanism of identity plays a vital role at preservation of social structure, cultural traditions and into transfer process. Our thinking and behavior is changing from the situation and, + how we make an interpretation of the self-situation (fact).

The Identity, like "we Europeans" can be given an interpretation as a union, that in the basis introduces existence of European values, such as: Personal freedom, liberal economy, religion, democratic norms of the rights, ethno-culture. These are the major values not only in Europe, but also outside its borders.

To summarize the work, it should be said, that religion and freedom of speech are fundamental human rights. The human's mind independently, without the intervention of others, should get desirable, useful, necessary things from religion, the realization of which he/she manages in his/her everyday life. It is noteworthy, that other religions have their own dignity, insult of which is not allowed, that is, the freedom of expression of belief has certain limits.

()).

« »

სამართალი

LAW

Право

**ხელშეკრულების თავისუფლება და
თავისუფლების ხელოვნება***ლინდა შალამბერიძე-ვერძაძე*

ხელშეკრულების თავისუფლების, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის გარეშე თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის წარმოდგენა შეუძლებელია. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი წარმოადგენს მხარეთა ნების კერძო ავტონომიის სპეციალურ შემთხვევას. მხარეთა კერძო ავტონომია კერძო სამართლის მოქმედების სფეროში სუბიექტთა არჩევანის თავისუფლებას გულისხმობს. აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფილი და დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. საქართველოს კონსტიტუცია სპეციალურ ნორმას სახელშეკრულებო თავისუფლებაზე არ შეიცავს. ერთადერთი, რაშიც იგი შეიძლება ამოვიკითხოთ, ესაა 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელშიც ნათქვამია: „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმოებისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძა-

ლულია მონიპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა...⁵⁵ საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვაში სახელშეკრულებო თავისუფლება მიჩნეულია ბაზარზე ორიენტირებული კონკურენტიანი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის საფუძვლად.

319-ე I მუხლის თანახმად, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონს. ხელშეკრულების თავისუფლება ქართული სამართლის რეფორმის სერიოზულ მონაპოვარს წარმოადგენს.⁵⁶

საზოგადოებრივი ურთიერთობის დინამიკური განვითარების აბსოლუტური გათვლა შეუძლებელია. ამიტომაც, როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს ხელშეკრულება, მაინც არსებობს ისეთი საკითხების წამოჭრის შანსი, რომელზეც პასუხი მხარეებს მოლაპარაკების დროს არ გაუთვალისწინებიათ, ზოგჯერ პირიქით ხდება და მხარეები სპეციალურად ტოვებენ შეუთანხმებელ საკითხებს. მათ ასეთ ქცევას შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს. არის რიგი საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც წინასწარ შეუძლებელია. ასევე შეიძლება მხარეებმა სადავო საკითხებზე შეთანხმებას მიაღ-

⁵⁵ საქართველოს კონსტიტუცია

⁵⁶ სამოქალაქო სამართლის კოდექსი

ნიონ; მხარეებმა შეიძლება იმსჯელონ მოვლენების განვითარების ამა თუ იმ სცენარზე და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ერთი რომელიღაც კონკრეტული სცენარის განვითარება გამორიცხულია, პრაქტიკულად კი საწინააღმდეგო მოხდეს და ა.შ. ასეთ დროს შექმნილი ვაკუუმის შევსების ერთ-ერთი რაციონალური გზა ხელშეკრულების განმარტებაა, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვუნოდოთ ხელოვნება. ხელოვნება იმიტომ, რომ განმარტების სხვადასხვა მეთოდის კომბინირებულ გამოყენებას აუცილებლად სჭირდება ინოვაციური და „არასტანდარტული“ აზროვნება, რათა გამოსავალი სწორედ იქ მოიძებნოს, სადაც ის ერთი შეხედვით, საერთოდ არ ჩანს.

თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, გარიგებითი (სახელშეკრულებო) კერძო ავტონომია, სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია. კერძო ავტონომიით სარგებლობა ნიშნავს პირის უფლებას, თვითონ აირჩიოს პოტენციური კონტრაჰენტი და დაამყაროს მასთან ისეთი ურთიერთობა, რომელიც მათ საერთო სურვილებს შეესაბამება. რაც ნიშნავს ხელშეკრულების დადების თავისუფლებას. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება კი გამოიხატება მხარეთა მიერ ხელშეკრულების შინაარსში. კერძოდ, მხარეებს თავადვე შეუძლიათ მოგვიანებით ხელშეკრულების გარკვეული მუხლები შეცვალონ ან გააუქმონ. ხელშეკრულების ტიპის თავისუფლებაში მოისაზრება მხარეთა უფლება, თავად განსაზღვრონ თუ რა ტიპის ხელშეკრულებას და-

დებენ, ე.ი. თავადვე „მოიგონონ“ მათი ურთიერთობების, ვალდებულებებისა და უფლებების ყველაზე უკეთ ამსახველი ხელშეკრულების ტიპი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი თითქმის ყველა გავრცელებული ტიპის ხელშეკრულებას შეიცავს (477-992). მიუხედავად ამისა, მხარეებს შეუძლიათ, კანონმდებლობით გათვალისწინებული ტიპის ხელშეკრულებების ცალკეული დებულების ჩამოყალიბებისას, გადაუხვიონ კანონმდებლობით დადგენილ შინაარსს.

ასევე არსებობს ფორმის თავისუფლება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მხარეებს შეუძლიათ დადონ ხელშეკრულება წერილობით ან ზეპირად. კერძო ავტონომია თანამედროვე კერძო სამართლის საფუძველთა საფუძველია, მაგრამ იგი შეუზღუდავი არასოდეს ყოფილა. კერძო ავტონომიის ფარგლები, როგორც წესი, კანონით განისაზღვრება, ან გარიგების ფორმას ეხება ან გარიგების შინაარსს ანდა სხვა გარემოებები უდევს საფუძველად. ზოგჯერ კოდექსით იმპერატიულად ადგენს წინასწარ განსაზღვრული ფორმის დაცვის ვალდებულებას. კერძო ავტონომიის შეზღუდვა შეიძლება გამოწვეული იყოს სახელშეკრულებო უსაფრთხოებითაც.

კერძო ავტონომია ასევე გულისხმობს თვითპასუხისმგებლობას. თუ პირი დარწმუნებულია, რომ ვერ შეასრულებს ვალდებულებას და მას ამისათვის პასუხს მოსთხოვენ, მაშინ არ უნდა დადოს ასეთ ხელშეკრულება.

სახელშეკრულებო თავისუფლება ძველ ქართულ სამართალშიც დასტურდება, კერძოდ, ქირავნობა-ნასყიდობის

ურთიერთობებში. განსაკუთრებით მტკიცედ მოიკიდა ფეხი ამ პრინციპმა XIX საუკუნიდან. სახელმეკრულებო თავისუფლება ბრუნვის მონაწილის დამოუკიდებლობის განსაკუთრებული გამოვლინებაა. იგი სამართლის სუბიექტს კერძო სამართლებრივ სივრცეში თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას აძლევს. საკუთრების თავისუფლება სწორედ რომ თავისუფალი ბრუნვის პირობებშია შესაძლებელი. სამოქალაქო კოდექსის მთელი სხეული ამ თავისუფლებითაა გაჟღერებული. სწორედ სახელმეკრულებო თავისუფლებაში ვლინდება პიროვნება, როგორც ქონებრივი უფლებების მატარებელი სუბიექტი.

საყოველთაოდ ცნობილი პრინციპი, რომ ნებადართულია ის რაც კანონით აკრძალული არ არის, ყველაზე უნივერსალური ფორმით სამენარმეო ურთიერთობებში გამოიხატება.

თავისუფლების აღიარება სამართლებრივ პრინციპად ნიშნავს, რომ „ინდივიდს თავის სფეროში აქვს საკუთარი სურვილისამებრ მოქმედების უფლება ისე, რომ ამის გამო მან რაიმე სამართლებრივი დანაკლისი არ მიიღოს... ინდივიდის უფლებრივი თავისუფლების გარეგნულ გამოხატულებას წარმოადგენს ნების თავისუფლება“. ნების თავისუფლება საფუძვლად უდევს გარიგების თავისუფლებას, ხელშეკრულების მონაწილეთა კერძო სამართლებრივ ავტონომიას და ა.შ.

ხელშეკრულების თავისუფლებისას, წინა პლანზე გადმოვიდა „სუსტი მხარის“ მომხმარებლის დაცვის ინტერესი და ეს უკანასკნელიც სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს პოსტულატად ჩამოყალიბდა.

რაც უფრო ფართო იქნება ხელშეკრულების დადების ფარგლები, მით უფრო მეტი საშუალება ექნებათ ეკონომიკის მონაწილეებს, თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები.

ხელშეკრულების სუბიექტებს თავისუფლად შეუძლიათ შეარჩიონ მომავალი თავიანთი პარტნიორები. ესაა ერთ-ერთი გარანტი სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებისა. ხელშეკრულების ვითარებაში ყველა ყველას პოტენციური პარტნიორია. ამის თავისუფლების საძირკველი, ნების გამოვლენის თავისუფლებაშია. თავისუფალი ნების გამოვლენა, კერძო ინტერესის არსებობის აუცილებელი გარემოებაა. ნეგატიური აზრით, ხელშეკრულების თავისუფლად დადება გულსხმობს იმას, რომ არავინ არაა ვალდებული, დადოს ხელშეკრულება. სუბიექტების შერჩევის თავისუფლებაში ჩანს ხერხემალი კერძო სამართლისა, ის რეალობა, რომ ხელშეკრულების დადების იძულება თვით ამ ხელშეკრულების მონაწილეთა თავისუფალი ნების გამოვლენის რეზულტატია. მხოლოდ ინტერესი აიძულებს სუბიექტებს, დადოს ხელშეკრულება გარკვეულ პირთან. სახელშეკრულებო თავისუფლების ამგვარი გაგება შეესაბამება ევროპული ვალდებულებითი სამართლის უნიფიკაცია-ჰარმონიზაციის პროცესს.

მხარეები თვითონ განსაზღვრავენ ხელშეკრულების შინაარსს. არ შეიძლება კანონმა ხელშეკრულების მონაწილეთა ნების გამოვლენა არარად აქციოს. კანონს შეუძლია დაადგინოს თავისუფლების ფარგლები და არა ამ თავისუფლების გამოვლენის ყველა დეტალი. ამიტომაცაა, რომ ხელშეკრულების შინაარსის კანონში მოცემული ნორმები, მხოლოდ დასაშვები ფარგლების გამომხატველია. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ ხელშეკრულების შინაარსს. მთავარია ხელშეკრულების შინაარსი არ გასცდეს ამა თუ იმ კონკრეტული ინსტიტუტის არსებობას. თუკი მხარეები უჩვეულო (ბრუნვისათვის მიუღებელ) პირობებზე შეთანხმდებიან, ეს ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს. კანონმა არ შეიძლება განსაზღვროს ის, რაც ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ განისაზღვრება.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრა ვალდებულებით-სამართლებრივი ინსტიტუტია. სახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. თუმცა ამ საფუძვლის ნებელობითი ხასიათი არ გულისხმობს, რომ იგი მთლიანად თავისუფალია საკანონმდებლო ნებელობისაგან. ამის დასტურია ის, რომ ხელშეკრულების შინაარსის ჩამოყალიბება სწორედ იმპერატიული და დისპოზიციური ნორმების ურთიერთკავშირით ხდება.

არ შეიძლება კანონმა დეტალურად დაადგინოს ნებისმიერი ხელშეკრულების შინაარსი, რადგანაც ეს შეუძლებე-

ლია და ამავე დროს არასასურველიც. კანონს შეუძლია დაადგინოს თავისუფლების ფარგლები და არა ამ თავისუფლების გამოვლენის ყველა დეტალი. კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში უფრო ჭარბობს დისპოზიციური ნორმები, რომლებიც მხარეებს თავისუფლად აძლევს შესაძლებლობას, ურთიერთშეთანხმებით დაადგინონ კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობის მარეგულირებელი წესი. ხოლო თუ მხარეები არ ისარგებლებენ ამ შესაძლებლობას, მაშინ ვალდებულნი არიან მიიღონ და შეასრულონ ის წესები, რომელსაც დისპოზიციური ნორმა სთავაზობს ურთიერთობის მონაწილეებს და რომლებიც იქცევიან იმპერატიულ წესებად.⁵⁷ განსხვავებით დისპოზიციური ნორმებისაგან, მხარეებს უფლება არა აქვთ შეცვალონ იმპერატიული ნორმით დადგენილი წესები, რომლებიც სავალდებულოდ შესასრულებელია. განსაკუთრებით იმპერატიულ ხასიათს ატარებს ის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში წარმოშობილ ურთიერთობებს.

კანონში ხშირად გამოყენებულია გამონათქვამი „თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“, რაც გულისხმობს, რომ მხარეებს შეუძლიათ სხვაგვარად მოიქცნენ და თუ ასე არ არის, მაშინ მათ შორის ურთიერთობა

⁵⁷ ლ. ჭანტურია, შესავალი საქათველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბ. 1997 წ. გვ. 92-98.

უკვე კანონით რეგულირდება და კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი ექნება მხარეთა ნების თავისუფლების შეზღუდვას.

არსებობს ნორმით დადგენილი წესები, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფმა მხარეებმა შეიძლება შეცვალონ რეალური შესრულებით, მაგრამ თუკი მხარეები მას სადაოდ გახდიან, დავის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნორმით დადგენილ წესს.

გამოთქმა – „ხელშეკრულება“ უნდა იყოს სამართლიანი - მთელ სახელშეკრულებო სამართალს კი არ მოიცავს, არამედ იმ სფეროებს, სადაც ყველაზე მეტადაა მოსალოდნელი სახელშეკრულებო თავისუფლების უარყოფითი შედეგები. სამართალი ვერ იქნება გულგრილი სახელშეკრულებო თავისუფლების მიმართ. ამ თავისუფლებას შეიძლება ერთ-ერთი მხარისათვის არასასურველი შედეგი მოჰყვეს. „მოლაპარაკების დროს ერთმა მხარემ“ შეიძლება თავს მოახვიოს მეორეს ხელშეკრულების შინაარსი. შეიძლება მეორე მხარე „თვალდახუჭული“ დათანხმდეს ხელშეკრულების პირობებს საქმეში „ნაკლები გამოცდილების გამო“. ეკონომიკური ძალების თავისუფალ თამაშს შეიძლება თანასწორობა და ჰარმონია კი არ მოჰყვეს, არამედ, ერთის ეკონომიკური ბატონობა მეორეზე. ამიტომაც საჭიროა მდგომარეობის ბოროტად გამოყენება სამართლებრივ ჩარჩოებში ჩაჯდეს და ასე შეიზღუდოს კონკურენციის უარყოფითი შედეგები.

ს.ს. კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი ამას პირდაპირ ავალდებულებს მხარეებს: „სამართლებრივი ურთიერთობის

მონანილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი”. სამართალი კრძალავს არა მარტო ისეთ მოქმედებებს, რაც მოტყუებაში და ძალადობაში გამოიხატება, არამედ, იგი მეურვეობს მხარეს, როცა ხელშეკრულება უსამართლო შინაარსის მქონე აღმოჩნდება. ასეთი ჩარევით კანონმდებელი იცავს არა მარტო ბრუნვის კონკრეტულ მონანილეს, არამედ სამოქალაქო ბრუნვის დაცვით, სოციალურ ფუნქციასაც ასრულებს.⁵⁸

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის აბსოლუტურობას ასევე ზღუდავს დოქტრინასა და პრაქტიკაში აღიარებული ე.წ. „რეგულირებადი“ ხელშეკრულებები. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების პირობების სამართლიანობასა და „სუსტი მხარის“ დაცვის იდეებმა ხელშეკრულების თავისუფლების სამართლებრივ შინაარსში გარკვეული კორექტივები შეიტანა, არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს პრინციპები ერთმანეთთან იერარქიულ დამოკიდებულებაში არიან და რომელიმე მათგანს აპრორიულად ენიჭება უპირატესობა მეორესთან შედარებით. სამართლებრივ სისტემაში თითოეულ მათგანს თავისი ადგილი გააჩნია და თავის ფუნქციას ასრულებს. მათ შორის კოლიზიის წარმოშობისას საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სასამართლო პრაქტიკის საქმეა.

⁵⁸ სამოქალაქო სამართლის კოდექსი

-

XIX

Linda Shalamberidze-Verdzadze

Contractual Freedom and art of Liberty

Resume

First notice about Contractual Freedom case has been confirmed in XIX century Georgian law. Contractual Freedom considered as basement of competitive international economic order within international trade system and reveals person as subject of bearing property rights. Civil legal contract sphere does not presents as comprehensive and absolutely perfect despite its importance. Interpretations (elucidation) of the legal contract presents rational way (or tool) of filling the vacuum which can be called as art. Using of different methods of explanations needs innovative and substandard thinking in order to find out solution there where it's at first glance does not seems. In any case, contract must presents results of consensus reached by parties. Separate elements of contract can be lowered on constitutional agreement mark.

შრომების კრებული

PROCEDIN
GS

სოციალურ მეცნიერებათა საკითხები

Problems of Social Sciences


X

რედაქტორი:
ირაკლი მანველიძე

ტექნიკური რედაქტორი
გიორგი ქათამაძე

გამომცემლობის რედაქტორი:
იზა ხარებავა

ტირაჟი 200



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge